დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 17 - 23 თებერვალი

N 8 1579

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი


## «რევოლუცია დამთავრდა!»



9

«ხანდახან ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი ტრამპის მრჩეველი ხომ არ არის-მეთქი!»



10

## «ფაფუ - გადატრიალება!»

## აი, ამიტომ

უნდა გავუფრთხილდეთ ირაკლი დგებუაძეს და მისი რეპუტაცია და ღირსება ფარული დასის ადგილობრივი აგენტურის აყროლებული ხელებისგან დავიცვათ!





აი, ამიტომ ვერ დავლევრით ცრემლებს მზია ამაღლობელზე!

8-9

*მაყვალა ბერიანიძე:*

### ხელისუფლებას ვურჩევ - „ქართული ოცნების“ ნამდვილი დამფუძნებლები მოძებნოს!



მამუკა ხაზარაძემ მერაბ კოსტავას სულსა და „ასავალ-დასავალს“ ბოდიში მოუხადოს!

3



*ნანა დევდარიანი:*

## ლერწმის სტრატეგია

6





15

### უკრაინის გაყოფა

როცა მეფედ მასხარა ზელენსკის აირჩევ, უარესიც დაგემართება!

## 167,3-პროცენტიანები,

ანუ იაგო კაჭკაჭიშვილის კვლევითმა ორგანიზაციამ მათემატიკის თავზე გაიარა!



14



18

1945: უინსტონ ჩერჩილი სადაცაა, ფეხს დადგამს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ ყირიმის მიწაზე

## იალტის კონფერენცია 80 წლისაა

## წაიდა-მოიდები

28

*იოსებ ჯაფარიძე*

### სამი ლეგენდარული ალპინისტის სიკვდილი გამარჯვების პიკზე

*29 აგვისტო, 1961*





20

## «ვივამედის» ფსიქიატრიული კლინიკა

2

***ვინაიდან თბილისში არ არსებობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპეციალიზებული დაწესებულება, სადაც ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებს მაღალ დონეზე უმკურნალებენ, ხოლო საქართველოს***

# «ვივამედის» ფსიქიატრიული კლინიკა

***ხელისუფლება ცოცხალი თავით არ აპირებს, პატიმარი სააკაშვილი „ვივამედის“ კომფორტული ლუქს-პალატიდან ციხეში ან ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანოს, ერთადერთი გამოსავალიღა რჩება — სამედიცინო ცენტრ „ვივამედს“ პროფილი შეეცვალოს და ფსიქიატრიულ კლინიკად გადაკეთდეს.***






**სამედიცინო ცენტრ „ვივამედს“, სადაც საქართველოს მთავარი ფსიქიატრიული პაციენტი — მიხეილ სააკაშვილია მოთავსებული, დანიშნულება შეეცვალოს და „ვივამედის“ ფსიქიატრიული კლინიკა ეწოდოს!**

თავის დროზე, როცა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ **თბილისში, ასათიანის ქუჩაზე მდებარე ცნობილი ფსიქიატრიული საავადმყოფო დახურა,** საზოგადოების ნაწილი ხუმრობითა თუ ნახევრად ხუმრობით ამბობდა — **სააკაშვილმა საგიჟეთი იმიტომ გააუქმა, რომ იქ თვითონ არ მოხვედრილიყოო!**

რაკი ნაცების ბელადი ფსიქიატრიული პაციენტის ნიშანთვისებებს ყოველთვის მკაფიოდ ამჟღავნებდა, მართლაც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ **ასათიანის სახელობის კლინიკა** იქ მოხვედრის ქვეცნობიერი შიშით ან სულაც გაცნობიერებულად დახურა.

თანაც, **სააკაშვილის ხელისუფლებამ არ შეასრულა საჯაროდ დადებული პირობა, რომელიც ასათიანის საავადმყოფოს ადგილას ახალი, 300-საწოლიანი ფსიქიატრიული კლინიკის აშენებას გულისხმობდა.**

სამაგიეროდ, **ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფოს** ადგილას დღეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსებია წამოჭიმული, რომლებიც **მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის „ახალმა სამშენებლო კომპანიამ“** ააშენა.

შესაბამისად, თბილისში **ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფო** რომ აღარ არსებობს, ამაში გარკვეული ბრალი მიუძღვით პარტია „ლელოს“ ლიდერებსაც, რომელთაგან ერთი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის ყოფილი მდივანი **მამუკა ხაზარაძე — ხვალ, 18 თებერვალს,** 36 წლის წინათ, ეროვნული მოძრაობის მიტინგს დაარბევს და **მერაბ კოსტავაზე** ხელს აწევს.

ცხადია, ქვეყანაში ერთი დიდი ფსიქიატრიული საავადმყოფოს არარსებობაზე პასუხისმგებელია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაც, რომელმაც 12 წლის განმავლობაში, ვერაფრით მოაბა თავი ამ მართლაც სერიოზული და ბევრი მოქალაქისათვის მტკივნეული პრობლემის გადაწყვეტას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს ის, რაც ზემოთ ვთქვით: **სამედიცინო ცენტრ „ვივამედს“, სადაც საქართველოს მთავარი ფსიქიატრიული პაციენტი — მიხეილ სააკაშვილია მოთავსებული, დანიშნულება შეეცვალოს და „ვივამედის“ ფსიქიატრიული კლინიკა ეწოდოს!**

**„ვივამედის“ ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ** გადაკეთების საჭიროება კიდევ ერთხელ გამოიკვეთა გასულ კვირას, როცა **პაციენტმა სააკაშვილმა** თავის სასამართლო პროცესზე დისტანციური ჩართვისას განაცხადა:

*„მინდა, ყველას მივმართო, ვინც ჩემთან შეჯიბრს გააგრძელებს — ძალიან პატარა ხალხი ხართ. მეცინება, რომ მართლაც ჰგონიათ, რომ ამ გაუბედურებულ, პატარა ქვეყანაში მე რაიმე თანამდებობის დაკავებაში თქვენი კონკურენტი ვარ.* ***მე საკმარისი ასოებით ვარ უკვე ჩაწერილი მთელი მსოფლიოს ისტორიაში“.***

უნდა განიმარტოს, რომ პაციენტის მიმართვის ადრესატები არიან ოპოზიციური ძალების ლიდერები, რომლებსაც ნაცბელადი მის მიმართ უყურადღებობასა და გულგრილობაში ადანაშაულებს, აქაოდა — ჩემი გათავისუფლებისათვის არ იბრძვით, რადგან გგონიათ, რომ პატიმრობიდან თავის დაღწევის შემთხვევაში, ყველას დაგჩრდილავთ, გვერდზე გაგაჩოჩებთ და ივანიშვილისათვის წართმეულ ძალაუფლებას მთლიანად მე ჩავიგდებ ხელშიო!

თუმცა, ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ **„ვივამედის“ პაციენტი** აცხადებს: **ამ „პატარა და გაუბედურებულ ქვეყანაში“ ჩემი რანგისა და მასშტაბის პოლიტიკოსისათვის შესაფერისი თანამდებობა არც არსებობსო!**

ესე იგი, სად ჩემი აღმატებულება და სად ეს ძღინკიანი საქართველოო! — რეალურად, ამას ამბობს პაციენტი, რომელმაც ქართული პასპორტი უკრაინულ პასპორტში მხოლოდ იმის გამო გაცვალა, რომ ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტი დაეკავებინა.

**სრულიად აშკარაა, რომ საქმე გვაქვს კლასიკურ შემთხვევასთან, როცა ფსიქიატრიული პაციენტები თავიანთ თავს ალექსანდრე მაკედონელებად, იულიუს კეისრებად, ნაპოლეონ ბონაპარტეებად, დავით აღმაშენებლებად თუ სულაც იესო ქრისტეებად აცხადებენ, თუმცა, ერთი რამ არის საკითხავი — რას გულისხმობს პაციენტი სააკაშვილი, როცა ამბობს — მსოფლიო ისტორიაში საკმარისი ასოებით ვარ ჩაწერილიო?**

**„საკმარისი ასოებით“** რას

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**„მაიდანი“ არ მოხდება** საქართველოში და **არ მოხდება „უკრაინიზაცია“.**

„რეზონანსი“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

ჩვენ ვერ ვიხელმძღვანელებთ იმით, **რა მოეწონება და რა არა ბრიუსელში რომელიღაც გაზულუქებულ ბიუროკრატს,** ჩვენ გამოვდივართ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან.

ჩვენი ერთ-ერთი დაპირება იყო **წინა ხელისუფლების დანაშაულების გამოძიება,** მოღალატეობრივ ქმედებებზე **ყველა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს.**

„პირველი არხი“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

**ყოველი რადიკალი „ენჯეოს“ უკან რადიკალი დონორი დგას. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ რადიკალური დღის წესრიგის უკან — შვედეთის ხელისუფლების დაფინანსება.** შვედეთის ხელისუფლების ერთ-ერთი ლიდერი და პარლამენტის ევროპულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ერიკ ოტოსონი** ღიად მოუწოდებს **მაიდნისკენ და რადიკალიზაციისკენ.** მის ამ განცხადებას შვედეთიდან არავინ გამიჯვნია.

„ფეისბუქი“



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*

საგამოძიებო კომისიის მიერ დამტკიცდება, რომ **ნაცმოძრაობის პოლიტიკაში არსებობა სამართლებრივად უნდა აიკრძალოს!**

„რეზონანსი“



**ირაკლი გოგავა**
*პოლიტოლოგი*

ქართული მედია **უცხოური ფულით** არ უნდა ფინანსდებოდეს!

„საქართველოს რესპუბლიკა“



თბილისში **ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფო** რომ აღარ არსებობს, ამაში გარკვეული ბრალი მიუძღვით პარტია „ლელოს“ ლიდერებსაც, რომელთაგან ერთი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის ყოფილი მდივანი **მამუკა ხაზარაძე** — **ხვალ, 18 თებერვალს,** 36 წლის წინათ, ეროვნული მოძრაობის მიტინგს დაარბევს და **მერაბ კოსტავაზე** ხელს აწევს!

ნიშნავს?

ალბათ, უნდოდა, ეთქვა — **ოქროს ასოებითო!**

მაგრამ რაკი არ დაუკონკრეტებია, სრული უფლება გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილის მიერ ნახსენები **„საკმარისი ასოების“** ზუსტი რაოდენობა, რომლითაც იგი შეიძლება, მსოფლიო ისტორიაში ჩაეწეროს, 3 გახლავთ!

**კი, 3 ასო სრულიად საკმარისი იქნება, რომ სააკაშვილის მთელი ცხოვრება და საქმიანობა საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში სრულფასოვნად აისახოს!**

თუმცა, სანამ ეს მოხდება, აუცილებელია, სამედიცინო ცენტრი **„ვივამედი“ ფსიქიატრიულ კლინიკად ტრანსფორმირდეს,** რაც, სხვა თუ არაფერი, იმის გარანტია მაინც იქნება, რომ პაციენტ სააკაშვილს ზუსტად ისეთი მკურნალობა ჩაუტარდეს, როგორიც სჭირდება!

## ბოლოთქმის მაგიერ

**„ვივამედის“ ფსიქიატრიული კლინიკის** პოტენციური პაციენტი გახლავთ საქართველოს კიდევ ერთი ყოფილი პრეზიდენტი, **პოლიტიკური ყვავი სალომე ზურაბიშვილი,** რომელიც აქამდე ორბელიანების ისტორიული სასახლიდან ყრანტალებდა, ახლა კი გარე-გარე მიმოდის და დაყრანტალებს.

**ყვავი ხვდება** ოპოზიციის წარმომადგენლებს!

**ყვავი ხვდება** არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს!

**ყვავი ხვდება** მედიის წარმომადგენლებს!

ვითომ ისევ პრეზიდენტია და ვითომ **ისევ ქართველი ხალხის სახელით უნდა ეყრანტალოს** თავის საერთაშორისო პარტნიორებს!

კი, ყვავის ფსიქოლოგიური მდგომარეობა იმდენად კრიტიკულია, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვიდან ორი თვის შემდეგაც თავს საქართველოს ერთადერთ ლეგიტიმურ პრეზიდენტად და მთავარსარდლად აცხადებს. მაგალითად, **ზურაბიშვილმა,** რომელსაც საპრეზიდენტო ვადა 2024 წლის 29 დეკემბერს ამოეწურა, 2025 წლის 5 თებერვალს განაცხადა:

***„როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, მინდა, ვთქვა — სრულიად მიუღებელია ის, რაც გამოცხადდა, რომ შეიძლება, რეპრესიები და დათხოვნები შეეხოს თავდაცვის სამინისტროს, არ შეიძლება, ამ უწყების რამენაირად პოლიტიზირება“.***

როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა მინდა, განვაცხადოო...

აი, კიდევ ერთი დასტური, რატომ უნდა არსებობდეს „ვივამედის“ ფსიქიატრიული კლინიკა და რატომ უნდა იწვეს იქ პაციენტი ზურაბიშვილი პაციენტ სააკაშვილის გვერდით!

და კიდევ: **ყვავის ფსიქიკური მდგომარეობის დამძიმებაში სერიოზული წვლილი მიუძღვით ევროპარლამენტარებს, რომლებმაც გასულ კვირას საქართველოსთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერეს, რომ ზურაბიშვილი ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტია!**

ასე აგიჟებენ **ყვავს** შიგ ევროპიდან და, ჩანს, მანამდე არ მოეშვებიან, სანამ „ვივამედის“ ფსიქიატრიული კლინიკის კარამდე არ მიიყვანენ!

**ჯაბა ხუბუა**






# მაყვალა ბერიანიძე: მამუკა ხაზარაძემ მერაბ კოსტავას სულსა და „ასავალ-დასავალს“ ბოდიში მოუხადოს!





## „თბილისელმა ბიჭებმა, რომლებიც კომკავშირშიც მუშაობდნენ და მაგარი ქართველებიც იყვნენ, მამუკა ხაზარაძეს მომხდარის გამო პასუხი მოსთხოვეს და მამუკას მაშინ მოხვდა!“

*ჟურნალისტი **მაყვალა ბერიანიძე** საქართველოში შექმნილ მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და 1989 წლის 18 თებერვალს მერაბ კოსტავასა და ზონდერ-კომკავშირელ მამუკა ხაზარაძეს შორის მაშინდელი „გეპეის“ პირველი კორპუსის წინ მომხდარ ინციდენტს იხსენებს:*

— ვიდრე **1989 წლის 18 თებერვალს** მამუკა ხაზარაძის მიერ ჩადენილი „გმირობის“ შესახებ მოგახსენებდეთ, მანამდე მინდა, დაბადების დღე მივულოცო **ბიძინა ივანიშვილს.** დედამისს, ქალბატონ **ციცინოს** ძალიან კარგად ვიცნობდი... ერთხელ თავისი სახლის წინ, სადაც გრძელი სკამი იყო და ერთად ვისხედით, **ქალბატონ ციცინოსთან** საუბარში ჩემი გულისტკივილი არ დავმალე. მან ასეთი რამ მითხრა — **რას იზამ, შვილო, ფუტკარი რამდენ სიკეთეს აკეთებს, მაგრამ უამრავი მტერი ჰყავსო და ჩამომითვალა ფუტკრის მტრები!** გავოგნდი... ბატონ ბიძინას დღეგრძელობას ვუსურვებ, მართლა რამდენი მტერი ჰყოლია და ამდენი ხნის განმავლობაში რისთვის გაუძლია?! რაც შეეხება **1989 წლის 18 თებერვალს** მამუკა ხაზარაძესა და მერაბ კოსტავას შორის მომხდარს, გამოვიდეს მამუკა ხაზარაძე და „ასავალ-დასავალს“ ბოდიში მოუხადოს! ის **5 ათასი ლარი,** რომელიც ვითომ „მოგებული“ სასამართლო პროცესით „ასავალ-დასავალს“ წაართვა, **ხაზარაძეს** ურჩევნია, თავისი ბანკის მიერ დაზარალებულ მოსახლეობას გადასცეს ანდა თავის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**პაატა ნაცვლიშვილი**
*პოეტი, ჟურნალისტი*



შენც კაი რამე ხარ, **ამერიკა!**
მძაგს **მე არაკი!**

შენაც, **რუსეთო,**
მიწყივ
**სუ ერთო,**
დასტურ
**სეთურო!**

განვედ, **ევროპა,**
საპნის **ოპერავ!**
შენში **რა ვპოვე?!**

**მაკა ბოჭორიშვილი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



საქართველოსთან მიმართებაში **„მაიდნის“ სცენარი** არამხოლოდ **განიხილებოდა,** არამედ **მზადდებოდა** კიდეც.

„პირველი არხი“

**არჩილ გორდულაძე**
*პარლამენტარი*



ყველამ კეთილი ინებოს და **დემოკრატიულ არჩევნებს პატივი სცეს.** მნიშვნელობა არა აქვს, პარტიის ლოგო რა ფერის იქნება, **ნაცი ნაცობას ვერ მოიშლის, სალომე ზურაბიშვილიც** ერთ-ერთი ნაცია.

„პირველი არხი“

**ლევან დავითაშვილი**
*ეკონომიკის მინისტრი*



**კორუფციის აღქმის ინდექსით** საქართველო ინარჩუნებს ლიდერობას რეგიონში და **უსწრებს ევროკავშირის ბევრ ქვეყანას.**

„რეზონანსიდეილი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



როგორც ჩანს, **„ქართული ოცნება“ ნაცმოძრაობას აკრძალავს,** კომისია იმიტომ შექმნეს, რომ **ნაცმოძრაობამ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს** და სხვებმაც ბოიკოტი გამოუცხადონ.

„რეზონანსი“



## „ბატონ ბიძინას დღეგრძელობას ვუსურვებ, მართლა რამდენი მტერი ჰყოლია და ამდენი ხნის განმავლობაში რისთვის გაუძლია?!“

## მაყვალა ბერიანიძე:

# ხელისუფლებას ვურჩევ – „ქართული ოცნების“ ნამდვილი დამფუძნებლები მოძებნოს!



დასაწყისი მე-3 გვერდზე

სკოლას აჩუქოს, რომელსაც საქართველოს ისტორიის ერთი წიგნიც კი არ უყიდა და ეს ამბავი რომ გავიგე, წიგნები სკოლას მე ვაჩუქე!

**— ქალბატონო მაყვალა, წარმოუდგენელია, არ იცოდეთ, რომ 1989 წლის 18 თებერვალს, მაშინდელი „გეპეის“ პირველი კორპუსის წინ, ზონდერ-კომკავშირელთა უსტაბაში მამუკა ხაზარაძე სულმნათი მერაბ კოსტავას მიტინგს არბევდა და პირადად მერაბ კოსტავას ცემას ლამობდა!**

— ეს ამბავი არის მართალი და **მამუკა ხაზარაძეს** ურჩევნია, ის თქვას, თუ რას ეუბნებოდა და როგორ აგულიანებდა თავის ზონდერებს დარბევის წინ! აღიაროს ყველაფერი!.. იმ კომკავშირში მაგარი ბიჭები და ქართველები იყვნენ და **ჟიული შარტავაა** ამის მაგალითი. სწორედ ასეთი ბიჭებისაგან **მამუკა ხაზარაძეს** მაშინ მოხვდა!

**— ანუ მერაბ კოსტავაზე ხელის აღმართვა მამუკა ხაზარაძეს თავად კომკავშირელებმა არ აპატიეს?**

— დიახ, თბილისელმა ბიჭებმა, რომლებიც კომკავშირშიც მუშაობდნენ და მაგარი ქართველებიც იყვნენ, **მამუკა ხაზარაძეს** მომხდარის გამო პასუხი მოსთხოვეს და **მამუკას** მაშინ მოხვდა! სხვათაშორის, ცხონებული **მერაბ კოსტავა** მერე ამ ბიჭებს შეხვდა და თქვა — თქვენ რა მაგარი ბიჭები ყოფილხართო! აი, მაგალითად, **გიგლა ბარამიძეს** სწორედ ეს თბილისელობა არ აპატიეს... **გიგლას** არც ის აპატიეს, ახალციხეში თამარ მეფის ძეგლი რომ დადგა. აი, ეს გაუხსენეს და იმიტომ იყო, წლების განმავლობაში საქართველოდან რომ განდევნეს.

**— თქვენ საიდან იცით მერაბ კოსტავასა და მამუკა ხაზარაძეს შორის მომხდარი დაპირისპირების დეტალები?**

— მაშინ **მერაბ კოსტავას** ახლობელი ქალბატონი გამოვიდა ჩემთან კავშირზე და მთხოვა, დამედგინა იმ კარგი, თბილისელი ბიჭების ვინაობა, რომლებიც მერაბის გამო **მამუკა ხაზარაძეს** დაუპირისპირდნენ! მე ეს თხოვნა შევასრულე... სწორედ ამის შემდეგ მოხდა იმ ბიჭებისა და მერაბ კოსტავას შეხვედრა. მერაბ კოსტავა პირადად რომ გავიცანი, მან მამუკა ხაზარაძესთან მომხდარი ინციდენტი დაადასტურა! აი, ამიტომაც ვაცხადებ — **მამუკა ხაზარაძემ მერაბ კოსტავას სულსა და „ასავალ-დასავალს“ ბოდიში მოუხადოს!**

სხვათაშორის, სწორედ იმ პერიოდში, როცა **1989 წლის 18 თებერვალს** ეს ამბავი მოხდა, თბილისიდან, კერძოდ, მაშინდელი „გეპეიდან“ და კიდევ სხვა დაწესებულებებიდან, რაიონებში ჯგუფები მიავლინეს ვითარების ასარევად. კასპში, ცემენტის ქარხნის კულტურის სახლის წინ, არასრულწლოვნები დასვეს და შიმშილობა დააწყებინეს. ბავშვები პანტაპუნტით ცვიოდნენ მიწაზე, გული უწუხდებოდათ, ხოლო თბილისიდან ჩამოსული მათი ზედამხედველები რესტორნიდან არ გამოდიოდნენ და ქეიფობდნენ. ავდექი და დავურეკე **მერაბ კოსტავას...** დილის 5 საათზე ჩამოვიდა ცხონებული **მერაბი** კასპში და იქ ამბავი ატყდა, თქვენს მტერს. პირდაპირ უთხრა იმ რესტორანში მოსიარულე ხალხს — თქვენ დაღუპავთ საქართველოსო! მართლაც ასე მოხდა...



რემი ვაშაკიძე

**— მოდით, დღევანდელ ვითარებაზე ვისაუბროთ! რას იტყვით ქართველ პროტესტანტებსა და ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე?**

— იცით, რომ 1900-1924 წლების საქართველოს ისტორიაზე ვმუშაობ. გაგიკვირდებათ, მაგრამ გეტყვით, რომ საქართველოს ისტორია გვარებითა და სახელებით მეორდება. აი, მაგალითად, **მამუკა ხაზარაძის** პარტიაში არის ვინმე **გრიგოლ გეგელია,** რომელიც პარლამენტში არ შევიდა, მაგრამ პოლიციამ რომ სტაცა ხელი, აყვირდა — დეპუტატი ვარო! პიროვნულად **გრიგოლ გეგელიას** არაფერს ვერჩი, მაგრამ საქართველოში 20-იან წლებშიც ცხოვრობდა **სპირიდონ კედიას** ნათესავი **გრიგოლ გეგელია,** რომელიც **ლავრენტი ბერიას** აგენტი იყო. ბერიამ მას დიდძალი ფული მისცა და 1924 წლის აჯანყების შემდეგ საფრანგეთში „სასწავლებლად“ გაგზავნა. არადა, სინამდვილეში **გეგელია** ქართულ ემიგრაციაში ჩანერგეს... არ ვიცი, რა კავშირი აქვს ამ **გრიგოლ გეგელიას** იმ **გრიგოლ გეგელიასთან,** მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, რომ **სპირიდონ კედიას** შთამომავალმა **სალომე ზურაბიშვილმა** სპირიდონ კედიას ნათესავის სეხნია და მოგვარე **გრიგოლ გეგელია** მამუკა ხაზარაძესთან ჩანერგა!

არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო **დავით უსუფაშვილის** განცხადებას, რომელმაც ამ დღეებში ტელევიზიით ასეთი რამ თქვა — მე ასეთი და ასეთი განათლებული კაცი ვარ და დღევანდელი ხელისუფლება ვინ არისო?! უსუფაშვილო, შე ნაძირალა, მე კომპარტია უკვე დატოვებული რომ მქონდა და შენ 1989 წლის 10 აპრილს შეხვედი კომპარტიაში, ეს როგორ იყო?

**— მოგეხსენებათ, 1989 წლის 18 თებერვალს მერაბ კოსტავა აფხაზეთ სეპარატისტების წინააღმდეგ ატარებდა მიტინგს, როცა მამუკა ხაზარაძე თავს დაესხა... მერე როგორც განვითარდა მოვლენები, ყველამ კარგად ვიცით — საქართველოში ეროვნული ხელისუფლება დაამხეს და 1992 წლის 14 აგვისტოს შევარდნაძემ აფხაზეთში ომი დაიწყო, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს რკინიგზის შეფი, ცხონებული რემი ვაშაკიძე!**

— დღეს, 17 თებერვალს, **რემი ვაშაკიძის** დაბადების დღეა, 90 წელი შეუსრულდებოდა, ცხონდეს მისი სული! **რემი ვაშაკიძემ** სწორედ თქვენთან ინტერვიუში გაიხსენა, როგორ სთხოვდა შევარდნაძეს 25 ავტომატს — რკინიგზაზე ჩემი ძალებით დავამყარებ წესრიგს, აფხაზეთში გვარდია და „მხედრიონი“ არ შეიყვანოო! **რემი ვაშაკიძე** მზად იყო, შეხვედროდა არძინბას, უსისხლოდ მოეგ-



ვლადისლავ არძინბა, ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძე

## „ომი აფხაზეთში იმისთვის დაიწყო, რათა საქართველოს წაეგო და ეს კუთხე დაგვეკარგა! როგორც ჩანს, შევარდნაძეს ასეთი დავალება ჰქონდა და იმიტომაც არ შეისმინა რემი ვაშაკიძის ვედრება!“

## კვირგვინოსნები

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



ერთკვირიან პატიმრებზე რომ ამბობენ — **წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას განიცდიანო,** აბა, იმას რა ვუწოდოთ, რასაც ეს ბოროტი არსებები **გვარამია, სააკაშვილი, სამადაშვილი** აკეთებდნენ? **დაგვავიწყდა, ტყეში, მიწურში მეგრელი კაცის განწირული გმინვა, მერაბიშვილ-ახალაიების ჯალათები რომ აუპატიურებდნენ?!** გამაუპატიურებელს წინასწარ „ვიაგრა“ რომ დაალევინეს. **აი, ეს იყო არაადამიანური მოპყრობა და წამება,** ეს კივილი **სალომე სამადაშვილს, გვარამიას, ხაზარაძეს, ჯიკუ ვაშაძეს** სულ ყურებში ექნებათ. **ნურც ის დაგვავიწყდება, როგორ აბამდნენ ცოცხალ ადამიანებს გვამებზე გლდანის ციხეში მიშა-მაგარიას დროს.** თუ არადა, გავახსენებ, არაერთი ფილმი მაქვს გადაღებული ამ ბოროტების მსახურებზე!

„საერთო გაზეთი“

**თეიმურაზ ქორიძე**
*ჟურნალისტი*



დღევანდელ რადიკალებს, **თავს რომ ოპოზიციად წარმოგვიდგენენ**, მხოლოდ ერთადერთი რამ აინტერესებთ — **მანი, მანი, მანიიი...**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მამუკა ფიფია**
*პარტია „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ საერთაშორისო მდივანი*



აგვისტოში, როდესაც უკროფაშისტები კურსკში შეიჭრნენ, პირველ რიგში, საქართველოს დროშა მოიტანეს... რისთვის იყო ეს საჭირო? **უთუოდ, იმაზე იყო გათვლა, რომ რუსი ხალხი ქართველებზე განერისხებინათ. თავიდან წავეჩხუბებინეთ, ჩვენი შემორჩენილი კავშირები ჩამოეშალათ, რადგან რუსეთ-საქართველოს კავშირი შობს ისეთ მოღვაწეებს, როგორებიც არიან ბაგრატიონი, ქანთარია, სტალინი, ბერია, რაც ჩვენს საერთო მტრებს ძალზე აშინებთ!**

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციები და პოლიტიკოსები **ყველანაირად ხელს უწყობდნენ არეულობის შემოტანას, ქაოსს** და სწორედ ეს არის საბოტაჟი.

**მარტო 2008 წლის ამბები კმარა** ყველაფერი იმისთვის, რომ საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაახსენდეს, **რა უბედურებაში გარია ქვეყანა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა.**

„იმედინიუსი“



# «უსუფაშვილო, შე ნაძირალა, მე კომპარტია უკვე დატოვებული რომ მქონდა და შენ 1989 წლის 10 აპრილს შეხვედი კომპარტიაში, ეს როგორ იყო?»

ვარებინა ყველაფერი, მაგრამ, მოგეხსენებათ, შევარდნაძემ სხვაგვარად გადაწყვიტა, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, უამრავი ადამიანი და, მათ შორის, **ჟიული შარტავა** შეეწირა!

**— რემი ვაშაკიძემ ჩემთან საგაზეთო საუბრისას ისიც კატეგორიულად განაცხადა, რომ აფხაზეთსა და სამეგრელოში რკინიგზაზე მომხდარი დივერსიებისა და აფეთქებების უკან სინამდვილეში შევარდნაძე იდგა! რატომ დაიწყო შევარდნაძემ აფხაზეთის ომი?**

— გამომდინარე იქიდან, თუ რატომ ჩამოიყვანეს ამერიკელებმა 1991 წლის აგვისტოში სოხუმში **ბინ ლადენი;** რატომ დაამხეს **ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება; რატომ შეიქმნა „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაცია“;** რატომ შეიქმნა სოხუმში **ქართველ მასონთა ორგანიზაცია,** რომლის ხელმძღვანელი **თემურ იაკობაშვილი** სააკაშვილმა ჯერ სახელმწიფო მინისტრად დანიშნა, ხოლო შემდეგ ამერიკაში ელჩად გაამწესა, **დარწმუნებით შემიძლია, გითხართ, რომ ომი აფხაზეთში იმისთვის დაიწყო, რათა საქართველოს წაეგო და ეს კუთხე დაგვეკარგა!** როგორც ჩანს, შევარდნაძეს ასეთი დავალება ჰქონდა და იმიტომაც არ შეისმინა **რემი ვაშაკიძის** ვედრება!

**— რემი ვაშაკიძე, ფაქტობრივად, ამის გამო დაიჭირა შევარდნაძემ!**

— არა მხოლოდ მაგის გამო! **რემი ვაშაკიძემ** რკინიგზის დეპარტამენტიდან შაქრის შემოსატანად გადარიცხა ფული, რათა ბავშვებს შაქრიანი ჩაი დაელიათ. შაქრის ნაცვლად საქართველოში ამ ფულით „კოკა-კოლას“ ბოთლები და სახურავები შემოიტანეს. ამის გამო **რემიმ** იჩივლა და უზენაეს სასამართლოში ორი პროცესი მოიგო, მაგრამ მერე დაიჭირეს და მესამე პროცესი აღარ მოაგებინეს!

**— დღევანდელ პროტესტანტებს, რუსთაველზე რომ ჭლავიან და ბილწსიტყვაობენ, რა შანსი აქვთ?**

— მათ ძალა არა აქვთ, მაგრამ ესენი საშიში ხალხია. ჩინელი **სუნ ძი** თავის **„ომის ხელოვნებაში“** წერს — *მოსპეთ, დაალპეთ და გააუფასურეთ ყველაფერი, რაც მტერს კარგი აქვსო; ითანამშრომლეთ ყველაზე გახრწნილ, გათახსირებულ ადამიანებთანო; წააქეზეთ ახალგაზრდები მოხუცების წინააღმდეგო; ყველანაირად შეუშალეთ ხელი მთავრობის საქმიანობასო; ყველაფერი გააკეთეთ მოწინააღმდეგის რწმენისა და ტრადიციების გასაუფასურებლადო; ფული ინფორმაციისა და თანამზრახველთა საყიდლად არ დაინანოთო...* **სუნ ძი** ჩინელებს კატეგორიულად აფრთხილებს — ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ უნდა გააკეთოთო! აი, ეს გარეწრები, ამ ყველაფერს აკეთებენ საქართველოს წინააღმდეგ, რადგან საქართველო ამათთვის სამშობლო არ არის და ხელისუფლებაში მოსასვლელად მზად არიან, ქვეყანა დაღუპონ! აი, ამიტომ არის ეს საშიში ხალხი...



# ჟურნალისტ მაყვალა ბერიანიძეს სნაიპერმა ესროლა!!!

დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი

ერიდეთ ერთი წიგნის მცოდნეს!

ასავალ-დასავალი

WWW.ASAVALI.GE

2006 წლის 20-26 თებერვალი N8 (598)

ასეთი მასრებით ერთ დროს რუსთაველის გამზირი სავსე იყო

საქართველოში ჟურნალისტების ხოცვა-ჟლეტა, ქვეყნის გაუბედურებასთან ერთად, 1992 წლიდან დაიწყო!.. უამრავი ჩვენი კოლეგა შეეწირა უმაღლეს ჩინოსანთა იმ სახელისუფლებო თამაშებს, რომელთა ერთადერთი შედეგი — **სიკვდილი** — ცხონებულმა გიორგი ბეზირგანმა თავის დოკუმენტურ მოთხრობებში ოსტატურად არაერთხელ აღწერა...

**13 თებერვალს სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა ცნობილი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე, რომელსაც ვაჟა-ფშაველას გამზირზე, თავისი სახლის სადარბაზოსთან საგულდაგულოდ ჩასაფრებული მკვლელები ელოდნენ.**

რომ არა ღვთის სასწაული, „ჟურნალისტთა შავი ქვა“ კიდევ ერთი შესანიშნავი ადამიანის ტრაგედიას ამოიკაწრავდა გულზე — დაიქცეოდა ოჯახი, გაუბედურდებოდა ბიჭობაში ფეხშედგმული **სანდრო მერმანიშვილი,** რომელსაც სწორედ ახლა სჭირდება დედის სითბო და მზრუნველი ხელი.

**მაყვალა ბერიანიძე წინა პარლამენტში მიხეილ ოსაძის საგამოძიებო კომისიის აპარატის უფროსი იყო და მის** ...

...ოვა.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ვერსიით, მაყვალა ბერიანიძეს როყიო ტყვია მოხვდა, რომელიც, თურმე, ერთმანეთს წაკინკლავებულმა ქუჩის ბიჭებმა გაისროლეს. ამ ზღაპარს არათუ კრიმინალისტი, მეძუძური ბავშვიც არ შეისმენს, რადგან სროლის დროს ბერიანიძეს, ერთი მხრივ, ავტომობილი ფარავდა, მეორე მხრივ — საცხოვრებელი კორპუსის უშველებელი კედელი;** „მერსედესს“ ნაკაწრიც კი არ ეტყობა, არც კედელზეა ნატყვიარი!.. უფრო სარწმუნოა ის აზრი, რომ ადამიანებზე სანადიროდ ქუჩაში გამორეკილმა მკვლელებმა შემთხვევის ადგილიდან შორს, 175 მეტრის მოცილებით განგებ ატეხეს ბათქაბუთქი, რათა მსხვერპლი დაებნიათ და რომელიღაც ჩასაფრებულმა, **იქვე, მეზობელი სადარბაზოსთან** ...

**— რას იზამს საგამოძიებო კომისია, რომელმაც მუშაობა უკვე დაიწყო?**

— 1995 წელს საქართველოს პარლამენტში შეიქმნა **მაღალი თანამდებობის პირების ქმედებების კანონიერების შემსწავლელი კომისია,** სადაც აპარატის უფროსი ვიყავი. სწორედ იმ კომისიამ მოხსნა უშიშროების მინისტრი, გენერალური პროკურორი და ა.შ. სწორედ ამ კომისიამ მოძებნა, რუსეთიდან ჩამოიყვანა და დააპატიმრა **გოჩა ჯიქიას** მკვლელი, რომელსაც მანამდე თავდაცვის სამინისტროში აწინაურებდნენ და ჯილდოებს აძლევდნენ. 2003 წლის ნოემბერში სააკაშვილი მოვიდა თუ არა, მესამე დღეს გამათავისუფლა და კომისია დაშალა. მხოლოდ 2003-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულების გამოძიება არ კმარა. ამიტომ **ბიძინა ივანიშვილს** ვთხოვ, აუცილებლად შექმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც დაკომპლექტდება საზოგადოებრივ საწყისებზე და მასში შევლენ არამარტო პარლამენტის წევრები, არამედ საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებები — ჟურნალისტები, ისტორიკოსები, იურისტები, ხელოვნების მუშაკები და ა.შ. ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი და გაირკვეს — **ვინ ესახლა ზვიად გამსახურდიას „ჩაუშესკუს“? ვინ გაიყვანა რაზმი ზღვაზე? ვინ წაიყვანა გვარდია რკონის ტყეში? ვინ იდგა ქაშუეთთან იარაღით? ვინ ვის და რატომ ესროდა? რა მოხდა აფხაზეთში? 1991 წლის აგვისტოში ვინ დამალა სოხუმში ბინ ლადენის ჩამოყვანა? 1992 წლიდან მოყოლებული, რატომ არის გია ბარამიძე სულ საპარლამენტო სიაში? რატომ იყო 1995 წლის 29 აგვისტოს „ტერაქტი“ სპექტაკლი? ვინ ჩაწერა 1995 წელს სააკაშვილი საპარლამენტო სიაში?**

აი, ეს ყველაფერი თუ არ იქნა გამოძიებული, არაფერი ამ ქვეყანას არ ეშველება! აუცილებლად მივწერ კომისიას წერილს, რატომ არ მაქვს მე მკურნალობისთვის საჭირო ხარჯები, როცა მესროლეს, ოჯახი გამიძარცვეს და სამსახური დამაკარგვინეს და რატომ არის მზია ამაღლობელი წამოკოტრიალებული სააკაშვილთან ერთად „ვივამედში“? მაინცდამაინც პოლიციელი უნდა ვცემო, რომ მიმკურნალონ? ხალხი ძალიან ბევრ რამეს ითმენს... ამათ, ამ მოღალატეებს, ოპოზიცია რომ ჰქვიათ, საქართველოში სამოქალაქო ომის გაჩაღება სურთ, მაგრამ საქართველოს ვერაფერს დააკლებენ, რადგან კრიტიკულ მომენტში მოსახლეობა ყოველთვის სწორ არჩევანს აკეთებს. ახლაც სწორი არჩევანი აქვს მოსახლეობას გაკეთებული და მხარს უჭერს **ბიძინა ივანიშვილს,** რომელიც არის სტაბილურობის გარანტი.

**— ხელისუფლებას რას ურჩევთ?**

**— ხელისუფლებას ვურჩევ, „ქართული ოცნების“ ნამდვილი დამფუძნებლები მოძებნოს!**

**„რატომ არ მაქვს მე მკურნალობისთვის საჭირო ხარჯები, როცა მესროლეს, ოჯახი გამიძარცვეს და სამსახური დამაკარგვინეს და რატომ არის მზია ამაღლობელი წამოკოტრიალებული სააკაშვილთან ერთად „ვივამედში?“**

# „მაინცდამაინც პოლიციელი უნდა ვცემო, რომ მიმკურნალონ?“

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ვაჟა მაქარიშვილი**

*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



აუცილებელია, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეიქმნას პრეცედენტი, რომ საქართველოში **ეროვნული ინტერესების ღალატი, კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი გზით დამხობის მცდელობები და სხვისი ინტერესების მსახურება** ფულის და სხვა მერკანტილური მიზნებიდან გამომდინარე, დასჯადი იქნება. **გახარიამ, ხაზარაძემ, კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ პასუხი უნდა აგონ** იმისთვის, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე ჩაიდინეს.

„იმედინიუსი“

**სოზარ სუბარი**

*პარლამენტის ვიცე-სპიკერი, პარტია „ხალხის ძალის“ ლიდერი*



ერთ-ერთი ყველაზე მაღალი თანამდებობის პირის კაბინეტში **ამერიკის მაშინდელმა ელჩმა პირდაპირ თქვა — „ჩვენ ამას ვუწოდებთ რუსულ კანონს!“** კი მაგრამ, როგორ უწოდებთ **რუსულ კანონს,** ხომ იცით, რომ **არ არის რუსულიო?** ჰკითხეს! რა მნიშვნელობა აქვს, **ჩვენ ამას მაინც ვუწოდებთ რუსულ კანონსო!** — განაცხადა და მართლაც ასე „დაბრენდეს“ ჩვენი **ქართული გამჭვირვალობის კანონი.** არ უნდოდათ ძალიან რბილი კანონი?! ახლა უკვე **სიტყვასიტყვით გადმოვიღებთ ამერიკულ „ფარას“,** რომელიც იქნება მორგებული ქართულ რეალობაზე.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ირაკლი ზარქუა**

*პარლამენტარი*



ოპოზიციას ერთადერთი საერთო ჰქონდა — **უსამშობლოების გაერთიანება იყვნენ!** ისინი უცხოელი პატრონების დაკვეთით **ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლამ გააერთიანა.** მე იმ ახალგაზრდებზე ვდარდობ, **ამ უსამშობლოებმა ვინც გამოიყენეს.** თვითონ ჩირგვში სხედან თბილად მოკალათებულები, ხოლო ახალგაზრდები **ბრძოლის წინა ხაზზე გამოუშვეს** და შემდეგ არის დაკავებებიც. ძალიან ცუდია, რომ **ამ ახალგაზრდებზე გადაიარა ამ უსამშობლოების დაფინანსებამ** და მათ იყენებენ. ვიდრე დროა, **გამოფხიზლდნენ და ამ უსამშობლოებს თავს ნუ გამოაყენებინებენ!**

„რეზონანსი“

# 1 რევოლუცია ფეინებში

საბჭოთა კავშირის რღვევამ მხოლოდ მსოფლიო რუკა როდი შეცვალა. მან სერიოზულად იმოქმედა ფასეულობათა სისტემაზე. **ნათქვამია, ფარა რომ შებრუნდება, კოჭლი ცხვარი სათავეში მოექცევაო. სისტემის ნგრევამაც ასე „შეაბრუნა“ ფასეულობები: რაც კარგი იყო იმ სისტემაში, ცუდი აღმოჩნდა, რაც მიუღებელი იყო, მისასალმებელია დღეს.** მართლაც ასეა? განა შეიძლება საბჭოთა სკოლიდან ტელევიზორის მოპარვის გამართლება იმით, რომ ის სკოლა საბჭოთა იყო? განა მისასალმებელია ზღვარგადასული სიმდიდრე, როცა იგი სხვისი შიმშილის ხარჯზე იქმნება?

საბჭოთა პერიოდშიც კი ჩვენ ყველანი ვიზრდებოდით იმ შეგნებით, რომ სუსტის დაჩაგვრა, ფიზიკურ თუ გონებრივ ნაკლზე ყურადღების გამახვილება, ადამიანების გამორჩევა ეროვნებისა და აღმსარებლობის მიხედვით უზნეობაა, რომ აღარაფერი ვთქვათ ათ მცნებაზე, რომლებმაც ნათლად შემოფარგლა აკრძალვათა სივრცე. **მორწმუნეა ადამიანი თუ ათეისტი, მიუღებლისა და დაუშვებლის ნორმები თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუ არ ჩავთვლით ყოფით დეტალებსა და წმინდა გარეგნულ გამოვლინებებს. ერთნი ამას რწმენას უკავშირებენ, სხვები — მორალს, მაგრამ ქცევის შინაარსი ყოველთვის რეგლამენტირებულია.**

ყველა ეპოქაში ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის საკითხი იყო. **ვართ თუ არა თავისუფალი? ვცხოვრობთ თუ არა თავისუფალ ქვეყანაში? იყო თუ არა საბჭოთა კავშირიდან თავის დაღწევა თავისუფლების მომტანი?**

დღევანდელ მსოფლიოში ქვეყნების თავისუფლებას ციფრული კოეფიციენტებით აფასებენ, ეს კატეგორია აბსოლუტურ ხასიათს აღარ ატარებს. შეიძლება იყო ნაწილობრივ თავისუფალი, არათავისუფალი ან სრულიად თავისუფალი.

**ჩვენ ყველანი შევთანხმდით, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ჩვენ სრულიად არათავისუფალი ვიყავით, მაგრამ ვართ კი თავისუფალი დღეს ან მივდივართ მაინც თავისუფლებისკენ?**

თავისუფლების შეგრძნება სუბიექტურია. **ერთი დილეგშიც თავისუფალია, მეორეს კი ბუნებაშიც ტყვეობის შეგრძნება აქვს.** ერთნი თანამდებობისკენ ისწრაფვიან თავისუფლების მოსაპოვებლად, მეორენი კი თავისუფლების იმ შეზღუდვას გაურბიან, რომელიც თანამდებობას ახლავს. **რაშია ჩემი თავისუფლება? როდის არის ქვეყანა თავისუფალი? რა უფლებები აქვს თავისუფალ ადამიანს? თავისუფალ ქვეყანას? რის დათმობა შეიძლება და სად არის ის ზღვარი, რომლის იქით თავისუფლება იმდენად იზღუდება, რომ იგი განყენებული ცნების დონეზეღა რჩება?**

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან ლამის 34 წელი გავიდა. ისტორიისათვის ეს მეტად ხანმოკლე პერიოდია, ადამიანისთვის კი — საკმაო ხანი. განსაკუთრებით მათთვის, ვინც ახლა 50 წლის ან მეტისაა. ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლები სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა. **ჩინური წყევლა — დიდი ცვლილებების ხანაში გეცხოვროსო, სწორედ ამ თაობამ იწვნია ყველაზე მწარედ.** მოხუცები კი იმგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როცა საკუთარ თავზე გამოცდი, რომ ყოველივე ამაოა.

2007 წლის ნოემბრის სახალხო გამოსვლების დროს იმის მოლოდინი გაჩნდა, რომ ახალი რევოლუცია მოხდებოდა. **„როგორც მოვათრიეთ, ისე წავათრევთ!“** — ისმოდა ხელისუფლების მისამართით. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ **შევარდნაძის** 1995 წლის გამონათქვამი, როცა მას მობეზრდა **ჯაბა იოსელიანის** განცხადებები იმის შესახებ, რომ შევარდნაძე მან ჩამოიყვანა მოსკოვიდან. მაშინ მან განაცხადა: **„არავის ჩამოსაყვანი არაფერი მჭირდა!“** ასეა ვარდისფერი ხელისუფლების შემთხვევაშიც; თუ იმ მოვლენების მონაწილეებმა მართლაც დაიჯერეს, რომ ხელისუფლება მათი მოყვანილია, მაშინ ახლის მოყვანის პრეტენზიაც რატომ არ უნდა გაუჩნდეთ?

რევოლუციის შემდეგ თვალსაჩინო გახდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მასობრივი „გადაბარგება“ ხელისუფლებაში. რა საფანელიც არ უნდა მოუძებნონ ამას, ფაქტები მეტყველებს, რომ **ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში უპარტიო და მიუკერძოებელ ექსპერტებად ასაღებდნენ თავს, სინამდვილეში ასეთებს სულაც არ წარმოადგენდნენ. უბრალოდ, მაშინ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის ასე სჭირდებოდათ.**

ექსპერტების, როგორც რომელიმე დარგის მცოდნე სპეციალისტების პოლიტიკური მიზნებით გამოყენებამ უკანასკნელ წლებში მათი სრული დისკრედიტაცია გამოიწვია. ამ ვითარებაში მართლაც მიუკერძოებელი და ობიექტური ექსპერტი არცერთ დაპირისპირებულ მხარეს აღარ სჭირდება; **მთავარია, ექსპერტის მოსაზრებამ მათი პოლიტიკური პოზიციები განამტკიცოს**. ამიტომაც არის, რომ ხშირად ექსპერტებიც, პოლიტიკოსებივით, კომპეტენტური დასკვნის ნაცვლად, **პოლიტიკურ პოზიციებს** აფრქვევენ. სიტყვამ მოიტანა და **ბულგაკოვის ვოლანდი სხვას არაფერს სთავაზობდა ბერლიოზს: „— კონსულტანტი დამიძახეთო!“ — ასე მოკრძალებულად წარუდგა სატანა ათეისტს.**

ადამიანის გონების გაღმერთებამ ვერ გადაჭრა კაცობრიობის მარადიული პრობლემები. არც „პროგრესის“ პანაცეა გამართლდა. **არსებითად, ჩვენ დღესაც არა გვაქვს პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც უძველესი დროიდან უჩნდებოდა ადამიანს. უბრალოდ, ჩვენ შეთანხმებული ვართ, რომ გარკვეულ კითხვებზე გარკვეული პასუხები უნდა ჩავთვალოთ მართებულად, რადგან ჩვენი ყოფა ამ პასუხების პირობით უტყუარობაზეა დაფუძნებული, თორემ როგორც ირკვევა, ჩვენ ისიც ვერ გაგვირკვევია, მზე საიდან ამოდის.** აქ პოლიტიკურ „მზეზე“ არ მოგახსენებთ (*თუმცა,* ***„ჩრდილოეთის მზის“*** *ქვეშ მოსიარულეთათვისაც ერთ დროს მზე* ***„დასავლეთიდან ამოდიოდა“****, ხოლო გამოთქმა, რომ* ***„საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის“****, რომელიც* ***შევარდნაძეს*** *არ ეკუთვნის, სინამდვილეში 100 წლის წინანდელია და სულ სხვა ქართველს ეკუთვნის).*

უკანასკნელი გამოკვლევებით ირკვევა, რომ ანტიკური საბერძნეთის დროინდელი მითი იმის შესახებ, რომ მზე ადრე დასავლეთიდან ამოდიოდა და მხოლოდ ზევსის ჩარევის შემდეგ შეიცვალა ტრაექტორია, სულაც არ ყოფილა ზღაპარი. ამაზე აცტეკების კალენდარშიც არის ცნობები, რომლის თანახმადაც 2012 წელს „მეხუთე მზე“ დამთავრდება და სერიოზული ცვლილებები მოხდება. სამხრეთ და აღმოსავლეთ ციმბირის ხალხების თქმულებებშიც მზე დასავლეთიდან ამოდის. **ეგვიპტური მითოლოგიით ტოტმა 5-ჯერ ნახა, როგორ ამოდიოდა მზე დასავლეთიდან, შემდეგ კი — აღმოსავლეთიდან.** ჯერ კიდევ **კოლუმბის** დროს მეზღვაურებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ კომპასის ისარი ზუსტად კი არ მიუთითებდა ჩრდილოეთს, არამედ ოდნავ გადახრილი იყო. 1970 წლამდე ჩრდილოეთ პოლუსის დრეიფი 10 კილომეტრს არ აღემატებოდა, უკანასკნელ წლებში ამ სხვაობამ 40 კილომეტრი შეადგინა, ხოლო უახლესი კვლევებით, დედამიწის გეომაგნიტურმა პოლუსმა ერთბაშად 200 კილომეტრით გადაინაცვლა. კანადის გარემოს დაცვის სამინისტროს გეომაგნიტური ლაბორატორიის ხელმძღვანელის ინფორმაციით, 2005 წლის ივნისისათვის ჩრდილოეთის მაგნიტურმა პოლუსმა კანადის ტერიტორია უკვე დატოვა. **ამ დინამიკით მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ მალე მზე მართლაც დასავლეთიდან შეიძლება ამოვიდეს.** სხვათაშორის, ამაზე ინფორმაციას რამდენიმე ჰადისი და სუნა შეიცავს. ჰადისში იმაზეც არის მინიშნება, რომ დედამიწის ბრუნვა აჩქარდება. მზის დასავლეთიდან ამოსვლა კი **„აღდგომის დღის“** მოახლოებას და **„სინანულის კარის“** დაკეტვას მოასწავებს, რის შემდეგაც ცოდვათა მონანიება დაგვიანებულია. სხვათაშორის, **მუჰამედიც** ადასტურებს, რომ უკანასკნელ სამსჯავრომდე **ისა (იესო)** მეორედ მოვა).

არ ვაპირებ ესქატოლოგიური შიშების დანერგვას, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი ქედმაღლობისა და თვითდაჯერებულობის მიუხედავად, ჯერაც ბევრი არაფერი ვიცით. არც დროის მდინარების შესახებ გვაქვს ზუსტი წარმოდგენა. ადამიანთა უმეტესობისათვის **ბიბლიური მოსე** უხსოვარ დროში მოიაზრება, **სინამდვილეში კი მოსესა და ქრისტეს სულ 1100 წელი აშორებთ, ანუ იმ დროის ნახევარი, რომელიც ჩვენსა და ქრისტეს დაბადებას შორისაა.** ჩვენ ხშირად ზღაპრებად აღვიქვამთ ისტორიულ მოვლენებს, ხოლო პერსონაჟებსა და მოვლენებს შორის თანადროულობას ვერ ვხედავთ. **ბიბლიური დავითისა და სოლომონის ეპოქა არის ჰომეროსის ეპოქა ძველ საბერძნეთში, მოციქულ ეზრას ეპოქა კიბაუტამა ბუდას ეპოქაა. ათეიზმის ეპოქამ ჩვენი საზოგადოება მიაჩვია იმ აზრს, რომ ყველაფერი, რაც რელიგიის სფეროს ეხება, მითებისა და ზღაპრების სამყაროს განეკუთვნება. არადა, ეს ყოველივე ბევრად უფრო რეალურია, ვიდრე ის ვირტუალური სამყარო, რომელშიც თავი ამოვყავით.**

*აქაც და შემდეგ* ***ტერმინი „ვირტუალური“*** *იხმა-*



*ნანა დევდარიანის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი* ***„ლერწმის სტრატეგია“*** *გლობალიზაციის პირობებში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უტყუარ რეცეპტს გვთავაზობს.* ***ესაა პასუხი კითხვაზე, რომელიც ქართველ საზოგადოებას ბოლო წლებში უდიდესი სიმწვავით აწუხებს — რა გვეშველება?*** *ჟურნალისტი, პარლამენტარი, სახალხო დამცველი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე —* ***ეს ნანა დევდარიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რამდენიმე ეტაპია, რამაც იგი ღრმა განსწავლულობასთან ერთად საქართველოს გადარჩენის ბრძნულ და ფასდაუდებელი დოქტრინის ავტორად აქცია. „ლერწმის სტრატეგია“*** *ეძღვნება* ***ნანა დევდარიანის ბაბუის,*** *სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის* ***დავით V-ის*** *ნათელ ხსოვნას.*

## ნანა დევდარიანი

# ლერწმის





## კვირგვინოსნები

### დავით ქიქინაძე
*პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნის“ თავმჯდომარე*



ქვეყანაში **სიმართლისა და სამართლიანობის აღდგენა** 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალების შესწავლითა და გამოძიებით, **მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას მკვლელობების გამოძიებით** უნდა დაიწყოს.

„ახალი თაობა“

### ვახტანგ დავითაია
*არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი*



საზოგადოების აქტიური წინააღმდეგობის მიუხედავად, **ალმაშენებლის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან დიღმის ტრასაზე გაიტანეს.** უცხოელი ხელოვნებათმცოდნეების მიერ **„ქართველ მიქელანჯელოდ“** სახელდებული **მერაბ ბერძენიშვილისთვის** არაფერი შეუთანხმებიათ. **დიდოსტატი ბერძენიშვილი** ისე ჩავიდა საფლავში, **დავითის დაბრუნებას ვერ მოესწრო.**

შეიცვალნენ ხელისუფლების მაღალჩინოსნები, თბილისის მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, **დავითი კვლავ ტრასაზე დგას.** არამხოლოდ ჩვენ, არამედ მთელ საქართველოს ეგონა, „ოცნების“ ერთ-ერთი უპირველესი, ჭეშმარიტად ეროვნული ნაბიჯი **ალმაშენებლის ძეგლის დაბრუნება** იქნებოდა. არ შეიძლება, არ გავიხსენო **მერაბ ბერძენიშვილის** ბოლო ზარიც. ***„ვახტანგ, ეს-ესაა დამთავრდა კონსილიუმი, ოპერაცია აუცილებელია, ხვალ საავადმყოფოში ვწვები... შანსი ნაკლებია. დავითი როგორ დავტოვო ტრასაზე, შენი იმედი მაქვს“!!!*** ზარი შეწყდა.

ჩემი ასაკიდან გამომდინარე, **ეს წერილიც ჩემი ბოლო გაბრძოლებაა,** რათა აღსრულდეს დიდი მოქანდაკის, დიდი მამულიშვილის **საფლავში ჩატანილი ოცნება.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

### თამთა მეგრელიშვილი
*„ხალხის ძალის“ წევრი*



გაიშიფრა ის სქემა, რითაც მოქმედებს **დიფ სთეითი** — გამოვლინდა ორი უმსხვილესი ორგანიზაცია **USAID** და **NED,** რომლებიც ფინანსური თვალსაზრისით, **არასამთავრობო სექტორის მთავარი მკვებავი არტერიები იყვნენ.**

„რეპორტიორი“

# სტრატეგია

**საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ „ირხეოდა, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. როცა ამას სკოლაში გვასწავლიდნენ, იგულისხმებოდა, რომ ეს არ არის საკადრისი საქციელი. მაგრამ ძლიერ ქარს მუხის ფესვიანად მოგლეჯა შეუძლია და მოუგლეჯია კიდეც ჩვენზე დიდი და მრავალრიცხოვანი ერები. ლერწამი კი წვება, ქარიშხალს გადაატარებს და კვლავ ფეხზე დგება.**



*რება, როგორც უფრო* ***„ხელოვნურად შექმნილის“*** *შესატყვისი, ვიდრე* ***„არარსებულისა“.*** *მართლაც, დღეს ვირტუალური სინამდვილე ეჭვს აღარ იწვევს, მისი გავლენა ადამიანისა და კაცობრიობის ცხოვრებაზე ყოველწამიერია; მეტიც, დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკა სწორედ* ***ვირტუალურია*** *და, ამდენად,* ***„ნამდვილიც“.*** *ეს ტერმინი ცალკე კვლევას იმსახურებს, რამდენადაც ძირეულად ცვლის ადამიანის მსოფლმხედველობასა და მსოფლაღქმას. ჩვენ თვალწინ სასწაულებრივად გაცოცხლდა* ***ლაო ძის იგავი პეპელაზე, რომელსაც ვერ გაურკვევია, სძინავს და სიზმარში ხედავს, რომ იგი პეპელაა, თუ ლაოა, რომელსაც დაესიზმრა, რომ იგი პეპელაა და სიზმარს ხედავს.***

დღემდე ვერავინ მოიპოვა იმის მტკიცებულება, რომ ცოცხალი ორგანიზმების სახეობანი ერთი მეორისაგან წარმოიშვნენ, მაგრამ **დარვინის თეორია,** რომელიც თავის დროზე რელიგიურ დოგმატებზე ადამიანის გონების გამარჯვების სიმბოლოდ იქცა, დღესაც ეჭვგარეშეა *(სხვათაშორის, დარვინს ბიოლოგიური განათლება არ ჰქონდა, დაამთავრა კემბრიჯის თეოლოგიური ფაკულტეტი, ანუ პროტესტანტული სასულიერო სემინარია და „ჩაწყობით“ მოხვდა ნატურალისტის ადგილზე ხომალდ „ბიგლზე“, რომელიც მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ გადიოდა)*. ამ საკითხზე სკოლის მოწაფეობისას საკმაოდ უსიამოვნო ინციდენტი შემემთხვა, როცა ბიოლოგიის მასწავლებელს ვკითხე, — **თუ ადამიანთა რასების წარმოშობა კლიმატურმა პირობებმა განაპირობა, მაშინ რატომ არ არიან ცხოველები აფრიკაში შავკანიანი ან მონღოლეთის ქარიან სტეპებში ვიწროთვალებიანი?** მაშინ, ალბათ, პირველად, არა ოჯახის წევრებმა, არამედ გარეშე ადამიანებმა საკმაოდ მკაცრად და გასაგებად ამიხსნეს, რომ **არსებობს შეკითხვები, რომლებიც არ უნდა დასვა, არამედ ზეპირად უნდა იცოდე რეკომენდებული პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული პრობლემების გარანტია მომცეს.** ამ პრობლემების ყველაზე უმტკივნეულო ვარიანტი არის ფსიქიკურ ჯანმრთელობაში ეჭვის შეტანა, რომელიც მაშინაც და დღესაც განაჩენს წარმოადგენს.

ერთ-ერთ ქართულ ფილმში მეტად საგულისხმო დიალოგია გაკოჭილ გიჟსა და ფილმის გმირს შორის: — ***„ეგენი საგიჟეთში გვაგდებენ მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ უმრავლესობა არიან, ჩვენ კი უმცირესობა. აბა, პირიქით იყოს, დაინახავდნენ, ვინ არის გიჟი!“***

უმრავლესობისა და უმცირესობის საკითხი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია იმ მსოფლწესრიგში, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ. მართავს უმრავლესობა, რომელიც მისი ერთ-ერთი ლიდერის სიტყვებით, ***„რასაც უნდა, იმას გადაწყვეტს, თქვენ რომ იქნებით უმრავლესობაში, მერე რაც გენდომებათ, ის გააკეთეთ!“*** თუმცა, უმრავლესობის წინააღმდეგ არათუ უმცირესობა, არამედ ზოგჯერ ერთადერთი ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს მართალი. ამის მშვენიერი მაგალითია ერთი ტესტი, რომელსაც საჯარო ლექციებისას ვიყენებ ხოლმე. მაგალითად, 50-კაციან დარბაზში **შეკითხვაზე — თუ როგორ მოკლა ოტელომ დეზდემონა, თითქმის ყველა პასუხობს, რომ დაახრჩო. ჩაძიებისას რამდენიმე, 6-7 ადამიანი, აზრს იცვლის და ამბობს, რომ შექსპირს ეს საკითხი ღიად აქვს დატოვებული, მთელი აუდიტორიიდან მხოლოდ ერთი ადამიანი დგას იმ აზრზე, რომ ოტელომ ხანჯლით მოკლა მეუღლე. სტერეოტიპი ღრმად ფესვგადგმულია, რადგან თითქმის მთელი ბოლო ასწლეულის მანძილზე სცენაზე დეზდემონას ახრჩობენ და ამ თემაზე უამრავი ანეკდოტიც კი არსებობს.** სინამდვილეში, მე-20 საუკუნის დასაწყისამდე სცენაზე შექსპირისეულ ვერსიას წარმოადგენდნენ, სანამ ერთმა, თანამედროვე გაგებით, „მეგავარსკვლავმა“ არ მიიჩნია, რომ ავტორისეულმა ვერსიამ დრო მოჭამა და ახალი, ნოვატორული გადაწყვეტა შესთავაზა მაყურებელს. **შექსპირს რომ მსგავსი რამ ეჩვენებინა იმდროინდელ თეატრში, მაყურებელი, ალბათ, ლაყე კვერცხებით გაუმასპინძლდებოდა; სად გაგონილა, დამხრჩვალი ქალი ლაპარაკობდეს!** დაჭრილი კი სიკვდილამდე ბევრის თქმას ასწრებს. თეატრის იმგვარი პირობითობა, რომელიც ახლა ჩვენთვის ორგანულია, იმ დროს სრულიად წარმოუდგენელი იყო. მართლაც, **შექსპირს** ის დროც კი ზუსტად აქვს გამოთვლილი, რომელიც ცხენოსან რომეოს დასჭირდებოდა ვერონაში დასაბრუნებლად, რათა ცოცხალი ჯულიეტასთვის მიესწრო! **ასე რომ, 50-კაციან აუდიტორიაში სწორ პასუხს მხოლოდ ერთი ადამიანი (ისიც საუკეთესო შემთხვევაში!) იძლევა.**

ამ მაგალითს სწორედ იმიტომ ვიყენებ ხოლმე, რომ მონაწილეებმა კარგად გაიაზრონ უმრავლესობისა და მისი გადაწყვეტილებების მართებულობის საკითხი. უნდა გითხრათ, რომ ამ მაგალითის ძალა ბევრად აღემატება ნებისმიერ მეცნიერულ პარალელებს, ციტატებსა თუ ლოგიკურ მსჯელობას.

*არანაკლებ ჭკუის სასწავლებელია* ***თენგიზ აბულაძისა*** *და* ***რეზო ჩხეიძის*** *გენიალური ფილმის* ***„მაგდანას ლურჯას“*** *მაგალითიც; თაობები გაიზარდა მაგდანას მიმართ ჩადენილ უსამართლობაზე ტირილით, მაგრამ* ***ეკატერინე გაბაშვილის*** *ეს მოთხრობა სულაც არ მთავრდება ისე, როგორც ფილმში:* ***იმპერიულმა სასამართლომ სახედარი სწორედ მაგდანას მიაკუთვნა და არა ვაჭარს, რომელმაც ის შარაზე მიაგდო.*** *საბჭოთა ცენზურამ მიიჩნია, რომ მეფის სასამართლოს არ შეეძლო სამართლიანი განაჩენის მიღება და ამიტომ იქცა ამ მოთხრობის კინოვერსია ტრაგედიად თუ არა, დრამად მაინც.* ***ასე ხდებოდა სტერეოტიპების ჩამოყალიბება (ისევე, როგორც დღეს), თორემ „ლვინია გადაიჩეხს“ და „თინას ლეკურის“ ავტორს ვერაფერი შეუშლიდა ხელს, მაგდანა სახედარის გარეშე დაეტოვებინა.***

უმრავლესობა ძალიან ხშირად სტაბილურია, იცვლება მხოლოდ მისი წარმმართველი ძალა. ეს ელემენტარული არითმეტიკაა; ადამიანების უდიდესი წილი რომ პრინციპულად ინარჩუნებდეს ამა თუ იმ შეხედულებებს, არცერთ უმცირესობას არასოდეს ექნებოდა შანსი, მმართველი ძალა გამხდარიყო. ეს ასეა არამარტო საქართველოში, არამედ ყველგან. მთავარია, ის უდიდესი წილი, ვინც ახალი **უმრავლესობის ჯარისკაცები** უნდა გახდნენ, დაიყოლიო, დაარწმუნო, მოატყუო ან აიძულო. ყველა რევოლუცია ეფუძნება ამ მარტივ წესს.

*თუ ყურადღებით გადავხედავთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ ისინი აგრესიული უმცირესობის შეხედულებისამებრ იმართება. მაშინ გასაკვირი აღარც ის უნდა იყოს, რომ დასავლური ლიბერალური დემოკრატია რევოლუციური გზით იმკვიდრებს თავს იმ ქვეყნებში, რომლებიც თავისი ისტორიითა და ტრადიციებით ამ მოდელისგან საკმაოდ შორს დგას.* ***რევოლუცია ხომ სწორედ აგრესიული უმცირესობის დიქტატურაა და არა მუშათა კლასის ან საშუალო ფენისა.*** *მათ შეუძლიათ, თავს „სინდისის ან სულის არისტოკრატია“ უწოდონ, მაგრამ ტენდენციის შინაარსს ეს არ ცვლის.*

ასე რომ, როცა ქუჩაში გამოსულ ადამიანებთან დაკავშირებით 2003 და 2007 წელსაც ორი სხვადასხვა ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ **„ეს არ არის მთელი ხალხი“,** ყოველივე სრული ჭეშმარიტება გახლდათ, რადგან მთავარია, **„მთელი ხალხი“ დაარწმუნო, რომ შენ სწორედ მისი სახელით და მისი სიკეთისათვის მოქმედებ.** პოლიტტექნოლოგთა ოსტატობა სწორედ ამაშია და არა იმის ცოდნაში, თუ როგორ მოკლა ოტელომ დეზდემონა!

მზა ფორმულები, მზა შეფასებები, მზა რეცეპტები — სწორედ ის ინსტრუმენტებია, რომლებიც უკიდურესად აადვილებს ადამიანთა მართვას. სტანდარტიზაცია შორს გასცდა სავაჭრო საქონლისა და მომსახურების სფეროს. იგი ყოვლისმომცველი გახდა და **უკვე აღარავის უკვირს, რომ სრულიად განსხვავებული წარსულისა და აწმყოს ქვეყნებში ერთნაირი „ფერადი რევოლუციები“ ხდება**. მეტიც, საბაბიც კი ერთი და იგივე აქვთ! **სტანდარტული რევოლუციების გამარჯვებამ ადამიანთა იმ ნაწილს, ვინც რევოლუციონერებს ედგა მხარში, იმის ილუზია გაუჩინა, რომ იმავე მზა ფორმულირებების გამოყენებით კვლავაც იქნებოდა შესაძლებელი ახალი რევოლუცია.** მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ **ეს ფორმულები მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როცა მათ ოკეანისგაღმელ ავტორებს (და არა გამხმოვანებლებს) სჭირდებათ.** საზოგადოების დიდი ნაწილისთვის კი შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა ის, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში თვალნათლივ დაიწყო ჩამოყალიბება **ადამიანთა კასტამ,** რომელიც ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში, საკუთარ თავს უფლებას აძლევს, ყველას მაგივრად გადაწყვიტოს, თუ როგორ ქვეყანაში უნდა იცხოვროს ყველა დანარჩენმა. **დენი დიდრო ოცნებობდა იმ დროზე, როცა უკანასკნელ მეფეს უკანასკნელი მღვდლის ანაფორით ჩამოახრჩობდნენ. თანამედროვე ქართველი დიდროები ასე გაბედულად ვეღარ აცხადებენ საკუთარი სურვილების შესახებ; ამომრჩევლის რისხვას ერიდებიან.** რაც შეეხება ახალი რევოლუციების მცდელობას, **ნოდარ დუმბაძის** დიდროიასავით, მათაც მეტისმეტმა ტვირთმა მოსწყვიტა წელი. ახლა ამ ტრაგიკომედიას ფინალიღა აკლია, რომ ხმამაღლა შეჰღაღადონ გამჩენს: **„რას შვრები, ღმერთო, გაგიჟდი? ახლა, ყველაფერი რომ გაანათე და გამართე, ყველაფერს თავისი ადგილი რომ მიუჩინე, ახლა მართმევ სულს?“**

2007 წლის პოლიტიკური კრიზისი, როგორც მას ზოგიერთი ექსპერტი უწოდებს, შორს სცდება პოლიტიკურ მოედანს. ეს უფრო ფასეულობათა შეჯახებაა. სწორედ ამიტომ დაიწყო პოლიტიკური სუბიექტების მიერ რელიგიური და ნაციონალისტური თემატიკით სპეკულაცია, ხოლო **კონფლიქტი საზოგადოების შიგნით,** რომელსაც ხშირად სრულიად უმართებულოდ თაობათა კონფლიქტს უწოდებენ, სინამდვილეში **ელიტათა კონფლიქტს** წარმოადგენს.

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



როდესაც უსაფრთხოების კუთხით **რეიტინგებში შვეიცარიაზე წინ დგახარ და მეოთხე ხარ ევროპის მასშტაბით,** ეს ნამდვილად იმის დასტურია, თუ როგორი **უსაფრთხო და მშვიდობიანი ქვეყანა შევქმენით.**

„რეპორტიორი“

**პიტ ჰეგსეთი**
*აშშ-ის თავდაცვის მინისტრი*



ჩვენ **არ გავგზავნით აშშ-ის ჯარებს** უკრაინაში.

„რეზონანსიდეილი“

**ნიკოლოზ მჟავანაძე**
*ანალიტიკოსი*



თუ მცდარია ხელისუფლების განცხადებები **ამერიკის საელჩოს** მიმართ, მაშინ, **ძვირფასო ელჩო, დაგმეთ რადიკალური ოპოზიციის მავნებლური საქმიანობა** — არა მგონია, ამერიკაში მაგისტრალების გადაკეტვა კანონით არ ისჯებოდეს.

„იმედინიუსი“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ლაფანყურის და მისი მსგავსი საქმეები **რომ გამოეძიებინათ, დამნაშავეები გაესამართლებინათ,** დღეს სხვა სიტუაცია იქნებოდა.

„ახალი თაობა“

**ანა ამილახვარი**
*რუსთაველის თეატრის მსახიობი*



მე აღარ მსურს ბატონი **რობერტ სტურუას** სპექტაკლებში მონაწილეობა.

„რეზონანსი“

# აი, ამიტომ

## უნდა გავუფრთხილდეთ ირაკლი დგებუაძეს და მისი რეპუტაცია და ღირსება ფარული დასის ადგილობრივი აგენტურის აყროლებული ხელებისგან დავიცვათ!

პოლიციის 33 წლის ვიცე-პოლკოვნიკი ირაკლი დგებუაძე ოჯახიშვილობით, გვარიშვილობით, განათლებით, ინტელექტითა და წესიერებით მართლაც სამაგალითო და თითით საჩვენებელი პოლიც-მაისტერია!




*ამ წერილის დაწერა მაშინ გადავწყვიტეთ, როცა სტრასბურგში ჩასულმა და სააკაშვილის მიერ ნამუსახდილმა ნიკუშა გვარამიამ და მეტანკეთ-უხუცესმა ზურაბ-ბირჩი შარვალჩახდილმა ევროპარლამენტის ცარიელ დარბაზში სამარცხვინო ბრიფინგი ჩაატარეს და კიდევ უფრო სამარცხვინო არსების მზია ამაღლობელის ფოტოსურათები ააფრიალეს — აქაოდა, საქართველოს სინდის-ნამუსს, თავისუფალი და მართალი სიტყვის სიმბოლოს აწამებენ და ტანჯავენო!*

2025 წლის 12 იანვრიდან მოყოლებული, **კოლექტიური ნიკუშუებისა და შარვალ-ჩახდილების** მიერ კონტროლირებად ტელეკანალიზაციებზე არ ცხრება პოლიციელზე ხელის აღმმართველი **მზია ამაღლობელის** ქება და ბათუმის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ **ირაკლი დგებუაძის** ლანძღვა-გინება. 50 წლის შუახნეველი ქალბატონი **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** ძღვენით გახლავთ გაზულუქებული და დაფინანსებული. იგი ონლაინგამოცემების — **„ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“** თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელია. ცხადია, მისი დაწერილი არსად არავის წაუკითხავს, რადგან ერთმანეთისგან **„ძ“**-სა და **„ხ“**-ს ვერ არჩევს, მაგრამ მაინც გაიძახის — ჟურნალისტი ვარო! ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ უფრო რეციდივისტია, რადგან, **ფაქტობრივად, ერთი და იგივე შინაარსის ორი დანაშაული ერთ დღეში ჩაიდინა.** დიახ, იმ ავბედით დღეს, 2025 წლის 12 იანვარს, ბათუმის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან **მზია ამაღლობელმა** თავდაპირველად ქართველ პოლიციელს „იუსაიდის“, „ნედის“ თუ რომელიღაც „აირაისა“ და „ენდიაის“ მიერ გამოყოფილი ძღვენით დაბეჭდილი „სტიკერი“ მიაწება მუნდირზე, რის გამოც დაიჭირეს, მაგრამ ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდეს და ხელწერილით გამოუშვეს. **გამოშვებულმა თუ აშვებულმა მზიამ, ამ ამბიდან სულ ცოტა ხანში, სამმართველოს შენობასთან ისევ ჩაიდინა მორიგი დანაშაული და ამჯერად ბათუმის პოლიცმაისტერს, 33 წლის ირაკლი დგებუაძეს სახეში სილა გააწნა.**

ასე იქცა **მზია ამაღლობელი** რეციდივისტად, ანუ დამნაშავედ, რომელიც **ერთსა და იმავე დანაშაულს რამდენჯერმე სჩადის!**

როგორც წესი, მამაკაცებს სილას ან შეყვარებული, ანდა გაბოროტებულ-გაანჩხლებული და აშარი ქალები აწნავენ-ხოლმე. სხვა ვარიანტი გამორიცხულია... მაგრამ **ამაღლობელთან** დაკავშირებით სწორედ განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. კარგად გვახსოვს, რომ სწორედ „ძღვენიჭამიები“ უწოდა ცხონებულმა **თამაზ წივწივაძემ** ქართველ გრანტიჭამიებს, რომლებიც ათეული წლებია, **„იუსაიდის“, „ნედის“, „აირაის“, „ენდიაის“, შვედეთის მთავრობის, „სოროსის ფონდის“, ტაივანის** თუ ათასი ჯანდაბისა და დოზანის მიერ ძღვენის სახით გამოგზავნილ მილიონებს თქვლეფენ და სამშობლოს მტრობენ!

**სწორედ სამშობლოს მტერი და ძღვენიჭამია ხარ, როცა შვილის ტოლა ახალგაზრდა კაცს, 33 წლის ირაკლი დგებუაძეს უსინდისოდ ექცევი და მერე თავს იმართლებ — „პოლიცმაისტერი მაფურთხებდა და ვერ მოვითმინეო!“ „მაგინებდა და ავლე-ლდი!“**

**ცხადია, ტყუილი და ძღვენიჭამიების უფროსების მიერ შემოგდებულია ეს ყველაფერი!** სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა, რაც მთელმა საქართველომ რამდენიმე ტელეარხის პირდაპირ ეთერში ნახა.

**2023 წლის მარტში ირაკლი დგებუაძეს, რომელიც თავის კეთილშობილ გვარს ნამდვილად ამართლებს, ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა კრისტოფერ რეიმ მადლობის წერილი გამოუგზავნა!**




**გვარამიამ ევროპარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე მზია ამაღლობელისა და ირაკლი დგებუაძის ფოტოები ააფრიალა**

**ყველაფრის თავი და თავია ფარული დასის ადგილობრივი აგენტურა და ჟუანია-სააკაშვილ-შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირიდან“ სოროსის „ძღვენკავშირში“ გადაბობღებული გეი-მაფია, რომელმაც ადმინისტრაციული პატიმრობიდან ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლებულ ძღვენიჭამიას მორიგი „კომანდა“ მისცა – ვინც ყველაზე სუფთა, განათლებული და უმწიკვლო რეპუტაციის**

## კვირგვინოსნები

**ნიკა გვარამია**
*„კოალიცია ცვლილებებისთვის“ ლიდერი*



**ბატონო ფიცო და ბატონო ორბან, თქვენ მხარს უჭერთ კანიბალებს,** საქართველოს სჭირდება ევროპა და **იმოქმედეთ სათანადოდ.**

„რეზონანსი“

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



პროკურატურამ დაიწყო გამოძიება **საბოტაჟის მცდელობის და ქვეყნის ინტერესების ხელყოფის მიზნით უცხო ქვეყნის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციებისთვის დახმარების ფაქტებზე,** იმედს ვიქონიებ, რომ ყველა, ვინც მოქმედებს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, **პასუხს აგებს კანონის წინაშე.**

„რეპორტიორი“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



ფაქტობრივად, **ომის საკითხს წყვეტს არა უკრაინა, არამედ ამერიკისა და რუსეთის ლიდერები. ტრამპი და პუტინი** სტრატეგიულად თუ შეთანხმდებიან, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომი დასრულდება, მაგრამ როგორ, ეს სხვა თემაა. **ომი ყაიმით არ სრულდება,** მთავრდება გარკვეული მორიგებით, სადაც **ერთი უფრო აგებს, მეორე უფრო იგებს.**

„რეზონანსი“

**დიმიტრი ბიძინაშვილი**
*საზოგადოებრივი აქტივისტი*



**რუსთაველზე უნდა ვიდგეთ** იმდენი ხანი, **რამდენი ხანიც დასჭირდება გამარჯვებას.**

„ახალი თაობა“

**ვახტანგ მაისაია**
*პოლიტოლოგი*



საქართველოში რეჟიმი ძალიან ჰგავს **მეფის რუსეთის მოდელს** თავისი **ჟანდარმერიით** და **შავრაზმელებით.**

„ახალი თაობა“

## პატრონია, სწორედ ის ამოიღე მიზანში და შენი ტურტლიანი ხელებით იმის გასვრა სცადეო!

„ძღვენკავშირის“ მამებმა **ამაღლობელს** იქვე კონკრეტიკაც დააწიეს — **ასეთად ბათუმის პოლიციის სამმართველოს უფროსი ირაკლი დგებუაძე გვესახება და აბა, შენ იციო!**

პოლიციის 33 წლის ვიცე-პოლკოვნიკი **ირაკლი დგებუაძე** ოჯახიშვილობით, გვარიშვილობით, განათლებით, ინტელექტითა და წესიერებით მართლაც სამაგალითო და თითით საჩვენებელი პოლიცმაისტერია. სოციალური ქსელები სავსეა ბათუმში გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეთა განცხადებებით, სადაც **თვით გაქანებული ნაცებიც კი სიამაყით აცხადებენ, რომ ირაკლი დგებუაძის პოლიციელები ბათუმში ორგანიზებულად, მოწესრიგებულად და ევროპულად მოქმედებენ!** ამ მხრივ **ირაკლი დგებუაძესა** და ავადსახსენებელ **გია დგებუაძეს,** ანუ იმავე **„მასტერას“** შორის, რომელიც **ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას გეგმავდა** და სააკაშვილის გარყვნილი რეჟიმის უბინძურეს დავალებებს ასრულებდა, დიდი ზღვარია!

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ 2023 წლის მარტში **ირაკლი დგებუაძეს,** რომელიც თავის კეთილშობილ გვარს ნამდვილად ამართლებს, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროსთან არსებული გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა **კრისტოფერ რეიმ** მადლობის წერილი გამოუგზავნა.

**ირაკლი დგებუაძე არის სამედიცინო საკითხებში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგული მრჩევლის, კარდიოლოგ დიმიტრი სინჯარაძის შვილიშვილი.** სხვათაშორის, **დიმიტრი სინჯარაძემ** ბოლომდე უერთგულა საყვარელ პრეზიდენტს და ბუნკერიდან ზოგიერთივით ვირთხასავით არ გამოპარულა. ცნობილმა ექიმმა დევნილობაშიც არაერთხელ მოინახულა ზვიადი!

ვიდრე პოლიციელი გახდებოდა, **ირაკლი დგებუაძეს** წარმატებულ საფეხბურთო კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. **ის იყო 17, 19 და 21-წლამდელთა ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მეკარე, თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივსა“ და უკრაინის „არსენალში“...**

ინტელექტუალ და გაწონასწორებულ **დგებუაძეს** სამეცნიერო ასპარეზზეც დიდ მომავალს უქადდნენ და ცნობილი ქართველი პროფესორები მის მშობლებს ურჩევდნენ, რომ შვილი ფილოლოგიას გაჰყოლოდა. **თბილისში იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, კიევში „ევროპის უნივერსიტეტის“ მაგისტრატურაც დაამთავრა.** სხვათაშორის, **ირაკლი დგებუაძის** ქართულით გაშტერებული ზოგიერთი მიკროფონიანი ქართველი „ჟურნალისტი“, რომელსაც „თხა და ვენახიც“ კი არა აქვს წაკითხული, ტელეეკრანიდან სწორედ ელვაში მოყოლილი თხის თვალებით გვიცქერს, რაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.





**მისი პროფესიის არჩევაში ყველაფერი საბოლოოდ შორეულ ბავშვობაში, სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში, დიდი ბებიის ოჯახში, 90-იან წლებში მომხდარმა შემთხვევამ გადაწყვიტა. ირაკლი დგებუაძე მაშინ 3-4 წლის ბავშვი იყო, როცა მხედრიონელები ოჯახს დაესხნენ და რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი წაიღეს. როგორც ამბობენ, დგებუაძემ სწორედ ამის შემდეგ განიზრახა პოლიციელობა, რათა ყველა გარეწარი და ავაზაკი გამოეაშკარავებინა და სამართალი აღესრულებინა.**

ნაცნობ-მეგობრების თქმით, იმდენად გულისხმიერი ახალგაზრდა კაცია და ისეთი რეპუტაციით სარგებლობს, ვაკის რაიონის პოლიცმაისტერობიდან რომ გაათავისუფლეს და ძველი თბილისის პოლიციის უფროსად დანიშნეს, ვაკელმა ქალბატონებმა ძველი თბილისის პოლიციის შენობასთან აქცია ჩაატარეს — **დგებუაძე ვაკეში დაგვიბრუნეთო!**

# აი, ამიტომ
## ვერ დავღვრით ცრემლებს მზია ამაღლობელზე!



ირაკლი დგებუაძე

**სწორედ ასეთი ახალგაზრდა ამოიღეს მიზანში და მზია ამაღლობელს მისი წახდენა დაავალეს, რათა მერე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დანარჩენ ძალოვან სტრუქტურებში მომსახურე სხვა წესიერი ხალხიც წაახდინონ, ღირსება შეულახონ და მთელი სისტემა ჩამოშალონ!**

ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ ეს მოხდა, მაშინ **ირაკლი დგებუაძის** ნაცვლად თბილისისა და ბათუმის ქუჩებში ვიხილავთ ბალტინის ტანკებზე გადამჯდარ წვერმოშვებულ **კაკოია ბოზოხიძეს,** მის კბილებდაკრეჭილ ძმას, **დევი ჭანკოტაძეს, აკია ბარბაქაძესა** და სხვა გარეწრებს, რომლებმაც ჩვენი სამშობლო ერთხელ უკვე დაღუპეს!

აი, ამიტომ ვერ დავღვრით ცრემლებს მზია ამაღლობელზე. აი, ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ **ირაკლი დგებუაძეს** და მისი რეპუტაცია და ღირსება **ფარული დასის** ადგილობრივი აგენტურის აყროლებული ხელებისგან დავიცვათ!

***დიტო ჩუბინიძე***



# „პოლიციელისთვის რომ ხელი გაერტყა ვინმეს, მათ შორის ჟურნალისტს, რომელ ქვეყანაში დაუგებდნენ ფიანდაზებს?!“

***— არაერთხელ ვთქვი, ბიძინა ივანიშვილმა იცის, რასაც აკეთებს-მეთქი. დღეს უკვე ყველა ხედავს, რა კოშმარს აგვაცილა და მოვლენების დანახვის როგორი შორსმჭვრეტელური უნარი აქვს, — აცხადებს პიარტექნოლოგი და პოლიტოლოგი ლალი მოროშკინა:***

— ხანდახან ვფიქრობ, **ბიძინა ივანიშვილი** ტრამპის მრჩეველი ხომ არ არის-მეთქი. მან რამდენიმე ნაბიჯით გაუსწრო მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ნამდვილად იყო მოლოდინი, რომ ტრამპის მოსვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვლებოდა, მაგრამ, თუ ასე ზედმიწევნით გააკეთებდა იმას, რასაც ჩვენ ერთმანეთთან საუბრის დროს განვიხილავდით, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო.

ჩვენ თვალწინ ახალი მსოფლიო იბადება. ამას ადასტურებს **დონალდ ტრამპის** საგანგებო დავალებათა დესპანის განცხადებაც, რომელმაც მედიასაშუალებებს, **„რადიო თავისუფლებასა“ და „ამერიკის ხმას“** წარსულის გადმონაშთი უწოდა. ამ გადაწყვეტილებით დასრულდა ეპოქა, რომელმაც ჩვენს დასავლურ ილუზიებს ჩაუყარა საფუძველი. დღეს უკვე ნათელია პასუხი კითხვაზე — რატომ ვუსმენდით ამერიკის ხმას და ვფიქრობდით, რომ ის იყო იმ დროის ერთ-ერთი ნათელი სხივი? იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირს აგინებდნენ! არადა, ეს რადიოსადგურები იმ ძალების ნაწილი იყო, ვისთვისაც ჩვენ, პატრიოტული ძალები, ყოველთვის მიუღებელნი ვიყავით. პი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე



## ლალი მოროშკინა:
# რევოლუცია დამთავრდა!
## ფაფუ — გადატრიალება! ფაფუ — ახალი არჩევნები! ფაფუ — ენჯეოკრატია!



**ლია მუხაშავრია**
*იურისტი, უფლებადამცველი*



ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ **გამოცხადდეს კანონგარეშედ** და არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალოთ.

„ახალი თაობა“

**ვაჟა სალია**
*პარლამენტარი*



**ოპოზიციისგან,** რომელიც დღეს ქუჩაში დგას, არ გამიკვირდება, რომ **ბრიტანულ კანონმდებლობასაც და ამერიკულ კანონმდებლობასაც რუსული უწოდონ.** ამიტომ მათთან სერიოზული პოლემიკა ამ ნაწილში არც ღირს.

„იმედინიუსი“

**ლევან სანიკიძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ პრესსპიკერი*



დედაჩემსა და მამაჩემს ამცნეს, რომ, **თურმე, სამართალდარღვევა ჩამიდენია.** არ ჩაიბარეს **ივანიშვილის** დაცვის სამსახურში გამოწერილი ხინკლის ჩეკი. **საერთოდ სახლში არ შეუშვა დედაჩემმა ე.წ. პოლიციელები,** სამშობლოს ღალატში თანამონაწილეებს **სანიკიძეები** არ ვუმასპინძლდებით.

„ახალი თაობა“

**ემზარ გვენეტაძე**
*ანალიტიკოსი*



იმ ძალას, რომელსაც **ნაცმოძრაობა** ჰქვია, საერთოდ **პოლიტიკაში გარევა უნდა აეკრძალოს,** როგორც მოხდა ნიურნბერგის ცნობილი პროცესის დროს.

„რეზონანსი“

**ვიქტორ კიფიანი**
*„ჯეოქეისის“ თავმჯდომარე*



ოპოზიციას **სალომე ზურაბიშვილის** ლიდერობა არ სურს! მე გავბედავ და ვიტყვი, რომ **საჭიროა ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის გადახალისება.**

„ახალი თაობა“



# „ხანდახან ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი ტრამპის მრჩეველი ხომ არ არის-მეთქი!“

## ლალი მოროშკინა:







*დასაწყისი მე-9 გვერდზე*

რადგან მე, არაერთი პროექტი მქონია ქალებზეც, გენდერებზეც, ძალადობაზეც, მაგრამ არცერთხელ არ მიმიღია გრანტი. საქმე საქმეზე რომ მიდიოდა, სრულიად შეუვალნი იყვნენ. დღეს ამ სიყალბეს წერტილი დაესვა!

რამდენადაც საინტერესო პროცესების თვითმხილველნი ვართ, იმდენად მძიმე და რთულია ამ ეტაპის გავლა. **არსებობს დიდი საფრთხე, რომ ტრამპმა კენედის ბედი გაიზიაროს.**

**— რატომ აკავშირებთ ამ ორ პრეზიდენტს ერთმანეთთან?**

— **დონალდ ტრამპიც** იმ ფარულ დასს უპირისპირდება, რასაც თავის დროზე **კენედი** შეეწირა. დიახ, ჯონ კენედიც მსგავსი პოლიტიკური გეგმებით მოვიდა ხელისუფლებაში, მაგრამ მოღვაწეობა ფატალურად დაასრულა, რის შემდეგაც ლიბერალური ფაშიზმი არნახულად აღზევდა. ტრამპის მხრიდან კენედის მკვლელობის გასაიდუმლოების სურვილიც შემთხვევითი არ არის. ძალიან ბევრი უმნიშვნელოვანესი ფაქტი გამოვლინდება, რომლებიც წლების განმავლობაში საზოგადოებაში დაგროვილ არაერთ შეკითხვას გასცემს პასუხს!

ის რომ ახალი ეპოქა დგება, ამას მოწმობს **ტრამპის და პუტინის** საუბარიც. ეს იყო ორი ძველი მეგობრის ჩახუტება. **უკვე სახეზეა ის სამკუთხედი, რაზეც ამდენი ხანია, ვსაუბრობთ — ამერიკა, რუსეთი და ჩინეთი!** სამწუხაროდ, უკრაინელებს არ ეყოთ გონიერება და ქვეყანა დაღუპეს. ამ პროგნოზს ომის დაწყების პირველივე დღიდან ვაკეთებდი, რის გამოც ლამის მოღალატედ შემრაცხეს. დღეს უკვე ცხადია — **უკრაინა დაშლილი და დანგრეულია. რას ვიზამთ. ეს მათი არჩევანი იყო!**

როგორ გგონიათ, ასე ერთიანად რატომ გაგიჟდა ყველა ჩვენს ქვეყანაზე და რატომ გადაწყვიტეს საქართველოზე განცხადებების გაკეთება?

**— რატომ?**

— კიდევ ერთხელ ვამბობ — ხდება მსოფლიოს გადანაწილება, ჩვენ კი ახალ პოლიტიკურ რუკაზე მნიშვნელოვანი ადგილი გვიჭირავს. ეს არის ის აბრეშუმის გზა, რომლის შესახებაც თითქმის ყველა ინტერვიუში ვსაუბრობდი. დიდი მოთამაშეებისთვის მიმზიდველი, პირველ რიგში, ამ გზის გამო ვართ. დღედღეზე ბაქო-თბილისის მატარებელი დაიწყება. ეს არ არის უბრალო ნიუსი. სტრატეგიული, წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც სომხურ ლობს ეწინააღმდეგება და, შესაბამისად, ტრამპის ინტერესებში ჯდება.

**— ერთია გლობალური პოლიტიკა, მაგრამ მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რაც ქვეყნის შიგნით ხდება — ოპოზიცია ქუჩაში გამოსულ საზოგადოების ნაწილთან ერთად, კვლავ ხელისუფლების გადაყენებით იმუქრება!**

— ოპოზიციას ახლა დამარცხებული ურჩხულის კონვულსიები აქვს და იკლაკნება. სრულიად განულებულნი არიან. ყველა ის ინსტიტუტი, საიდანაც ფინანსდებოდნენ, ტრამპმა გამოააშკარავა, შესაბამისად, ფინანსებიც შემოელიათ. დღეს უკვე ვეღარავის დააზიანებენ, მეტიც, დიდი სიამოვნებით გაიპარებოდნენ ქვეყნიდან, მითუმეტეს, **სალომე ზურაბიშვილი,** მაგრამ ვალდებულნი არიან, დავალება ბოლომდე შეასრულონ.

რევოლუცია დამთავრდა! ფაფუ — გადატრიალება! ფაფუ — ახალი არჩევნები! ფაფუ — ენჯეოკრატია! **ახლა ყველაზე სარფიანი ბიზნესი გზააბნეულთა სტრესიდან გამოყვანაა. ასე იცის ბიძინა ივანიშვილთან დატოლების მცდელობამ!**

**— გამოდის, არ ეთანხმებით იმ ადამიანებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დღეს ქვეყნის სათავეში ძალადობრივი რეჟიმია, უსამართლოდ სცემენ და აპატიმრებენ ახალგაზრდებს, ჟურნალისტებს და ა.შ.?**

— სამარცხვინოა, ვინც ამბობს, რომ დღეს ამ ქვეყანაში რეჟიმია. **რომელ რეჟიმზეა ლაპარაკი, როდესაც 150 ნაცემი პოლიციელი გვყავს და არცერთი მოკლული მომიტინგე?!** ვინ გაუტარებდა ამას თავის ხალხს, ამერიკა თუ ევროპა?! **პოლიციელისთვის რომ ხელი გაერტყა ვინმეს, მათ შორის ჟურნალისტს, რომელ ქვეყანაში დაუგებდნენ ფიანდაზებს?!** ეს არის კატასტროფა, მეტიც, ქვეყნისთვის სილის გაწნა. ხვალ რომ ომი დაიწყოს, ის პოლიციელი შენი ჯარისკაცია!

როდესაც ფრონტის ხაზზე საბრძოლველად მიდიხარ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. მოდულში „მძიმე რკინის კარი“ რომ მომიხურეს, მკითხეს, გულის საშუალება ხომ არ დაგჭირდებათო? როცა მართალი ხარ, გული რეჩხს არ გიზამს, აქეთ ყლაპეთ-მეთქი — ვუთხარი. **მზია ამაღლობელი** არ აღმოჩნდა ბრძოლისთვის მზად. **ასეა, როცა მხოლოდ გრანტების იმედად ხარ, არ გამოვა შენგან მეომარი!**

ამ სიტუაციის შემყურე, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ არ უნდა დაგვეხურა სააკაშვილის რეჟიმის ციხეები, ახლა რომ არიან კომფორტულ, სასათბურე პირობებში და იქით კაკანებენ. სად იყვნენ მაშინ უფლებადამცველები და ელჩები, მე რომ მოდულის დილეგში ვშიმშილობდი?! წაიღეს ტვინი!

მარტივი ტექნოლოგიაა — ხელოვანების, მსახიობების, მეცნიერების, ჟურნალისტების ფოკუს ჯგუფებს აფინანსებენ, რომ გამოჩნდეს, თითქოს ამ პროტესტში მთელი საზოგადოება არის ჩართული. **მათ სხვადასხვა დავალებები აქვთ მიცემული, ვიღაცამ თავი უნდა აცემინოს სპეცრაზმს, ვიღაცამ დედა უნდა შეაგინოს, ვიღაცამ პოლიციელს უნდა შეაფურთხოს...** ამის მიხედვით დგება ფინანსური შკალა, ვის რამდენი უნდა გადაუხადონ. ყველა უნდა იყოს ერთნაირად დამნაშავე, რომ ერთმანეთი არ გაყიდონ.

**— დოიაშვილმა და მის ირგვლივ შემოკრებილმა ხელოვანებმა, რომლებიც ძალადობას აპროტესტებენ, შეიძლება, თქვენი ეს სიტყვები ცილისწამებად და შეურაცხყოფად მიიღონ!**

**– უკლებლივ ყველას ფული აქვს აღებული! ამის დოკუმენტები არსებობს და იმედია, მალე გამოუფრიალებენ.**

მათთვის ძალიან სამარცხვინოდ დასრულდება ეს ამბავი. ფაქტობრივად, უკვე დასრულებულია — დაფინანსება შეუწყდათ. როცა ბოლო თანხა დაიხარჯება, მათი კარგი ბიჭობაც იქ დასრულდება!

**— დასავლეთის და ევროპის მიერ შეჩერებულ დაფინანსების სხვადასხვა პროგრამებზე რას იტყვით? ეს ის საკითხია, რომელიც დღეს საზოგადოების დიდ ნაწილს აღელვებს!**

— ხომ გახსოვთ, ფინანსდებოდა გენდერის უსარგებლო პროგრამა და ბუსუსებიანი პრეზერვატივების გავრცელება! ჯანდაცვის კუთხით იყო სხვადასხვა პროგრამები, თუმცა, აქაც ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი დაისმის. **არ გამოვრიცხავ, ეს ჩვენს მოსახლეობაზე ექსპერიმენტების ჩატარების სანაცვლოდ კეთდებოდა.** კატასტროფა იყო მეტადონის და მსგავსი პროგრამები. პანტაპუნტით კვდებიან ამ პროგრამის ბენეფიციარები. **ამდენი თრომბით დაღუპული ახალგაზრდა რომ გვყავს, განა ასეთი რამ ხდებოდა წინათ საქართველოში?** შეიძლება ერთეული მაგალითი იყო პოზიტიური, მაგრამ მთლიანობაში მათ მიერ დაფინანსებული პროგრამები ერის გამოჯანსაღებას არ მოხმარებია.

ურცხვად რომ დგას **გამყრელიძე** მიტინგზე და მთავრობას ამუნათებს, რამდენი ფული აშოვნინა **ტრამპის** მიერ გამოაშკარავებულმა ორგანიზაციებმა კოვიდის დროს?! **რაც მან დამართა საქართველოს, მიკვირს, დღემდე გარეთ თავისუფლად რომ დადის!**

არც სოფლის მეურნეობას დასტყობია რამე, პირიქით, ასწლოვანი მარცვლოვანი კულტურა ერთწლიანი ამერიკული ნაგვით ჩაანაცვლეს. ტრამპი აპირებს ყველა ამ კითხვას უპასუხოს და გასცემს კიდეც პასუხს!

**— რა უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯი?**

— ხელისუფლებამ ბრწყინვალე ნაბიჯი გადადგა, როცა **თეა წულუკიანის** ხელმძღვანელობით საგამოძიებო კომისია შექმნა და შიშის ზარი დასცა ყველას. ამავე კომისიაშია **სოზარ სუბარიც,** რომელმაც ზეპირად იცის მათი დანაშაულები! შემდეგი ნაბიჯი დამნაშავის სათანადოდ დასჯა უნდა იყოს! **ყველა, ვინც ამ ქვეყანას სისხლს წოვდა, ისე უნდა იქნეს დასჯილი, როგორც წესი და რიგია და არა ისე, „მაოხრებელი გზირი“ რომ არის „ვივამედის“ კლინიკაში წამოკოტრიალებული. ის ნაცისტები, რომლებიც ნიურნბერგის პროცესზე არ დასჯილან, მოასწრეს მექსიკაში, არგენტინაში, ამერიკაში გაქცევა, გაეროს და მსგავსი ორგანიზაციების შექმნის ფუძემდებლები გახდნენ. გაეროს მთავარი იურისტიც ყოფილი ნაცისტი იყო. სწორედ აქედან წამოვიდა ლიბერალური ფაშიზმი.**

ამაზე ძალიან საინტერესო კვლევა მაქვს ჩატარებული. **ამიტომ, თუ არ იქნება დასჯილი დამნაშავე, ქვეყანა წინ ვერ წავა.** ასე რომ, აუცილებელია ნიურნბერგის პროცესი, მხოლოდ ამის შემდეგ გავიღვიძებთ ლაღ და ბედნიერ საქართველოში!

# „უკრაინა დაშლილი და დანგრეულია. რას ვიზამთ. ეს მათი არჩევანი იყო!“

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ანდრეი კოვაჩევი**
*ევროპარლამენტარი*



ევროკავშირმა, ბრიტანეთმა და ამერიკამ **ვერ შეძლეს უკრაინის გადარჩენა რუსეთის ომისგან.** ვფიქრობ, **ევროკავშირი არ უნდა მოუწოდებდეს საქართველოს,** შეცვალოს თავისი საგარეო მიდგომები.
„TV იმედი“

**დანიელ ფროინდი**
*ევროპარლამენტარი*



როდესაც **საქართველოს არჩევნებში იგებს პარტია, რომელიც არ არის ბრიუსელისთვის ფავორიტი,** მაშინ შედეგები კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. **არავის უნდა ჰქონდეს უფლება, რომ სხვა სახელმწიფოებზე გასცეს ცივილიზაციის სერტიფიკატი.**
„TV იმედი“

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ საერთაშორისო მდივანი, პარლამენტარი*



სხვადასხვა ქვეყნის **ელჩებისთვის,** როგორც ჩანს, **საქართველო მეორეხარისხოვან ქვეყანას წარმოადგენს** და ისინი ცდილობენ რიგ შემთხვევებში არა საკუთარი ქვეყნის, არამედ, ზოგადად, **უცხოური ძალების ინტერესების გატარებას.**
„იმედინიუსი“

**ჯო უილსონი**
*აშშ-ის ჰელსინკის კომისიის თანათავმჯდომარე, კონგრესმენი*



**„ქართული ოცნების“ რეჟიმი** ქართველი ხალხის მომავლის მოპარვასა და მისი **პუტინისთვის, ირანული რეჟიმისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიისთვის** მიყიდვას ცდილობს.
„აიპრესი“

# ამათი გამარჯვება არ გაიშვა!

***რა შედეგი გამოიღო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ანუ იუსაიდის, „დემოკრატიის ეროვნული ფონდის“, ანუ „ნედის“, „ევროპის დემოკრატიის ფონდის“, ანუ „იიდისა“ და სხვა უცხოური დონორების მიერ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად გადმორიცხულმა ათეულობით მილიონმა დოლარმა?***








**რას მიაღწიეს** ამერიკიდან და ევროპიდან უხვად დაფინანსებულმა, **აკერმანისა და „კანვასის“** მიერ დატრენინგებულმა, ბაიდენის ადმინისტრაციის, ევროპული ბიუროკრატიისა და **გლობალური დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** მიერ მხარდაჭერილმა ნაცლიბერალმა რევოლუციონერებმა?

**რით დამთავრდა** თაღლითი **მამუკა ხაზარაძის,** შარვალჩახდილი **ბირჩი ჯაფარიძის,** ღვინოში ჩამშარდავი **ნიკუშა გვარამიას,** დოქსოპულო **ჭუჭუ ვაშაძის,** საქართველოს ისტორიაში პირველი მოღალატე ქალის — **სალომე ზურაბიშვილის,** უცხვირპირო **სალომე სამადაშვილისა** და მსგავსთა მათთა გაუთავებელი წანწალი ბრიუსელსა და ვაშინგტონში?

**რა შედეგი გამოიღო და... რას მიაღწიეს და... რით დამთავრდა და...** გასულ კვირას უდიდესი გამარჯვება იზეიმეს — **რუსთაველის გამზირზე გზის გადაკეტვა მოახერხეს!**

გესმით?

**გზა გადაკეტეს, გზა!**

**როგორც ერთხელ, წლების წინათ, ზვიად ძიძიგურმა პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე მიტინგზე გამოაცხადა — შედეგი აქვთ უზარმაზარი!**

ხუმრობა საქმე ხომ არ არის, **პროტესტის 75-ე დღეს რუსთაველის გამზირზე იმდენმა შიგევროპელმა მოიყარა თავი, რომ გზის სავალი ნაწილის გადაკეტვას ეყო!**

უნდა გენახათ და მოგესმინათ, ეს დიადი გამარჯვება — **გზის გადაკეტვა** — როგორ აღნიშნეს და იზეიმეს **მამუკა ხაზარაძის** კარის ტელევიზია **„ტვ პირველის“** კორესპონდენტებმა და წამყვანებმა, რომლებსაც თვალებში წამიერად გაუკრთათ ბედნიერების სხივი, ხოლო ხმაში ომახიანი ნოტები გაერიათ.






**შიგევროპელ მეპროტესტეთა მიერ გადაკეტილი გზა მხოლოდ ერთი მიმართულებით მიდის — პოლიტიკურ მოუსავლეთში!**



**— პროტესტის 75-ე დღეს საქართველოს მოქალაქეებმა შეძლეს და, მიუხედავად არაერთი წინააღმდეგობისა, მაინც გადაკეტეს რუსთაველის გამზირი!** — სიამაყით გამოაცხადა „ტვ პირველის“ რეპორტიორმა **ეკა მიშველაძის** გადაცემაში პირდაპირი ჩართვისას და ბრწყინვალე რევოლუციური გამარჯვებისათვის უფრო მეტი სიკაშკაშე რომ შეემატებინა, იქვე დასძინა — **მოქალაქეებმა გამარჯვების შეძახილებით გააქციეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებიო!**

გააქციესო!

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები გააქციესო!

თანაც, გამარჯვების შეძახილებით გააქციესო!

**ასლანი გაიქცა, აჭარა თავისუფალიაო...** არა, უკაცრავად, ეს ახლა არ თქმულა, 20 წლის წინათ დაიძახა ნაცების ბელადმა... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, პოლიციელები ხომ გააქციეს და გზა ხომ გადაკეტეს? ჰოდა, ეს არის მთავარი — **ამხელა უცხოურ დაფინანსებას, ამხელა საგარეო მხარდაჭერას, ევროპარლამენტის ამდენ რეზოლუციას, რიშების, შაჰინებისა და ჯო უილსონების თავდაუზოგავ ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია, რადგან ქართველი შიგევროპელები ისევ ახერხებენ... გზის გადაკეტვას!**

შიგევროპელთა ამ ღირსშესანიშნავი მიღწევით — **გზის გადაკეტვით** — თავის კორესპონდენტზე არანაკლებ აღფრთოვანებული გახლდათ **„ტვ პირველის“ წამყვანი ეკა მიშველაძე,** რომელმაც განაცხადა **— ეს შეიძლება, მცირე გამარჯვებაა, მაგრამ ძალიან სასიამოვნოა, განსაკუთრებით იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ივანიშვილის უკანონო ტყვეობაში იმყოფებიანო!**

ეჰ, როგორ დაიწყეს და როგორ ამთავრებენ, ლუზერი შიგევროპელები!

ჯერ იყო და, საპარლამენტო არჩევნებამდე ხელისუფლებას დღეებს უთვლიდნენ — **„ოცნების“ დამარცხებამდე და ივანიშვილის რუსეთში გაქცევამდე ამდენი და ამდენი დღე რჩებაო;** მერე, 26 ოქტომბრის საღამოს 8 საათზე, არჩევნებში გამარჯვებაც იზეიმეს — **რუსული რეჟიმი დავამარცხეთო!** მერე ხელისუფლებას სამდღიანი ვადა მისცეს ახალი არჩევნების თარიღის გამოსაცხადებლად; მერე კონსულტაციები გამართეს ტექნიკური მთავრობის ჩამოსაყალიბებლად; მერე... მერე... მერე... **და ახლა გზის გადაკეტვას ზეიმობენ! გზის გადაკეტვას თვლიან გამარჯვებად! გზის გადაკეტვით იჩქარებენ მინელებულ რევოლუციურ პულსს!**

საერთოდ, ყალბი გამარჯვებების ყალბი ზეიმები კოლექტიური ნაცების ხელწერაა. აკი, 2008 წლის 12 აგვისტოს რუსთაველის გამზირზე კონცერტიც კი გამართეს — **რუსეთს ომი მოვუგეთ, ნიღაბი ჩამოვხსენით და მისი ოკუპანტური სახე მთელ მსოფლიოს დავანახვეთო!**

ახლა კი რუსთაველის გამზირზე გზის სავალი ნაწილის გადაკეტვას ზეიმობენ, როგორც დიდ გამარჯვებას!

არადა, **ამათი გამარჯვება არ გაიშვა!**

**ამათ მიერვე გადაკეტილ გზაზე არ გაიშვა ამათი გამარჯვება!**

2009 წელს მაშინდელ გაერთიანებულ ოპოზიციას რუსთაველის გამზირი 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში საკნებით ჰქონდა გადაკეტილი და მთელი ქალაქი, ფაქტობრივად, პარალიზებული იყო, მაგრამ **რით დამთავრდა ის მართლაც უპრეცედენტო საპროტესტო მარათონი? დამთავრდა პროტესტის სრული მარგინალიზაციით, პოლიტიკური ოპოზიციის სრული დემორალიზაციით და ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის სრული აპათიით!**

არადა, მაშინ ქართულ ოპოზიციას ამერიკიდან და ევროპიდან იმის მესედი დაფინანსება და პოლიტიკური მხარდაჭერა რომ ჰქონოდა, რამდენიც დღეს კოლექტიურ ნაცლიბერალებს გააჩნიათ, სააკაშვილის რეჟიმს ადვილად მოუგრეხდა კისერს, რადგან მაშინდელი სახალხო პროტესტი, ახლანდელი შიგევროპული პროტესტისაგან განსხვავებით, მართალი, გულწრფელი და პატრიოტული იყო.

კი, **შიგევროპელების პროტესტი** თავიდან ბოლომდე სიყალბეზე რომ არის აგებული, სწორედ ამიტომ ვერ მიაღწიეს დასახულ მიზანს და ახლა ისღა დარჩენიათ, ყალბად იზეიმონ ყალბი გამარჯვება, რომელიც, თურმე, გზის გადაკეტვაში გამოიხატება!

არადა, **ამათი გამარჯვება არ გაიშვა!**

**ამათ მიერვე გადაკეტილ გზაზე არ გაიშვა ამათი გამარჯვება!**

შიგევროპელ მეპროტესტეთა მიერ გადაკეტილი გზა მხოლოდ ერთი მიმართულებით მიდის — **პოლიტიკურ მოუსავლეთში,** სადაც კოლექტიურ ნაცმოძრაობას მისი იდეოლოგიური და სულიერი წინაპრები — **ფაშისტები და ბოლშევიკები დიდი მონატრებით ელოდებიან!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ქართველი **ექსპოლიტიკოსების** გასაგონად — **სალომე ზურაბიშვილს** დასავლეთში უკვე **ექსპრეზიდენტს** უწოდებენ.

„იმედინიუსი“

**თორნიკე რიჟვაძე**
*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე*



**კიდევ უფრო მეტად დამშვიდდება ქვეყანა** და აჭარაშიც კიდევ უფრო მეტი სიმშვიდე დაისადგურებს, **თუ „კოლექტიურ ნაცმოძრაობას“ აღარ ექნება ტრიბუნა.**

„იმედინიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ზელენსკის** ოჯახმა მილიონები იშოვა უკრაინის **დანგრევის ხარჯზე** და გმირად გამოაცხადეს, ხოლო **ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მშვიდობისთვის ყველაფერი დათმო** და დემოკრატიის მტრად აცხადებენ.

„იმედინიუსი“

**კახა კუპრაძე**
*თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე*



როდესაც რთავ ოპოზიციის ტელევიზიას, ასე იწყებენ, რომ **ქართველი ხალხი ისევ დგას და აპროტესტებს.** მინდა, მათ ვთხოვო, ამ ტერმინს ნუ იყენებენ, რადგან **ქართველმა ხალხმა აირჩია 89 დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ ამ პარლამენტში.**

„იმედინიუსი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი*



დღევანდელი ევროპა **საბჭოთა კავშირს დაემსგავსა,** როცა მას **ყველაფრის უფლება აქვს** და ყოველთვის მართალია.

„იმედინიუსი“

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2024 წლის №30–53, 2025 წლის №1–2, 3–7*

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე აცხადებს, რომ მმართველმა პარტიამ ტრამპის პრეზიდენტობით მაქსიმალურად უნდა ისარგებლოს და ქვეყნის გადასარჩენად იჩქაროს:***



## „ანტიდისკრიმინაციული კანონი, ე.წ. იუვენალური მართლმსაჯულება და კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ არის სიმსივნე, რომელიც უნდა ამოიკვეთოს!“

## ლაზარე ჯორბენაძე:

# საკმარისია, „ქართულ ოცნებას“ ფეხი დაუცდეს, სწორედ ეს მოსამართლეები და პროკურორები ჩაყრიან ამ ხელისუფლებას ციხეში!

— **ფარული დასი,** ანუ იგივე დიფ სთეითი არის ღრმა კორუფციული ჭაობი, რომელსაც განასახიერებენ „იუსაიდი“, „ნედი“ და სხვა ფონდები. როგორც **პრეზიდენტი ტრამპი და ილონ მასკი** აცხადებენ, თვით **„ამერიკის ხმა“ და რადიო „თავისუფლება“, „ნიუ-იორკ თაიმსი“, „პოლიტიკო“** და სხვა საინფორმაციო საშუალებებიც კი ისე გარყვნილა და გათახსირებულა, რომ დაუმონებიათ **„იუსაიდისა“ და „ნედის“** ამფსონებს, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ლგბტ გარყვნილებას, სახელმწიფო გადატრიალებას, ათასნაირ ძალადობრივ აქციასა და მაიდნის ტიპის უბედურებებს აფინანსებდნენ.

შეერთებულ შტატებში უკვე აქტიურად საუბრობენ **„იუსაიდისა“ და „ნედის“** აკრძალვაზე, ასევე იმ ხალხის პასუხისგებაში მიცემაზე, რომელიც მთელ ამ დანაშაულებრივ სისტემას მართავდა. სამწუხაროდ, საქართველოში იგივე არ ხდება. საქართველოს ხელისუფლება ჯერ კიდევ დგას და ელოდება, თუ როგორ დალაგდება სიტუაციები ამერიკის პრეზიდენტის კარზე.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ახლა ძვირფას დროს ფლანგავს?**

— ცხადია, ძვირფასი დრო იკარგება! ტრამპი ოთხი წლითაა მოსული. ღმერთმა ქნას, ამ ოთხ წელიწადში მან ფარული დასის ყველა მეტასტაზი და საცეცი ამოშანთოს, მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ მათ გასანადგურებლად? რას ან ვის ველოდებით? საქართველოს სხეული მოფენილია **ფარული დასის** სიმსივნური კერებით, რომლებიც ამოსაკვეთია. აი, მაგალითად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მთელი არასამთავრობო სექტორი, განსაკუთრებით ის ორგანიზაციები, რომლებიც თითქოსდა ადამიანის უფლებების დაცვას ემსახურებიან, ამოსაძირკვია.

**2014 წელს მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი, ე.წ. იუვენალური მართლმსაჯულება და კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ არის სიმსივნე, რომელიც უნდა ამოიკვეთოს!** გადადგომამდე ექვსი თვით ადრე საქართველოს გენერალური პროკურორი **ირაკლი შოთაძე** სიამაყით აცხადებდა — ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, ოჯახური ძალადობის საფუძველზე, 18 ათასი მამაკაცი გავასამართლეთ და ამ 18 ათასი შემთხვევიდან სასამართლომ საქმეების 80 პროცენტზე პატიმრობის მუხლი გამოიტანაო! როცა **ირაკლი კობახიძე** „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე იყო, აცხადებდა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი, იუვენალური მართლმსაჯულება და კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ იყო ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნა. **ახლა ამოდენა ამერიკაა ჩვენი მოკავშირე, შეერთებულ შტატებში ტრამპი და მისი ძლევამოსილი გუნდი აქტიურად იბრძვიან ამ სიმახინჯეების წინააღმდეგ და ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება?**




## „სააკაშვილის სასამართლო და პროკურატურა განსაკუთრებით საზიზღარი და ამაზრზენი „იუსაიდის“ მიერ დაფინანსებული ტრენინგების შემდეგ გახდა!“

### და ანტი-ქართული კანონები გასაუქმებელია?

აი, ახლა გეტყვით, თუ როგორი სიმახინჯე და აბსურდია **კანონმდებლობა ე.წ. ოჯახური ძალადობის შესახებ.**

### რატომ არ ისმის განცხადებები იმის შესახებ, რომ ეს თავს-მოხვეული, ბოროტი

ეს შემთხვევა ცოტა ხნის წინათ რუსთავში მოხდა: 45 წლის მამაკაცმა, საღამოს შინ რომ მივიდა, თავისი თოთხმეტი წლის ქალიშვილი მოიკითხა. მეუღლემ უთხრა — ბავშვი მეგობარ გოგონასთან არისო! კაცმა ცოლს არ დაუჯერა და მივიდა იმ „მეგობარი გოგონას“ ოჯახში. აღმოჩნდა, რომ გოგონები შინ არ იყვნენ და სინამდვილეში იმყოფებოდნენ ღამის ბარში, ანუ 00:00 საათზე 14 წლის გოგონები არ იყვნენ სახლში და ერთობოდნენ ღამის ბარში... გულგახეთქილი მამა წავიდა ღამის ბარში და ბავშვები იქიდან ძალით წამოიყვანა. ამ კაცის გოგონამ, რომელსაც ბარიდან წამოსვლა არ უნდოდა, დარეკა პატრულში და განაცხადა — მამაჩემმა ჩემზე და ჩემს მეგობარზე იძალადა და ჩვენი ნების წინააღმდეგ მივყავართ სახლშიო! პატრულმა გოგონას მამა „ოჯახური ძალადობის“ მუხლით მაშინვე დაიჭირა.

**— კაცმა გოგონები სცემა?**

— არა, არავითარი ცემა არ ყოფილა, მამამ, უბრალოდ, გოგონები ძალით გამოარიდა ღამის კლუბს... დიდი ძალისხმევა დამჭირდა და დაპატიმრებული მამა მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ გოგონას, ბოლოს და ბოლოს, ეყო სინდის-ნამუსი და პოლიციას განუცხადა — ეს პირველი შემთხვევა იყოო! სწორედ ამიტომ 45 წლის ახალგაზრდა კაცს ორთვიანი პატიმრობა აკმარეს, თორემ ბევრი წლით მოუწევდა ციხეში ყოფნა. საბოლოო ჯამში მაინც ცუდად დასრულდა ეს ისტორია — ის გოგონა გზას ასცდა, ხოლო თავმოყვარე კაცი მომხდარის გამო მეუღლეს დაშორდა და ოჯახი დაინგრა! კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ ქართულ ოჯახებს ანგრევს. სწორედ ეს არის იმ ხალხის ჩანაფიქრი და სურვილი, ვინც ფარულ დასს „კამანდრობს“...

### ეროვნული ღირებულებების მოშლა და ოჯახების დანგრევა სწორედ ფარული დასის მიზნებს ემსახურება.

**— თქვენ ახსენეთ იუვენალური მართლმსაჯულება... აქ რა უნდა შეიცვალოს?**

— ტრამპმა მთელი მსოფლიო ააყირავა, ერთი ამბავია, ამერიკა ტრადიციულ ფასეულობებს უბრუნდება და ჩვენი პროკურორები მაინც გაიძახიან — ამა და ამ კაცმა გენდერის ნიშნით ჩაიდინა დანაშაულიო! **ვინმემ ამიხსნას, რა ჯანდაბაა გენდერი?!**

### როცა ზეწოლა მოხსნილია და თვით ამერიკის პრეზიდენტი ამბობს, რომ ქალი ქალია და კაცი – კაცი, მაშინ გენდერი რა უბედურებაა და კანონში რატომ გვიწერია?

სისხლის სამართლის კოდექსში არის 261-ე პრიმა მუხლი, რომელიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიაში გადის და ასე ჰქვია — **„გენდერის ნიშნით განხორციელებული ძალადობა“.** აი, სწორედ ეს არის სიმსივნე სახელად ფარული დასი!

**— ეს კანონი ვინ მიიღო?**

— ეს „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, რადგან ასოცირების ხელშეკრულებამ დაგვავალდებულა. სწორედ 261-ე პრიმა მუხლია, ქართულ ოჯახებსა და ეროვნულ ტრადიციებს რომ ანგრევს. თქვე დალოცვილებო, თუ ქვეყანა გიყვართ, ქართული ოჯახებისა და ტრადიციების მკვლელ მუხლს მხარი რატომ დაუჭირეთ? კარგი, თუ მაშინ ზეწოლის ქვეშ იყავით და იძულებული გახდით, ეს უბედურება მიგეღოთ, ახლა ხომ მოიხსნა ეგ ზეწოლა? ჰოდა, კეთილი ინებეთ და გააუქმეთ ეს მუხლი!

**— საქმე ისეა გაფუჭებული და წამხდარი, ალბათ, უცბად, ყველაფერი ვერ გამოსწორდება! პირველ რიგში, მაინც რა არის გასაკეთებელი?**

— სასწრაფოდ არის გასაუქმებელი **ანტიდისკრიმინაციული კანონი,** რომელიც სა-

## კვირგვინოსნები

**ნიკა ჩიტაძე**
*ექსპერტი*



„ოცნება“ **ხალხის დაპატიმრებით, დაჯარიმებით** ევროპასთან ივაჭრებს.

„ახალი თაობა“

**ნიკა შენგელია**
*ეკონომიკის ექსპერტი*



**ტრამპმა ჯერ ვერ მოიცალა საქართველოსთვის,** მაგრამ, როდესაც მოიცლის, ეს მოცლა იქნება ძალიან მწარე! **ამერიკა არ დაუშვებს, რომ ჩინეთმა საქართველოს პორტების გავლით ევროპას მიაწოდოს საქონელი.**

„ახალი თაობა“

**ლევან ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



**შევარდნაძისა და სააკაშვილის** რეჟიმებმა **ვერ გამაჩერეს** და ვერც **ივანიშვილის** რეჟიმი **ვერ შემაჩერებს!** დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას ვაგრძელებ!

„ახალი თაობა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



საქართველო **საკვანძო ქვეყანაა** კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ამერიკის ინტერესების გასატარებლად. **საქართველოს ჩაკეტვით ცენტრალური აზიაც მოწყდება დასავლურ სამყაროს.** ეს არის მასშტაბური გეოპოლიტიკური საკითხი. **ტრამპს ეს ძალიან კარგად ესმის** და თუ არ ესმის, აუხსნიან.

„კვირის პალიტრა“

**არჩილ გამზარდია**
*პოლიტოლოგი*



ოპოზიცია **გაცვეთილი პოლიტიკოსებისგან** უნდა გაიწმინდოს!

„ახალი თაობა“

# „ენჯეოები, როგორც აპოკალიფსის მხედრები, უნდა ამოიშანთონ!“

ერთოდ არ გვჭირდება. ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოება საოცრად რჯულთშემწყნარებელია და საქართველოში არასოდეს არცერთი ეროვნების, აღმსარებლობისა და სქესის უფლება არ დარღვეულა. რაც შეეხება ბავშვთა უფლებების დაცვასა და იუვენალურ მართლმსაჯულებას, ამ დამღუპველ კოდექსში დაუყოვნებლივ ამოსაღებია ცნებები — **„გენდერი“ და „განსხვავებული სქესი“!** საერთოდ გასაუქმებელია **ოჯახური ძალადობის შესახებ კანონი** და, როგორც უკვე მოგახსენეთ, სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოსაღებია 261-ე პრიმა მუხლი! იცით, რამდენი ნარკომანი ჰყავს საქართველოს? მათი რიცხვი 234 ათასია, ხოლო 14-15 წლის ბიჭი რომ მარიხუანას ეწევა, იმას თუ არ გაუბრაზდი და ხელი არ მოჰკიდე, ხომ დაიღუპება? ჰოდა, მამა რომ შვილს ამის გამო გაუბრაზდეს, თურმე, ეს ყოფილა „ოჯახური ძალადობა“. ახალგაზრდობა გვეღუპება... **14-17 წლის გოგონები წამლის ზემოქმედების ქვეშ ღამის ბარებში დადიან და წარმოუდგენელ გარყვნილებას ეწევიან.**

**სწორედ ფარულმა დასმა და მის მიერ კონტროლირებადმა ენჯეოებმა მოიფიქრეს ახალგაზრდობის გარყვნისა და გადაგვარების ეს უმოკლესი გზა...**

ამიტომაა, რომ ეს ენჯეოები, როგორც აპოკალიფსის მხედრები, უნდა ამოიშანთონ! თუმცა, მარტო ეს არ კმარა... 2006-2009 წლებში საქართველოში მოსამართლეებსა და პროკურორებს ამერიკელები ტრენინგებს უტარებდნენ, რასაც **„იუსაიდი“** აფინანსებდა. მეც ვესწრებოდი ამ ტრენინგებს, რადგან 2006 წელს მოსამართლეობის გამოცდები ჩავაბარე.

**— მერედა, მოსამართლე რატომ არ გახდით?**

— მოსამართლე იმიტომ ვერ გავხდი, რომ **კოტე კუბლაშვილმა** დამიბარა და მკითხა — მოსამართლედ რომ დაგნიშნო, ჩვენს დავალებებს ხომ შეასრულებთო? — შენ ავად ხომ არ ხარ-მეთქი?! **— ავად კი ვარ, სისხლის გათეთრება მაქვს, მაგრამ შენ რომ გგონია, ისე არ ვარ ავადო!** მოკლედ, **„იუსაიდის“** მიერ დაფინანსებულ ამერიკულ ტრენინგებზე სამი თვე ვიარე და მოგიყვებით, იქ რა სიბინძურეებს ასწავლიდნენ მოსამართლეებსა და პროკურორებს. სწორედ იმ ტრენინგებზე შეიქმნა ე.წ. ჰედლაინები მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის. სინამდვილეში ეს იყო სავალდებულო მითითებები. ამერიკელების ინსტრუქციით, მოსამართლეებისთვის სავალდებულო ჰედლაინი ჩემმა ძმამ, ბატონმა **ომარ ჯორბენაძემ** დაწერა, ხოლო პროკურორებისთვის — **წყეულმა ადეიშვილმა.** ამ ჰედლაინებით მოსამართლეებსა და პროკურორებს გამოურეცხეს ტვინი და შთააგონეს — **„კანონი არის ის, რასაც ჩვენ დაგიწერთ!“** განსაკუთრებით მძიმე დღეში იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც განაჩენს პირდაპირ იმ ჰედლაინებიდან იწერდნენ... ვიმეორებ: ეს იყო **„იუსაიდის“** პროექტი და სააკაშვილის სასამართლო და პროკურატურა განსაკუთრებით საზიზღარი და ამაზრზენი **„იუსაიდის“** მიერ დაფინანსებული ტრენინგების შემდეგ გახდა!

**300 ათასი კაცი სწორედ „იუსაიდის“ პროექტით ჩაყარეს ციხეში, რათა ქართველი კაცი დაეშინებინათ, დაეჩმორებინათ და მორალურად გაეტეხათ!**

დღეს საქართველოში **ფარული დასი,** ანუ იგივე დიფ სთეიითი დგას ორ საყრდენზე — ერთია არასამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო მეორე — „იუსაიდის“ მიერ დატრენინგებული სასამართლო და პროკურატურა! **ვერავითარი კომისია საქმეს ვერ უშველის და „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ვერაფერს შეცვლის, თუ ეს ენჯეოები არ ამოიშანთა და პროკურატურა და სასამართლო სისტემა მთლიანად არ შეიცვალა!**

ამერიკაში მოსამართლედ ვერ დაინიშნება კაცი, თუ ძირეულმა ფსიქოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ის აგრესიისკენ არის მიდრეკილი. საქართველოში მოქმედ ყველა მოსამართლეს აქვს ე.წ. „საპროკურორო გადახრა“, ანუ ადამიანის დასჯისკენ არის მიდრეკილი. ის პატარ-პატარა ბიჭბუჭები, რომლებიც **ზურაბ ადეიშვილის, ვალერი ცერცვაძის, მიშა ჩინჩალაძის, ბატონი ომარ ჯორბენაძის, კოტე კუბლაშვილის** მოსამსახურეები და ხელისბიჭები იყვნენ, სწორედ ასე აღზარდეს და ჩამოაყალიბეს! „ქართული ოცნება“ რომ მოვიდა, 2012-2013 წლებში ეს ხალხი შიშით ცახცახებდა, რადგან ე.წ. **ნულოვანი ტოლერანტობა** სააკაშვილმა სწორედ ამ მოსამართლეებისა და პროკურორების მეშვეობით განახორციელა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ლევან მურუსიძე** შეკვეთილში ბიძინა ივანიშვილის წინ მუხლებზე დაჩოქილი ტიროდა — **ბატონო ბიძინა, ციხეში ნუ გამიშვებთ და რასაც მეტყვით, იმას გავაკეთებო!** მაშინ ივანიშვილმა მურუსიძეს უთხრა — **შვილო, შენ ისეთი რამეები გაქვს გაკეთებული, ნამდვილად დასაჭერი ხარო!** აი, მაშინ შეიძლებოდა ამ სისტემის შეცვლა, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა და სააკაშვილის ჯალათი პროკურორები და მოსამართლეები სისტემაში დატოვა.

**— ახლა რაეშველება ამ საქმეს? ხელისუფლებამ რომ მოინდომოს ამ მოსამართლეებისა და პროკურორების გაყრა, შესაძლოა, საბოტაჟი მოაწყონ და სისტემა ერთ დღეში ჩამოშალონ!**

— ახლა „ქართულ ოცნებას“ ამათი ხელაღებით გაყრა აღარ შეუძლია, თუმცა, ამ ხელისუფლებას რამდენიმე რჩევას მაინც მივცემ! **ფარული დასის** ყველაზე უფრო გავლენიანი წევრები თავშეფარებული არიან **იუსტიციის უმაღლეს საბჭოში,** რომელიც ხელისუფლებამ უნდა დაშალოს და ახალი სათათბირო ორგანო დამოუკიდებელი ხალხისგან, არა სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკებისგან დააკომპლექტოს! ამის შემდეგ უნდა დაიწყოს მოსამართლეებისა და პროკურორების გამოხშირვა, თორემ ერთიანად ამდენ ხალხს მართლაც ვერ გაყრი, სისტემა დაინგრევა... ვიმეორებ: 2012 წელს ამათი ერთიანად გაყრა შეიძლებოდა, როცა დაახლოებით 125 მოსამართლეს სახელმწიფო ერთ დღეში ამოჰკრავდა პანღურს და გაუშვებდა გლდანის ციხეში, მაგრამ ახლა ამას ვერ გააკეთებენ. ამიტომ უნდა მოხდეს ამ ჯალათების ნელ-ნელა გამოხშირვა. იგივე ეხება პროკურატურასაც... სხვანაირად საქართველო ამ ჭაობიდან ვერ ამოვა!

მოკლედ, თუ საქართველოს ხელისუფლებამ, ტრამპის პრეზიდენტობის ხანაში, არასამთავრობოებისა და სასამართლო-პროკურატურის მანკიერი სისტემის სახით, ქართულ სახელმწიფოში ჩაბუდებული **ფარული დასი** არ ამოშანთა, ქვეყანა წინ ვერ წავა! „ქართული ოცნების“ ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები ნაცმოძრაობის დროს ადვოკატები იყვნენ და ძალიან კარგად იციან, თუ რისი მკადრებლები არიან ეს მოსამართლეები და პროკურორები. **საკმარისია, „ქართულ ოცნებას“ ფეხი დაუცდეს, სწორედ ეს მოსამართლეები და პროკურორები ჩაყრიან ამ ხელისუფლებას ციხეში!** თუ ვინმე ფიქრობს, რომ ტყუილს ვამბობ და ეს ასე არ იქნება, გამოვიდეს და ხმამაღლა თქვას, რომ ვცრუობ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***






## „ტრამპი ოთხი წლითაა მოსული. ღმერთმა ქნას, ამ ოთხ წელიწადში მან ფარული დასის ყველა მეტასტაზი და საცეცი ამოშანთოს!“

## ქვირგვინოსნები

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა **ვადამდელი არჩევნებია.**

„ახალი თაობა“

**პეტრე ცისკარიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



გახარია მანდატს ებღაუჭება, მას ჭეშმარიტების მომენტი აპრილ-მაისში დაუდგება, ვნახავთ მათ რეალურ სახეს, **არიან ხალხის, ოპოზიციის მხარეს, თუ „ოცნებას“ არალეგიტიმურ პარლამენტს „უპრავებენ“.**

„პირველი არხი“

**მამუკა გამყრელიძე**
*პოლიტიკოსი*



გახარია **ცდილობს, სახელმწიფოს ფინანსებზე დაჯდეს.** 21 მაისამდე თუ არ ჩახსნის იმ სიას, მაშინ **იმ 12 დეპუტატს გამოყრიან პარლამენტიდან, მათ ნაცვლად შევა სხვა 12 დეპუტატი** და ეს დაფინანსება დარჩებათ.

„ახალი თაობა“

**გიორგი გახარია**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერი*



„ოცნებამ“ **ჯერ თავის რიგებში მყოფი ნაცები გაასამართლოს** და შემდეგ რაღაც იმედი შეიძლება გაჩნდეს, რომ ვინმეს გამსამართლებელია.

„რეზონანსი“

**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — ერთობის“ წევრი*



**„ქართული ოცნება“ ბოლო ეტაპს გადის.**

„ახალი თაობა“

## თანახმად ბოლო გამოკვლევების...

# სულ მთლად გამოკვლევდნენ!

***ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზით დამხობის მორიგი მცდელობის პროცესში განცდილმა კრახმა კოლექტიურ ნაცლიბერალებს დავთრები ისე აურია, რომ ელემენტარულ არითმეტიკასაც ველარ ართმევენ თავს და მათ მიერვე ყურით მოთრეულ ციფრებში ისე იხლართებიან, როგორც მდინარის თევზი მარჯვე მებადურის ნასროლ ბადეში.***

საქმე ის არის, რომ ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების ძარცვაში მხილებული **დავით კეზერაშვილის ტელევიზიამ** გასულ კვირას მაყურებელს წარუდგინა **იაგო კაჭკაჭიშვილის ორგანიზაცია „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“** მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც მათემატიკას, როგორც ზუსტ მეცნიერებას, თავდაყირა აყენებს.

კერძოდ, **თუ აქამდე ცნობილი იყო, რომ პროცენტი არის წილადი, რომლის მნიშვნელი 100-ის ტოლია ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, პროცენტი წარმოადგენს ერთეულად აღებული მთელის მესედ ნაწილს, იაგო კაჭკაჭიშვილის** ორგანიზაციის მიერ ჩატარებული და **გიორგი თარგამაძის** მიერ „ფორმულას“ ეთერში გაშუქებული კვლევა რადიკალურად განსხვავებულ ციფრს გვთავაზობს.

როგორც არაერთ პარტიასა და ტელევიზიაზე გადამხტარი **თარგამაძის** გადაცემიდან შევიტყვეთ, სოციოლოგიური კვლევა მიმდინარე წლის 18 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით ჩატარებულა და კითხვაზე — **„თქვენი აზრით, ვინ არის საქართველოში არსებულ კრიზისზე პასუხისმგებელი?“** — გამოკითხულ მოქალაქეთა პასუხები ასეთი პროცენტულობით განაწილებულა:

**„ქართული ოცნება“** — 77,9 პროცენტი; **ნაციონალური მოძრაობა** — 16 პროცენტი; **სხვა ოპოზიციური პარტიები** — 16,5 პროცენტი; **არასამთავრობო ორგანიზაციები** — 5,1 პროცენტი; **ევროკავშირის ქვეყნები** — 3,9 პროცენტი; **აშშ** — 2,1 პროცენტი; **რუსეთი** — 9,1 პროცენტი; **ბიძინა ივანიშვილი** — 23,6 პროცენტი; **გლობალური ომის პარტია და დიფ სთეითი** — 1,1 პროცენტი; **ოპოზიციური მედია** — 3,7 პროცენტი; **სახელისუფლო მედია** — 3,2 პროცენტი; **სხვა** — 1,5 პროცენტი; **არ ვიცი** — 2,7 პროცენტი; **უარი პასუხზე** — 0,9 პროცენტი.

ძვირფასო მკითხველო, პროცენტების კალკულაციაზე რომ არ შეგაწუხოთ და დრო არ დაგახარჯვინოთ, პირდაპირ გეტყვით — **კაჭკაჭიშვილის კვლევის მონაცემთა ჯამი 167,3 პროცენტია!**

როგორც ჩანს, იაგო კაჭკაჭიშვილის კვლევითი ორგანიზაციისა და მისი უცხოელი დონორების მიზანი — **ბიძინა ივანიშვილი და მისი პარტია საქართველოს დამაქცევრებად გამოიყვანონ** — იმდენად ძლიერია, რომ 100-პროცენტიან ნიშნულშიც ვერ ეტევა!

ამიტომაც, **იაგო კაჭკაჭიშვილმა და მისმა უცხოელმა დონორებმა,** რომელთა შორის **ურსულა ფონ დერ ლაიენის ევროკომისიაც** ფიგურირებს, გადაწყვიტეს, საქართველოს ხელისუფლების გაშავების გეგმა გადაჭარბებით — 101,5 პროცენტით შეასრულონ.







# 167,3-პროცენტიანები,
## ანუ იაგო კაჭკაჭიშვილის კვლევითმა ორგანიზაციამ მათემატიკის თავზე გაიარა!




გამოკითხულთა **77,9 პროცენტი თვლის,** რომ „საქართველოში არსებულ კრიზისზე“ პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ ეკისრებაო! — გვეუბნება **კაჭკაჭიშვილის კვლევა.**

გამოკითხულთა **23,6 პროცენტის აზრით,** „საქართველოში არსებულ კრიზისზე“ პასუხისმგებელი პირადად **ბიძინა ივანიშვილიაო!** — წერია იმავე კვლევაში.

ესე იგი, **კაჭკაჭიშვილის კვლევით,** გამოკითხულთა 101,5 პროცენტი „საქართველოში არსებულ კრიზისში“ ივანიშვილსა და მის გუნდს ადანაშაულებს!

**რაკი ხელისუფლების გაშავების კოეფიციენტი 100 პროცენტს გასცდა, კაჭკაჭიშვილსა და მის გამოკვლევებულებს** თავისუფლად შეეძლოთ, ციფრების რახარუხი აღარ გაეგრძელებინათ, მაგრამ მათემატიკის თავზე ბოლომდე გაიარეს და იქამდე არ გაჩერდნენ, სანამ **167,3 პროცენტს** არ უწიეს.

ეტყობა, იფიქრეს — **კვლევა დამაჯერებელი რომ იყოს, „საქართველოში არსებულ კრიზისზე“ პასუხისმგებლობა მცირე-მცირე პროცენტებით ოპოზიციურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და გარე ძალებსაც დავაკისროთო!**

აბა, მარტო ის რომ დაეწერათ — **გამოკითხულთა 101,5 პროცენტის აზრით,** ყველაფერში დამნაშავე ივანიშვილი და მისი გუნდი არიანო, საზოგადოება კვლევის ობიექტურობაში ეჭვს არ შეიტანდა?

ახლა კი ყველაფერი რიგზეა — თუ **გამოკითხულთა 101,5 პროცენტი** თვლის, რომ „საქართველოში არსებული კრიზისი“ ხელისუფლების ბრალია, გამოკითხულთა დანარჩენი ნაწილი სხვებს, მათ შორის, გლობალურ ომის პარტიასა და **დიფ სთეითს,** ანუ **ფარულ დასს** ადანაშაულებს.

მართალია, **კაჭკაჭიშვილის 167,3-პროცენტიან კვლევაში,** რომლის მიხედვითაც 101,5 პროცენტი თვლის, რომ „საქართველოში არსებული კრიზისი“ ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ბრალია, **დიფ სთეითს, ანუ ფარულ დასს** მხოლოდ 1,1 პროცენტი ერგო, მაგრამ ესეც საქმეა იმ ფონზე, როცა ნაცლიბერალები **ფარული დასის** არსებობას საერთოდ არ აღიარებენ და მასზე საუბარს შეთქმულების თეორიად მიიჩნევენ.

ისე კი, კაჭკაჭიშვილის ორგანიზაციის კვლევაში არამხოლოდ არითმეტიკულ აბსურდთან გვაქვს საქმე, არამედ კითხვის ფორმულირებაც — **„თქვენი აზრით, ვინ არის საქართველოში არსებულ კრიზისზე პასუხისმგებელი?“** — სპეკულაციური და დემაგოგიურია, რადგან საქართველოში, სადაც ახალი მოწვევის პარლამენტმა სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა, მთავრობის შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა, პრეზიდენტიც აირჩია და საკანონმდებლო საქმიანობასაც შეუფერხებლად აგრძელებს, არავითარი კრიზისი არ არსებობს!

რაც შეეხება რუსთაველის გამზირზე ყოველ საღამოს რამდენიმე ასეული აქტივისტის შეკრებასა და კოლექტიური ნაცმოძრაობის ლიდერთა სატელევიზიო ყელყელაობას იმავე ტელევიზიების ჟურნალისტთა ისტერიული ტირადების ფონზე, ამას კრიზისი კი არა, **სამარცხვინო მასკარადი** ჰქვია!

ამდენად, **კაჭკაჭიშვილის ორგანიზაციის კვლევა,** რომლის მონაცემთა ჯამიც 167,3 პროცენტს შეადგენს და რომლის მიხედვითაც, გამოკითხულების 101,5 პროცენტი ივანიშვილისა და მისი პარტიის მოწინააღმდეგეა, თავიდან ბოლომდე **პოლიტიკური და პროპაგანდისტული სიაფანდობა** გახლავთ.

არადა, **კაჭკაჭიშვილმა და მისმა გამოკვლევებულებმა** მათემატიკის გაუპატიურება ასეთი შემართებით თუ გააგრძელეს, მალე ვიხილავთ სოციოლოგიურ კვლევებს, რომელთა მიხედვითაც, ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას საქართველოს მოსახლეობის **137 პროცენტი ითხოვს,** კოლექტიურ **ნაცმოძრაობას** ამომრჩევლის **291 პროცენტი უჭერს მხარს, 743 პროცენტს მიაჩნია,** რომ **სალომე ზურაბიშვილი** ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტია და **982 პროცენტის აზრით, ჭუჭუ ვაშაძე** საუკეთესო პრემიერ-მინისტრი იქნება.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ესენი — **ეს ნაცლიბერალი სექტანტები — ყოველთვის გამოკვლევებულები იყვნენ, მაგრამ საქართველოში ნაცმაიდნის ჩაფლავებისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრამპის ანტილიბერალური ადმინისტრაციის მძლავრობის ფონზე, სულ მთლად 167,3 პროცენტით გამოკვლევდნენ!**

ყოველ შემთხვევაში, **იაგო კაჭკაჭიშვილის ორგანიზაციის** უკანასკნელი კვლევა სწორედ ასეთ სურათს იძლევა!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**მერაბ შათირიშვილი**
*მწერალი*



ოპოზიციამ **თავის ამომრჩეველს თავი შეაზიზღა.** ყველამ ნათლად დაინახა, რომ **ეს ოპოზიცია კი არა, ქვეყნის მტერი ძალაა.** რატომ გვაყენებენ შეურაცხყოფას იმის ძახილით, რომ არჩევნები გაყალბდა? **როგორ გაყალბდა, როცა მე და ჩემნაირმა კიდევ მილიონ 119 ათასმა კაცმა ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“!**

„საერთო გაზეთი“

**მირიან მირიანაშვილი**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციონერი ლიდერების პრაქტიკა ყოველთვის იყო **ხელისუფლებასთან ფარული გარიგება** და მე მაქვს ინფორმაცია, რომ **ეს ახლაც გრძელდება.** ოპოზიციას ოპოზიციური ელექტორატიც აღარ ემორჩილება.

„კვირის პალიტრა“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



პარადოქსია, რომ **მომიტინგეების უმრავლესობისთვის ოპოზიციონერი ლიდერები მიუღებელია,** მაგრამ ფინანსურ და ორგანიზაციულ დახმარებას სწორედ მათგან იღებენ. **ეს ხომ თვალთმაქცობაა?** „კვირის პალიტრა“

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**ოპოზიციას არა ჰყავს ლიდერი,** რომელსაც შეუძლია პასუხისმგებლობის აღება თუნდაც გამწვავებაზე ან თუნდაც დიალოგზე. **ეს ქმნის ოპოზიციაში პრობლემებს** და მერე გადადიან შიდა გარჩევებზე. „კვირის პალიტრა“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**არ ენდობა ხალხი ოპოზიციას** და ეს არის ყველაზე სერიოზული პრობლემა. ისინი უკვე **მყარად ასოცირებული არიან მარცხთან,** ვერც ერთხელ ვერ მოუგეს ხელისუფლებას.
„კვირის პალიტრა“

გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:

№7 (303) ★ 2025 წლის 17 თებერვალი ★ გამოდის 2003 წლიდან

სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!

იოსებ სტალინი

# უკრაინის გაყოფა

***ცოტა ხნის წინათ ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტელეკომპანია „ფოქს ნიუსთან" საუბრისას უკრაინისა და რუსეთის შესახებ ერთი შეხედვით მეტად უცნაური რამ განაცხადა: „მათ შესაძლოა,***




***შეთანხმებას მიაღწიონ, შესაძლოა, ვერ მიაღწიონ. შესაძლოა, ოდესმე ისინი რუსები გახდნენ, ან შესაძლოა, არ გახდნენ. მაგრამ ჩვენ უკრაინაში ამდენი ფული გვექნება ჩადებული და მინდა, რომ ეს ფული დაგვიბრუნდეს! მათ იშვიათი მინერალების, ნავთობისა და გაზის, ასევე სხვა რესურსების თვალსაზრისით უაღრესად ძვირფასი მიწა აქვთ. მინდა, რომ ჩვენი ფული დაცული იყოს, რადგან უკრაინაში ასეულობით მილიარდ დოლარს ვხარჯავთ!"***

## რა მოხდა 1596 წლის 9 ოქტომბერს ბრესტში?



მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ გაათავისუფლა 2021 წლის აგვისტოში მოსკოვის აეროპორტში ნარკოტიკების გადაზიდვისათვის დაპატიმრებული ამერიკელი მასწავლებელი **მარკ ფოგელი, დონალდ ტრამპი** საშინელი ქარბუქისა და თოვის მიუხედავად, მოსკოვის ციხიდან დახსნილ ფოგელს, ფაქტობრივად, ქუჩაში დახვდა და ხმამაღლა განაცხადა, რომ **ვლადიმერ პუტინის** მიერ გადადგმულ ნაბიჯს აფასებს! უფრო მეტიც, ამერიკის პრეზიდენტის აზრით, **ფოგელის** გათავისუფლებამ რუსეთ-უკრაინის ომის დამთავრებაში შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს!

უპრიანია, აქვე აღინიშნოს, რომ შეერთებული შტატების მრავალეროვან მოსახლეობას შორის ეთნიკური გერმანელი ყველაზე მეტია. ამერიკაშიც დაახლოებით 40 მილიონზე მეტი გერმანელი ცხოვრობს და თვით ტრამპიც კი მესამე თუ მეოთხე თაობის გერმანელია. რაც შეეხება რუსეთის ციხიდან გათავისუფლებულ მარკ ფოგელს, სიმბოლურია, რომ **„ფოგელ"** გერმანულად ჩიტს ნიშნავს, ამდენად, ბუნებრივად დაისმის კითხვა — მაინც რა ამბავი ჩამოუტანა რუსეთიდან ამერიკაში მისტერ ტრამპს **„ჩიტმა"**, რომელიც პუტინმა გაათავისუფლა?

აქამდე არც **ტრამპი** და არც **პუტინი** ერთმანეთში გამართული სატელეფონო საუბრების შესახებ არაფერს აკონკრეტებდნენ და საზოგადოებამ მხოლოდ **ილონ მასკისა** და **მარკო რუბიოს** განმარტებებით იცოდა, რომ რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტებმა ამ თემაზე ერთმანეთში ისაუბრეს! მაგრამ წინა კვირას მოხდა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი, როცა ყველაფერს საბურველი აეხადა და **ტრამპმა**, ფაქტობრივად, აღიარა, რომ უკრაინის ბედზე პუტინს **ზელენსკის** გარეშე ელაპარაკა.

ყველაფრიდან ჩანს, რომ **ტრამპი** და **პუტინი** უკრაინის შესახებ არათუ ლაპარაკობენ, არამედ უკვე მოლაპარაკებულებიც არიან და უკრაინის ბედი ისევე გადაწყვეტილია, როგორც **1555 წლის 29 მაისს** ყიზილბაშურმა ირანმა და ოტომანურმა თურქეთმა უბედური საქართველოს ბედი ქალაქ ამასიაში ქართველების გარეშე გადაწყვიტეს. ცნობილია, რომ 1532 წელს ირანსა და თურქეთს შორის კავკასიაში პირველობისთვის ატეხილი ომი 1555 წელს იმით დასრულდა, რომ **შაჰ-თამაზსა** და **სულეიმან სჯულმდებელს** შორის ხელი მოეწერა ზავს, რომლის ძალითაც ირანმა და ოსმალეთმა საქართველო შუაზე გაიყვეს. **ამასიის ზავით,** იმერეთის სამეფო, გურია, სამეგრელო და სამცხე-საათაბაგო დარჩა თურქეთს, ხოლო ქართლი და კახეთი ყიზილბაშურმა ირანმა დაისაკუთრა. მართალია, საქართველოს არცერთი მეფე-მთავარი ამ უკანონო გადაწყვეტილებას არ აღიარებდა და ქართველი ხალხის თავგადაკლული ბრძოლა, როგორც სეფიანთა ირანის, ისე თურქი მწამებლების წინააღმდეგ არ ცხრებოდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა — **ორმა მტაცებელმა და გეოპოლიტიკურმა გველეშაპმა — ირანმა და თურქეთმა პატარა საქართველოს არაფერი ჰკითხეს და ქვეყანა შუაზე გაგლიჯეს!**

იგივე უბედურება დაგვემართა 1921 წლის 16 მარტსაც, როცა **ლენინმა** და **მუსტაფა ქემალ ათათურქმა** საქართველოსა და ქართული მიწების ბედი საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის გარეშე გადაწყვიტეს და ისე, რომ თბილისში არავისთვის არაფერი უკითხავთ, არტაანისა და ართვინის პროვინციები რუსებმა თურქებს გადაულოცეს. სწორედ **1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებამ** განსაზღვრა რუსეთ-თურქეთის მაშინდელი საზღვარი, რომელიც საუკუნეზე მეტი ხანი არ შეცვლილა და დღეს უკვე საქართველო-თურქეთის საზღვარს წარმოადგენს. ბედის ირონიით, სწორედ **1921 წლის 16 მარტს** მოეწერა ხელი სავაჭრო ხელშეკრულებას დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის, როცა ბრიტანეთმა პასუხისმგებლობა იკისრა, რომ ანტისაბჭოთა და ანტირუსულ პროპაგანდაზე უარს იტყოდა და, ფაქტობრივად, აღიარა ლენინის ხელისუფლება.

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ სწორედ **1921 წლის 16 მარტს** თურქეთის საოკუპაციო ძალებმა და გენერალმა **ქიაზიმ ყარაბექირ-ფაშამ** ბათუმი დაიკავეს, მაგრამ გენერალმა **მაზნიაშვილმა** და ქართველმა ბოლშევიკებმა, რომელთა ქმედებაც კრემლთან იყო შეთანხმებული, **1921 წლის 18 მარტს** ბათუმში მძლავრი შტურმი წამოიწყეს და 19 მარტს თურქი ოკუპანტები ქალაქიდან გარეკეს!

მოკლედ, ყველაფრიდან ჩანს, რომ დიდი მტაცებლების მსგავსად, რომლებმაც საქართველო არაერთხელ დადეს სავაჭრო დახლზე ან ერთმანეთში გაინაწილეს, დღეს უკრაინასაც იგივე განაჩენი გამოუტანეს! დიდი ალბათობით, **პუტინს** დარჩება უკრაინის ტერიტორიის მეხუთედზე მეტი, რომელიც სამწლიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად რუსის ჯარმა ხელში ჩაიგდო, ხოლო **დონალდ ტრამპის** ადმინისტრაცია კრემლის ამ მონაგარს აღიარებს. სამაგიეროდ, უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე დამყარდება ამერიკული კოლონიური რეჟიმი და დაიწყება იშვიათი ლითონების, მათ შორის, ტიტანისა და ლითიუმის ოკეანის გაღმა გადაქაჩვა, რის შესახებაც **დონალდ ტრამპს** თავისი ინტერესები არც დაუმალავს და პირდაპირ თქვა — **500 მილიარდი დოლარის ღირებულების წიაღისეულით უნდა დავაზღვიოთ ჩვენი ის დახმარება, რომელიც უკრაინას მივეცითო!**

საბოლოო ჯამში, უკრაინაშიც გათამაშდება ქართული კარტი — ტერიტორიის 80 პროცენტზე დამყარდება ამერიკული რეჟიმი, ხოლო, სულ მცირე, 20 პროცენტს წაიღებს რუსეთი! მოგეხსენებათ, სწორედ ასე მოხდა საქართველოშიც, როცა ჩვენი ძირძველი ქართული მიწების 20 პროცენტი, ანუ აფხაზეთი და სამაჩაბლო მიიტაცა რუსეთმა, ხოლო დანარჩენი საქართველო ამერიკის ადმინისტრაციამ თავის ხასინჯუდ, ანუ უშუალოდ ვაშინგტონში მოკალათებული ყაენ-პრეზიდენტის საბატონო მიწად გამოაცხადა.

რომის პაპმა **კლიმენტი მერვემ** იმდენი ხლართა და იმდენი „უფითილა" პოლონეთ-ლიტვის რეჩ-პოსპოლიტას, რომ **1596 წლის 9 ოქტომბერს** ბრესტში ხელი მოეწერა უნიას, რომლის ძალითაც კიევის მიტროპოლიტმა **მიხეილ როგოზამ,** ასევე ლუცკის, ვლადიმირ-ვოლინსკის, პოლოცკისა და დასავლეთ რუსეთის მართლმადიდებელმა რუსმა ეპისკოპოსებმა თავიანთ მეთაურად ცნეს არა მოსკოვისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, არამედ რომის პაპი და რომის კათოლიკური ეკლესიის დოგმატები, თუმცა, შეინარჩუნეს ბიზანტიური ღვთისმსახურება სლავურ საეკლესიო ენაზე.

1596 წელს რომის პაპმა **კლიმენტი მერვემ** ბრესტის უნია იმისთვის „შემოაგდო", რათა რუსეთის ცენტრალიზებულ სახელმწიფოს დასავლეთ სლავურ მიწებსა და განსაკუთრებით უკრაინაზე წვდომა გაძნელებოდა! ამ ამბიდან დაახლოებით 430 წლის შემდეგ **საიდუმლო დასმა,** ანუ იმავე **დიფ სთეიტმა** ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა რუსეთისთვის უკრაინა კიდევ ერთხელ დაეპირისპირებინა, მაგრამ ეს ამბავი ამჯერად საშინელი კატასტროფით მთავრდება — **უკრაინა ან საერთოდ გაქრება, ან, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, გაიყოფა!**

ასე რომ, უკრაინამ ყველაფერი თავის თავს დააბრალოს! როცა მეფედ **მასხარა ზელენსკის** აირჩევ, უარესიც დაგემართება. აკი, სულმნათ აკაკისაც აქვს ნათქვამი: მეფე რომ „პიიპიიუს" იმღერებს, ერი „ვაი-უის" იბღავლებსო!

## ★ რაც მოგივა დავითაო...

***დიტო ჩუბინიძე***



მიხეილ
კვესელავა

# ას ერგასის

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-60; 2025 წლის №1-6*

## ცხოველები და ადამიანები...

ბრალდებულთა შორის ყველაზე სიტყვაძვირმა **ფრიკმა** თავის დასაცავად გამოსვლაც არ ისურვა. ამიტომ მისმა **ვექილმა პანენბეკერმა** ტრიბუნალის სხდომაზე განაცხადა, ბრალდებულ **ფრიკის** დაკითხვაზე უარს ვამბობო. ერთადერთი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ **ფრიკის** დავალებით **დოქტორი გიზევიუსი** გამოიძახა მოწმედ. რად გინდათ, ხომ იცით, **გიზევიუსის ჩვენება გერინგს ავნებსო, — ეუბნებოდნენ ფრიკს.**

— **გერინგს** რას დავეძებ, მე ჩემი თავის გადარჩენაზე ვფიქრობ, — თქვა მან.

იმ დროს უკვე გამოსული იყო **გიზევიუსის** წიგნი **„ბრძოლა უკანასკნელ წუთამდე“,** ამიტომაც იცოდნენ, რომ მისი მოწმედ მოხმობა არ ივარგებდა, მაგრამ **ფრიკი** გაჯიუტდა:

— ძალიან გთხოვთ, თქვენ ნუ ერევით ჩემს დაცვაში. მე ხომ არ ვყოფ ცხვირს სხვის საქმეში, თქვენც დამანებეთ თავი. მე რომ არ გამოვიძახო **გიზევიუსი,** სულერთია, **შახტი** გამოიძახებს. ამაზე **დენიცმა** ჰკითხა **გერინგს,** რას ფიქრობთ **ფრიკის** განზრახვაზეო.

— **ფრიკი** ძნელად გასაგები ადამიანია. არა მგონია, ამ ამბავმა რამე სანუგეშო მისცეს, — მიუგო მან.

**ფრიკი „ნუგეშს“** კი არა, პასუხისმგებლობიდან დასაძვრენ ხვრელს ეძებდა. მართალია, ტრიბუნალის სხდომებზე არ იღებდა ხმას, მაგრამ ციხის სასადილოსა თუ საკანში, **ჯილბერტთან** საუბრის დროს, დიდი მონდომებით უკეთებდა კომენტარებს პროცესის მიმდინარეობას. მას კარგად ესმოდა, რომ გერმანიაში მომხდარ ამბებზე სხვაზე ნაკლებ პასუხისმგებელი როდი იყო, როგორც უძველესი ნაციონალ-სოციალისტი და მესამე იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი. როცა პროცესზე ებრაელთა ხოცვა-ჟლეტის შემაძრწუნებელ ამბებს ჰყვებოდნენ, **ფრიკი** თავის საკანში ეუბნებოდა **ჯილბერტს:**

— მერე რა, ყოველ რასას აქვს უფლება, დაიცვას საკუთარი თავი. ებრაელებიც ხომ ამას აკეთებდნენ ათასეული წლების წინ... **ჰიტლერი** გერმანული სისხლის სიწმინდისათვის იბრძოდა, თორემ ბუნებით ანტისემიტი არ ყოფილა...

**ფრიკი,** მსგავსად **როზენბერგისა,** ამტკიცებდა, რომ ეს **„მეცნიერული საკითხია“,** რომ ნიურნბერგის ანტისემიტური კანონები **„ბუნების ფუნდამენტურ კანონებს“** ეყრდნობა.

— თუ სისხლის სიწმინდის დაცვის კანონები ცხოველებში მოქმედებს — თქვა მან, — რატომ ადამიანებში არ უნდა მოქმედებდეს?! ჩქარა თქვენც დადგებით ამგვარი ამოცანის წინაშე. ამერიკელ თეთრებს არ სურთ, გაითქვიფონ შავკანიანებში.

შემდეგ ამ საუბარში სხვებიც ჩაერივნენ. **ზეის-ინკვარტმა** თქვა:

— გერმანიაში ძალიან ბევრი ებრაელი ინტელექტუალი იყო. საჭირო გახდა მათი გაწმენდა. ამას აკეთებდნენ **ჰიმლერი, ჰაიდრიხი, აიხმანი, ჰოსი** და სხვები. მეტი არაფერი!

— **ჰოსი** სამხრეთგერმანელია, თორემ პრუსიელი არასოდეს არ იზამდა ამას, — უთხრა **გერინგმა.**

— სამხრეთგერმანელებს, მართლაც, აქვთ ამგვარი მისწრაფება ფანატიკური იდეოლოგიისადმი. თუმცა, სადაც ბრძანებაა, იქ ფიქრი უადგილოა. **ჰოსი** კი მხოლოდ ბრძანებას ასრულებდა, — მიუგო **ზეის-ინკვარტმა.**

— ნუთუ მართალია, რომ **აუშვიცში** *(ოსვენციმი)* ორნახევარი მილიონი ებრაელი დახოცეს? — იკითხა გულუბრყვილოდ **ზაუკელმა,** თითქოს მისი **5 მილიონი „უცხოელი მუშისაგან“** ამაზე მეტი არ ყოფილიყო დაღუპული.

— არა, არა, ეს ტექნიკურადაც შეუძლებელია, — მიუგო **გერინგმა.**

— კი მაგრამ, **ჰოსმა** ფიცქვეშ დაადასტურა ეს და კიდეც აღწერა, როგორ აკეთებდნენ ამას.

**გერინგმა** პასუხის ნაცვლად სიტყვის ბანზე აგდება არჩია.

...**ფრანკი** კი უკვე თვითონ აღიარებდა:

— დიახ, ებრაელების წინააღმდეგ ბრძოლაში მიმიძღვის ბრალი. ეს წერია ჩემს დღიურებში და ასეცაა...

მიუხედავად ამისა, იგი თავის დანაშაულს, ძველებურად, გერმანელი ხალხის **„დანაშაულთან“** აიგივებდა და ასეთი რამის თქმასაც კადრულობდა:

— ჩვენ, გერმანელები, ყველანი მძარცველები ვართ. ნუ დაივიწყებთ, რომ გერმანული ლიტერატურა იწყება **შილერის „ყაჩაღებით“.**

ეს რომ თქვა, **ჯილბერტს** მიაჩერდა:

— ნუთუ ეს თქვენ არასოდეს მოგსვლიათ თავში?!.

**ფრანკი** არამარტო თავის ხალხს შეურაცხყოფდა, არამედ ზოგჯერ უფრო შორსაც მიდიოდა:

— ყოველივე ეს ევროპული ცივილიზაციის დეგრადაციის შედეგიაო, — ამბობდა იგი.

**როზენბერგს** არ მოეწონა ფრანკის ამგვარი პოზიცია და დასცინა:

— **ფრანკი** აღგზნებული ორატორია. იგი აღებს პირს, აფრქვევს სიტყვებს და მხოლოდ ხუთი წუთის შემდეგ დამუწავს... რასაც იგი ამბობს, მართალია, მაგრამ რატომ ავიწყდება, ინგლისელებმა რომ ჩინეთში ოპიუმით გაჟლიტეს მილიონობით ადამიანი, ამერიკელებმა კი ატომის ყუმბარით ერთბაშად ამოხოცეს სამასი ათასი იაპონელი...

**„მომნანიებელი ფრანკი“** კი ზოგჯერ თავის თავს ვერ მალავდა და უნებლიეთ ისევ რასობრივ სიძულვილს ამჟღავნებდა. იგი ხან **ებრაელებს** ესხმოდა თავს, ხან **პოლონელებსა** და **„ზარმაც ფრანგებს...“**

...**„მონათმფლობელი ზაუკელი“** სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— მე კარგი მინდოდა, ყველაფერს გერმანიისთვის ვაკეთებდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ომი ბოლშევიკებმა, ებრაელებმა და კაპიტალისტებმა მოგვახვიეს. ახლა მივხვდი, რომ ეს პროპაგანდა ყოფილა, მე შრომას ვაღმერთებდი... მეზიზღებოდა უმუშევრობა. მე კარგი ქრისტიანი ვარ... და სხვა...

როგორ უთავსებთ ერთმანეთს ქრისტიანობასა და ამდენი მილიონი ხალხის ძალით მორეკვას გერმანიაში? — ჰკითხა მას **ჯილბერტმა.**

— თქვენ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ომი იყო, — უპასუხა ნერვიულად **ზაუკელმა...**

რა თქმა უნდა, ომი ომია და ეს არც არავის ავიწყდებოდა, მაგრამ...

პროცესზე ლაპარაკი იყო გეგმა **„სენოს“** შესახებ. ეს უაღრესად გასაიდუმლოებული გეგმა შეადგინეს ჰიტლერელებმა. იგი ითვალისწინებდა **10-14 წლის ბავშვების** დეპორტაციას აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ამ გეგმის შესრულებაც **ზაუკელს** დაევალა. უნდა ითქვას, რომ თვით ეს გამოცდილი **„მონათმფლობელიც“** კი შეაძრწუნა ასეთმა გეგმამ და უნდოდა, ამ საკითხის მოგვარება გადაეკისრებინა აღმოსავლეთის ტერიტორიების მმართველ **როზენბერგისათვის.** საბუთიც მოიშველია, ამ ბავშვების სამუშაოზე გამოყენება არ შეიძლებაო. ეს არც გერმანიის სამხედრო ძლიერებას შეუწყობს რამეთი ხელსო. ბოლოს **როზენბერგი** და **ზაუკელი** მაინც შეთანხმდნენ და, იცით რაზე?! რომ **„ეს ღონისძიება აუცილებელია მოწინააღმდეგის ბიოლოგიური ძალის შესასუსტებლად...“**

**როზენბერგის** დამცველმა **თომამ** ისიც იკითხა, ჰააგის კონვენცია თუ კრძალავს ამგვარ დეპორტაციასო. ამან ისე გამოიყვანა მოთმინებიდან საერთოდ მშვიდი **ლოურენსი,** რომ გაოცებულმა ჰკითხა მას:

— ნუთუ თქვენ გინდათ ამტკიცოთ, რომ...

**თომა** ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, არც დაამთავრებინა კითხვა **ლოურენსს,** ხელები გაასავსავა და წამოიძახა:

— არა, არა, მილორდ, მე არაფერს არ ვამტკიცებ...

...რაც შეეხება ყოფილი გროსადმირალების — **დენიცისა** და **რედერის** საქმეს, გერმანული სამხედრო ფლოტის, განსაკუთრებით წყალქვეშა ნავების პირატულ მოქმედებებს, ეს საქვეყნოდ ცნობილია. ის, რომ გაუფრთხილებლად სავაჭრო და სამგზავრო ხომალდებს ძირავდნენ, ხოლო წყალში უმწეოდ მოფართხალე ხალხს არამცთუ არ ეხმარებოდნენ, პირიქით, ტყვიამფრქვევებს უშენდნენ, დაცვის აზრით, საერთო წესი ყოფილა ომის დროს და დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს. არც ტყვედ ჩავარდნილი საზღვაო ოფიცრების დახვრეტა ყოფილა დანაშაული. ომი, სამწუხაროდ, ომია, — ამბობდნენ ისინი და ხელს აფარებდნენ ამ საზღვაო პირატების დანაშაულებრივ მოქმედებას. ბრალმდებლებმა კი დენიცის ასეთი ბრძანება გამოაქვეყნეს:





**გროსადმირალები დენიცი და რედერი**
**არავითარი ღონისძიება არ უნდა იქნეს ჩატარებული ჩაძირული გემების ეკიპაჟების გადასარჩენად. ეს ეწინააღმდეგება ყველაზე ელემენტარულ მოთხოვნას მტრის გემებისა და ეკიპაჟების მოსასპობად წარმოებულ ომში.**

— არავითარი ღონისძიება არ უნდა იქნეს ჩატარებული ჩაძირული გემების ეკიპაჟების გადასარჩენად. ეს ეწინააღმდეგება ყველაზე ელემენტარულ მოთხოვნას მტრის გემებისა და ეკიპაჟების მოსასპობად წარმოებულ ომში.

თვითონ **დენიცი** ქედმაღლურად უარყოფდა ყოველგვარ ბრალდებას. **ჰიტლერმა** რომ თავის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურობა დამაკისრა, ალბათ, ამიტომ მასამართლებენ, თორემ ისე რა დანაშაული მაქვსო.

— მე სულაც არ მაინტერესებდა, ჩემი სამხედრო ხომალდები **„მონების“** აშენებული იყო თუ არა. როცა დამჭირდა 12 ათასი მუშა, გამომიგზავნეს კიდეც. საიდან და როგორ, ეს რა ჩემი საქმეა. შეუიარაღებელი სავაჭრო ხომალდების ჩაძირვა ომის სამწუხარო აუცილებლობაა და სხვა...

ასე **„იცავდა“** იგი თავს. არც თავის წინამორბედსა და კოლეგას, გროსადმირალ **რედერს** ინდობდა — მოძველებული ტაქტიკა ჰქონდა და **„შურიანი მოხუცი“** იყოო. **რედერი** რომ მხოლოდ **„შურიანი“** ყოფილიყო, ეს არაფერი. ისიც ისეთი იყო, როგორიც მისი კოლეგები. თუმცა, მხრებს იჩეჩდა და გაოცებით კითხულობდა, მე რა კავშირი მაქვს ანტისემიტიზმთანო. მაშინ **ჯექსონმა** შეახსენა მას 1939 წელს წარმოთქმული სიტყვები **ჰიტლერის** ნათელ და აღმაფრთოვანებელ მოწოდებაზე **„ბოლშევიზმისა და მსოფლიო ებრაელობის მოსპობის შესახებ“.**

ამგვარი **„აღფრთოვანების“** შედეგი იყო **„მსოფლიო ებრაელობის“ ექვსი მილიონი ადამიანით „შემცირება“, რასაც თვითონ რედერმა პროცესზე „უსაშინლესი დანაშაული“ უწოდა...**

რაც შეეხება **რედერის** დამცველ **ზიმერს,** იგი, რა თქმა უნდა, ცდილობდა, დასაცავი სულ უცოდველ კრავად წარმოედგინა, მაგრამ თვითონ **რედერმა** უფრო მკაცრი განაჩენი გამოუტანა თავის თავს, ვიდრე ტრიბუნალმა...

...ასეთივე დღეში ჩავარდა **ში-**



**პროცესზე ლაპარაკი იყო გეგმა „სენოს“ შესახებ. ეს უაღრესად გასაიდუმლოებული გეგმა შეადგინეს ჰიტლერელებმა. იგი ითვალისწინებდა 10-14 წლის ბავშვების დეპორტაციას აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან!**

**რახის** დამცველიც. **შირახი** უფრო მეტს აღიარებდა, ვიდრე მისი დამცველი. იგი ხომ ჯერ კიდევ გამოსვლამდე იქადდა, ამას ვიტყვი, იმას ვიტყვიო. ისიც მოითხოვა, მიკროფონი მომეცით და სახალხოდ განვაცხადებ, რომ ნაციონალ-სოციალიზმი შხამია გერმანიისათვისო. მერე პროცესზე გამოვიდა და... უნდა ითქვას, მართლაც, დაგმო ნაციონალ-სოციალიზმი და მისი ფიურერი, მაგრამ მხოლოდ **„ცალკეული შეცდომებისათვის“.** შეთქმულებაში მონაწილეობა კი უარყო, — დიქტატორი შეთქმულებას არ აწყობს, იგი ბრძანებსო, — თქვა მან. მერე ისევ მკვდარ **ჰიტლერს** შეუტია:

— ეს არის უდიდესი და უჯოჯოხეთურესი მასობრივი მკვლელობა მსოფლიო ისტორიაში. საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტი **ჰოსი** მხოლოდ ჯალათი იყო. ბრძანებებს იძლეოდა და: **„მკვლელი“, „სადისტი“, „ფსიქოპათი“** და სხვა ამგვარი. მერე ისე **„შევიდა როლში“,** რომ განაცხადა:

— ჩემი დანაშაული ღმერთისა და გერმანელი ხალხის წინაშე ის არის, რომ დროზე არ მოვკალი **ჰიტლერი**...

დასასრულს ლაფიც გადაასხა თავზე. დასცინა, როგორც მამაკაცი უძლური იყო და ლამაზ ქალებს წარამარა ხელებზე კოცნიდაო. ისიც არ იცოდა, რომ გასათხოვარ ქალიშვილებს საერთოდ არ კოცნიან ხელზეო.

**შირახი** საბრალდებო სკამზეც არისტოკრატობდა. ამიტომ უსიამოვნოდ იმშუშნებოდა, როცა **„უხეში სიტყვებით“** მიმართავდნენ ბრალმდებლები, განსაკუთრებით, **შოუკროსი:**

— **ფონ შირახი!** რა უნდა ითქვას მასზე! წისქვილის ქვა უნდა დააკიდონ კისერზე. სწორედ ამ არამზადამ გახრწნა მილიო-

— ეს არის ყველაფერი, რაც მე გულზე მოსაშვებად შემიძლია ვთქვა...

...შირახის გამოსვლა ზოგმა **გერინგის „ჰეროიკულ ცინიზმზე“** გამარჯვებად მიიღო, მაგრამ საყვედური გამოთქვა, ასე მკაცრად არ უნდა გაელაშქრა **ჰიტლერის** წინააღმდეგო. **ფრიჩემ, ფუნკმა, შპეერმა, პაპენმა, შახტმა და ნოირატმა** მოუწონეს.

ჰკითხა, იცის თუ არა მან რამე ამის შესახებ. **ჰიტლერს** არაფერი უთქვამს. მერე მეც მოვუყევი, თუ როგორ ხდებოდა ებრაელების დეპორტაცია... აქ კი იფეთქა და ისეთი ყვირილი ატეხა, რომ მეგონა, იქვე დამაპატიმრებდნენ. ამის შემდეგ იგი სულ ალმაცერად მიყურებდა...

როცა ომის დასასრულს ყველაფერი ნათელი გახდა, მე მივხვდი, რომ ყველა ჩემი ეჭვი გა-




# დოე

**მოქცეულიყო ვაჟკაცურად, სულ ნარკოტიკებით რომ იყო გაბრუებულიო...**

პროცესზე **შპეერმა გერინგის** გარდა სხვებსაც შეუტია:

— არცერთი ამათგანი არ უნდა შევიდეს ისტორიაში, როგორც ადამიანი, ოდნავ მაინც რომ იმსახურებს პატივისცემას. დაე, მთელ ამ წყეულ ნაცისტურ სისტემას და მის ხელმძღვანელებს, ჩემი ჩათვლით, მიეზღოს ის ზიზღი და გმობა, რაც მათ დაიმსახურეს...

ახლა **გერინგი** კი არა, სხვებიც აღელდნენ. თვით **„პატარა ფუნკმაც“** კი წამოიძახა:

**— ეს ჩამოხრჩობის ღირსია!..**

მხოლოდ **პაპენმა** შეიკავა თავი შპეერის ლანძღვისაგან. იგი უფრო **გერინგს** სდებდა ბრალს, ვიდრე თავს იცავდა. ამბობდა, დასაცავი მე რა მჭირსო. **გერინგი** ცინიკურად უყურებდა იმ **„ბებერ ვირთხას“** და ბურტყუნებდა, ახ, ეს მოღალატე, ხომ ხედავთ, ცრუობს, სულ ცრუობსო.

**— დროზე უნდა დაგეხვრიტათ, — გადაულაპარაკა რიბენტროპმა გერინგს.**

— იგი თავის ჭუჭყიან საცვლებს რეცხავს, — თქვა ისევ **რიბენტროპმა. პაპენმა** კი **ჰიტლერს** შეუტია: **პათოლოგიური ტიპი, ცრუ მოლაყბე, მატყუარა და, ვინ იცის, რა არ უწოდა მას.**

— მე ყველაფერს ვაკეთებდი, რომ შემეჩერებინა იგი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ბოლოს კი სულ გადავდექიო, — თქვა მან პროცესზე. მერე კი **ჟილბერტს** უთხრა:

**— მე მზად ვარ, მივიღო სასჯელი. გერმანელმა ხალხმა უნდა გაიგოს, რომ მას უღალატეს, რათა თვითონაც მიიღოს მონაწილეობა ნაციზმის პირისაგან მიწისა აღსაგველად.**

**პაპენი** ამტკიცებდა, რომ ბოლოს **ჰიტლერს** მთელი გერმანელი ხალხის დაღუპვა უნდოდაო.

**პაპენი** რომ თავის ადგილას დაბრუნდა, **ფრანკმა** მიულოცა — მშვენიერი გამოსვლა იყოო. საკანში კი **ჟილბერტს** უთხრა:

— ახლა შეგვიძლია, გულახდილად ვილაპარაკოთ. **პაპენს** რომ პატიოსან კაცად მოაქვს თავი, დროზე სად იყო!

**დენიცმაც** იგივე თქვა:

— აჰა, მიხვდა ხომ! იგი ახლა უბრუნდება თავის ძველ ხაზს. ეს მას უნდა სცოდნოდა **თეირანში, კასაბლანკაში, იალტაში** და არა ახლა, როცა რუსები **ტიურინგიაში** არიან. ამას ვწერდი მე **ეიზენჰაუერს,** ვიდრე ცოცხალი ვიყავი...

სხვებმაც გამოთქვეს სინანული იმის გამო, **„სხვაგვარად რომ არ მოხდა“.** ინგლისს მთელი გულით უნდოდა, ჩვენ გვეომა რუსეთთანო, — თქვა ერთმა. **გერინგსაც** ინგლისელებთან სურდა კავშირი... მაშ, რატომ მოხდა ასე, ორი ერთმანეთის მოსისხლე მტერი რომ დაგვეტაკა? **ჰიტლერის** ბრალია?

— ისტორიის ძალა უფრო მაღლა დგას კაცობრიობაზე. ეს ისტორიული ფატალიზმია. საქმე ის კი არ არის, ვინ განაგებს, არამედ ის, რა ძალები განაგებენ. ეს ისეა, როგორც ბერძნულ ტრაგედიაშია, — თქვა **როზენბერგმა.**

— ძალაუფლებისა და აგრესიისაკენ მისწრაფება ისე ძლიერია, რომ ყოველთვის ერთი და იგივე იქნება: ძალთა დაპირისპირება და სისხლის ნიაღვარი, — თქვა **ფრანკმა...**

**...ფუნკი „აღშფოთებული იყო“ გერინგის, რიბენტროპისა და კაიტელის მორალური სახით.** მან სპეციალურად დაიბარა თავისთან **ჟილბერტი** და უთხრა:

— უნდა იცოდეთ, რომ ჩვენს შორის არ არის არცერთი, რომელსაც მორალური დანაშაული არ ჰქონდეს. მე ის მაწუხებს, რომ ებრაელების ქონების კონფისკაციას მოვაწერე ხელი. ეს

ნამდვილი კრიმინალური დანაშაულია თუ არა, სხვა საკითხია, — მორალური კი უსათუოდ არის. ახლა ვნანობ, რომ არ დავუჯერე ცოლს, რომელიც მეუბნებოდა, მიატოვე მინისტრობა და ერთ პატარა სამოთახიან სახლში ვიცხოვროთ, რომ თავიდან ავიცილოთ ამგვარი არასასიამოვნო საქმეებიო. თუმცა, მე რა მინისტრი ვიყავი! ჩემს ცხოვრებაში დაბედებული მაქვს, კარებამდე კი მივაღწევ, მაგრამ შიგ არ მიშვებენ. მეურნეობის მინისტრი მერქვა, ქვეყნის ეკონომიკას კი გერინგი განაგებდა. მე ფაქტიურად მისი სტატსმდივანი ვიყავი. ახლა კი პასუხისმგებლობა მე მეკისრება. ასე ყველანი დამნაშავენი ვართ, ცხადია, მეტ-ნაკლებად: **პაპენი** ისე არა, როგორც **გერინგი, ფრიჩეც** პატარა კაცია, მაგრამ ამ საშინელ ამბებზე მათ უფრო მეტი იცოდნენ, ვიდრე მე. თვით შახტიც ვერ აიცდენს მორალურ პასუხისმგებლობას.

მიუხედავად ამისა, **„პატარა ფუნკს“** არ დაუჯერეს, მარტო **„მორალური დანაშაული“** რომ ჰქონდა და, შეახსენეს, **1938 წელს** თქვენც ესწრებოდით თათბირს, სადაც **„კრისტალის ღამის“** გეგმა დგებოდაო...

— კი მაგრამ, ანტისემიტი მაინც არ ვყოფილვარ. ის კი არა, **რიჰარდ შტრაუსსა** და **ფურტვენგლერთან** ერთად **ლეჰარსაც** ვეხმარებოდი, იმას კი ცოლი ებრაელი ჰყავდა, — იცრემლებოდა **„პატარა ფუნკი“.** არც მის დამცველს დაუკლია ცდა — როგორმე დაეძვრინა იგი პასუხისმგებლობისაგან. მან დარმშტადტის ინტერნირებულ სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან ყუთებით ჩამოიტანა **13 ათასი** წერილობითი ჩვენება **ფუნკის „კაიკაცობის“** დასამტკიცებლად, მაგრამ ამაოდ... მისი მოადგილე, რაიხსბანკის ვიცე-პრეზიდენტი **პული** დაკითხვებზე უფრო გულახდილი იყო და ყველაფერს ყვებოდა: როგორ მოჰქონდათ ბანკში ნაძარცვი ძვირფასი ნივთები, როგორ ინახავდნენ მათ ბანკის სარდაფებში და სხვ.

— ამ ოპერაციებს სულ **ფუნკი** ხელმძღვანელობდაო, — თქვა მან.

...**შტრაიხერიც** რომ თავს იმართლებდა! მე მხოლოდ ანტისემიტიზმის თეორეტიკოსი ვიყავი და ებრაელების დახოცვაზე არაფერი ვიციო. წინ მისი გაზეთის **„შტიურმერის“** კომპლექტები დაუდეს. იქ ყველაფერი ეწერა: სად რამდენი ებრაელი დახოცეს, რამდენი მოკვდა გეტოებში შიმშილითა და ავადმყოფობით, როგორ ეპყრობოდნენ მათ. **„შტიურმერის“** კორესპონდენტები დაძრწოდნენ საკონცენტრაციო ბანაკებსა და გეტოებში ინფორმაციის შესაკრებად. მერედა, რა ტონით დაწერილ ცნობებს აწვდიდნენ ისინი მკითხველებს: **„სატანის ბუშები“, „ყოვლად იუდა გველები“, „თავი უნდა გაეჭეჭყოს ყველას“** და სხვა ასეთი.

ამ გაზეთის ტირაჟი **600 ათასი** იყო. ხომ კითხულობდნენ ამას გერმანიაში? სხვამ თუ არა, მისმა რედაქტორმა მაინც ხომ იცოდა ყველაფერი. ამის მიუხედავად, **შტრაიხერი** მაინც ცდილობდა განზე გადგომას, მაგრამ როცა დაინახა, არ გამოუდიოდა, ნიღაბი მოიძრო და გამომძიებელს უყვირა:

**— იცით, თქვენ, სატანა ვინ არის? ურია, გესმით, ურია!..**

...**ზეის-ინკვარტის** დამცველი უკმაყოფილო იყო — ვინ უწოდა ჩემს პაციენტს **„ავსტრიელი იუდაო“.** პატივცემულ დოქტორს სხვა მრავალ დანაშაულთან ერთად, შეახსენეს, რომ გახდა თუ არა ავსტრიის მმართველი, რამდენიმე დღეში დააპატიმრეს **76 ათასი** კაცი. აქედან **6 ათასი** მაშინვე დახვრიტეს, **ათას ორასს** — ნაჯახით მოჰკვეთეს თავი, ხოლო დანარჩენები — **დახაუს, ბუხენვალდისა და საქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკებში გააგზავნეს...**

**ადოლფ ჰიტლერი.** ეს წერია მის ანდერძში. **მან და ჰიმლერმა ჩაიდინეს გაუგონარი დანაშაული, რაც მუდამ სამარცხვინო ლაქად დარჩება ჩვენს ისტორიაში. ეს ისეთი დანაშაულია, რომ ყოველ გერმანელს სირცხვილს გვრის...**

აქ მისმა დამცველმა წამოიძახა, ნუ დავივიწყებთ, რომ ამას გარდა არსებობს **გოეთესა და ბეთჰოვენის გერმანიაო,** მაგრამ ამ წმინდა სახელების ხსენება **შირახს** რას უშველიდა ან სხვა ვინმეს. პირიქით, ეს უფრო შემზარავს ხდიდა მათ დანაშაულს. ფელდმარშალ **მილჰისადმი** გამოტანილ განაჩენში წერია:

— რა უბადრუკი სანახაობა იყო, როცა ცივილიზებული ერი, ერი **გოეთესი და ჰაინესი, ბეთჰოვენისა და შუბერტის, თუნდაც ბისმარკისა და ფონ ჰინდენბურგის,** მონურად ქედს იხრიდა და დაფორთხავდა განდიდების მანიით შეპყრობილი კაცუნის წინაშე...

ეს, მართლაც, სამწუხაროა, მაგრამ ამის მიუხედავად, არც არავინ უარყოფს **გოეთესა და ბეთჰოვენის გერმანიის არსებბას.** ის კი ყველასათვის ცხადია, რომ **შირახი** და მისთანები არ ეკუთვნოდნენ ამ გერმანიას. ამიტომ არც მის დამცველს ჰქონდა მორალური უფლება, ეხსენებინა **გოეთესა და ბეთჰოვენის სახელი.** აბა, გერმანელი ხალხის ამ გენიალურ წარმომადგენლებს რა საერთო აქვთ ადამიანის მსგავს არსებასთან, **შირახთან,** რომლის ამგვარ სიტყვებს კითხულობდნენ პროცესზე:

— ყოველი ებრაელი, რომელიც ევროპაში ცხოვრობს, ჩვენი კულტურის მტერია... ან კიდევ:

— თუ მე შემეკითხებიან იმ ათეულ თუ ასეულ ათას ებრაელზე, რომელნიც აღმოსავლეთის საკონცენტრაციო ბანაკებში გავგზავნეთ, ვიტყვი, რომ ეს არის ის აქტიური წვლილი, რაც ჩვენ შეგვაქვს ევროპული კულტურის განვითარებაში...

ამგვარმა **„წვლილმა“** შეიწირა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე, ხოლო კაცი, რომელიც წლების მანძილზე გერმანელ ახალგაზრდობას სალოცავ ხატად **ჰიტლერს** უსახავდა, გამოვიდა პროცესზე და უკანასკნელი სიტყვებით ლანძღა თავისი **„საყვარელი ფიურერი“.** რა არ აკადრა მას, რა არ უწოდა







ნობით უდანაშაულო გერმანელი ჭაბუკი, რათა ძალადობისა და მკვლელობის ბრმა იარაღად ექცია ისინი...

პროცესზე ასეთი შემაძრწუნებელი მაგალითიც მოიყვანეს: ლვოვის საკონცენტრაციო ბანაკიდან გერმანიაში **„ჰიტლერული ახალგაზრდობის“** ორგანიზაციებს უგზავნიდნენ ბავშვებს... სამიზნედ დასაყენებლად. ამით მომავალი მკვლელები ერთდროულად მიზანში მორტყმასაც სწავლობდნენ და ნერვებსაც იკაჟებდნენ...

**შირახი** იძულებული გახდა, თვითონაც ეღიარებინა ეს, მაგრამ მაინც თქვა:

— ახალგაზრდებმა, რომელნიც ახლა უმწეოდ დგანან თავიანთი სამშობლოს ნანგრევებში, ამ დანაშაულებზე არაფერი იცოდნენ და არც უნდოდათ ეს. ისინი უდანაშაულონი არიან ყველაფერში, რაც **ჰიტლერმა** ებრაელებისა და თავისი ხალხის მიმართ ჩაიდინა. ჩემი დანაშაული კი ის არის, რომ მე მათ ვზრდიდი მილიონთა მკვლელისათვის. მე მწამდა იმ კაცის...

აქ **შირახს** ძალამ უღალატა და უცებ მოჭრა:

**ფრიჩმა** მაინც თავისებურად შეაფასა, სულერთია, ეს არ უშველისო.

ვიღაცამ თქვა, კიდევ კარგი, რომ ავადმყოფობის გამო **გერინგი** დარბაზში არ იყო, თორემ სულ გაგიჟდებოდაო. არც **დენიცი** ჩანდა კმაყოფილი, გადააჭარბაო. მისი აზრით, **ჰიტლერს** დიდი გავლენა ჰქონდა ახალგაზრდებზე. მე ამ ომში ორი ვაჟი დავკარგე და ვიცი ესო.

**რიბენტროპმა** თქვა:

— **შირახის** გამოსვლა ფიურერის წინააღმდეგ საშინელი იყო.

— რატომ? — ჰკითხა მას **ჟილბერტმა,** — მართალი რომ არის?

— ეჰ, არ ვიცი, არ ვიცი, — ჩაიქნია მან ხელი.

ციხის საკანში **შირახი** უფრო მკაცრად გაემიჯნა თავის ადრინდელ **„საფიცარ ხატს“.**

**— 1934 წლამდე ჰიტლერი ადამიანი იყო, 1938 წლამდე — ზეადამიანი, ხოლო 1938 წლიდან — არაადამიანი, ტირანი,** — თქვა მან. — ჩემი ცოლი იდეალისტია და, როცა ნახა, როგორ მიერეკებოდნენ ებრაელებს სადღაც, **ჰიტლერს** მართლდა და გადავწყვიტე, თავი მომეკლა, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს, მე მინდა, ვუთხრა ახალგაზრდობას ჩემი შეცდომების შესახებ და ამით ერთგვარი სამსახური გავუწიო მას...

## ნაგვიანევი სინანული...

**შპეერმაც** მომნანიებლის პოზა აირჩია და **ჰიტლერის** შემდეგ **გერინგის** ლანძღვას შეუდგა. არც ჭორაობა ითაკილა და განაცხადა: **ერთხელ, პირადი საუბრის დროს, ჰიტლერმა მითხრა, გერინგი საზიზღრად იქცევა, იგი გამყიდველია და მორფინისტიო...**

ამაზე **გერინგი** გაგიჟდა:

— დიახ, ეს მძიმე დღე იყო, — უთხრა მან **ჟილბერტს,** — ის ჩერჩეტი შპეერი... არ მეგონა, საკუთარი თავის გადასარჩენად ასე თუ დაეცემოდა, მე სირცხვილით დავიწვი მის მაგივრად.

**გერინგმა შირახი მიუგზავნა შპეერს, გადაეცი, თავი უფრო ვაჟკაცურად ეჭიროსო. შპეერმა არც ეს შენიშვნა მიიღო და ხურდაც დაუბრუნა, ის ერჩია, ომის დროს თვითონ**

## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# 80 წლის წინათ იალტის კონფერენციამ მსოფლიო ახლებურად დაყო!





უინსტონ ჩერჩილი სადაცაა, ფეხს დადგამს ყირიმის მიწაზე

80 წლის წინათ **რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ყირიმში, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვმა 1954 წლის 26 აპრილს უკრაინას გადასცა,** დასრულდა ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერების — **იოსებ სტალინის, ფრანკლინ რუზველტისა** და **უინსტონ ჩერჩილის** რიგით მეორე შეხვედრა, რომელიც ისტორიაში **იალტის კონფერენციის** სახელით შევიდა, ხოლო საიდუმლო მიმოწერაში კოდური სახელწოდება **„არგონავტით“** მოიხსენიებოდა.

თუ 1943 წლის **თეირანის კონფერენციაზე** ზემოხსენებული ქვეყნების ლიდერები მესამე რაიხზე გამარჯვების საკითხებზე მსჯელობდნენ, ხოლო 1945 წლის ივლის-აგვისტოში გამართულ **პოტსდამის კონფერენციაზე —** გერმანიის დაყოფასა და მსოფლიოს მშვიდობიან მოწყობაზე, **იალტის კონფერენციაზე 1945 წლის 4-11 თებერვალს** განიხილებოდა მსოფლიოს გადანაწილების საკითხები გამარჯვებულ ქვეყნებს შორის.

გერმანიის დამარცხებამდე დღეები რჩებოდა. მთელი ევროპის ბედი სამად **სამი ქვეყნის** ხელში იყო. ნიშანდობლივია, რომ **იალტის კონფერენციიდან** 80 წლის შემდეგ კაცობრიობა კვლავ უდიდესი ინტერესით ელოდება **იალტის რანგის ახალ შეთანხმებას მსოფლიოს ახალი გადანაწილების შესახებ,** რომელსაც **სამმა თანამედროვე ლიდერმა** — აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა,** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა **სი ძინპინმა** და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** უნდა მიაღწიოს.








ИЗВЕСТИЯ СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ СССР

ВТОРНИК 13 ФЕВРАЛЯ 1945 г. Цена 20 коп.

„Нашей непреклонной целью является уничтожение германского милитаризма и нацизма и создание гарантии в том, что Германия никогда больше не будет в состоянии нарушить мир всего мира". (Из заявления руководителей трёх союзных держав о результатах работы Крымской конференции).

**Конференция руководителей трёх союзных держав — Советского Союза, Соединённых Штатов Америки и Великобритании в Крыму**

За последние 8 дней в Крыму состоялась Конференция руководителей трёх союзных держав — Премьер-Министра Великобритании г-на У. Черчилля, Президента Соединённых Штатов Америки г-на Ф. Д. Рузвельта и Председателя Совета Народных Комиссаров СССР И. В. Сталина при участии Министров Иностранных Дел, Начальников штабов и других советников.

Кроме Глав трёх Правительств, следующие лица приняли участие в Конференции:

от Советского Союза — Народный Комиссар Иностранных Дел СССР В. М. Молотов, Народный Комиссар Военно-Морского Флота Н. Г. Кузнецов, Заместитель Начальника Генерального Штаба Красной Армии генерал армии А. И. Антонов, Заместители Народного Комиссара Иностранных Дел СССР А. Я. Вышинский и И. М. Майский, Маршал Авиации С. А. Худяков, Посол в Великобритании Ф. Т. Гусев, Посол в США А. А. Громыко;

от Соединённых Штатов — Государственный Секретарь г-н Э. Стеттиниус, Начальник Штаба Президента адмирал флота В. Леги, Специальный Помощник Президента г-н Г. Гопкинс, Директор Департамента Военной Мобилизации судья Дж. Бирнс, Начальник Штаба Американской Армии генерал армии Дж. Маршалл, Главнокомандующий Военно-Морскими Силами США адмирал флота Э. Кинг, Начальник Снабжения Амери-... Е. Лэнд, генерал-майор Л. Кутер, Посол в СССР г-н В. Гарриман, Директор Европейского Отдела Государственного Департамента г-н Ф. Маттьюс, Заместитель Директора Канцелярии по специальным политическим делам Государственного Департамента г-н А. Хисс, Помощник Государственного Секретаря г-н Ч. Болен, вместе с политическими, военными и техническими советниками;

от Великобритании — Министр Иностранных Дел г-н А. Иден, Министр Военного Транспорта лорд Лезерс, Посол в СССР г-н А. Керр, Заместитель Министра Иностранных Дел г-н А. Кадоган, Секретарь Военного Кабинета г-н Э. Бриджес, Начальник Имперского Генерального Штаба фельдмаршал А. Брук, Начальник Штаба Воздушных Сил Маршал Авиации Ч. Портал, Первый Морской Лорд адмирал флота Э. Кеннингхэм, Начальник Штаба Министра Обороны генерал Г. Исмей, Верховный Союзный Командующий на Средиземноморском театре фельдмаршал Александер, Начальник Британской Военной Миссии в Вашингтоне фельдмаршал Вильсон, член Британской Военной Миссии в Вашингтоне адмирал Сомервилл, вместе с военными и дипломатическими советниками.

О результатах работы Крымской Конференции Президент США, Председатель Совета Народных Комиссаров Союза Советских Социалистических Республик

გენერალისიმუსი
2025 წლის 17 თებერვალი, №7 (303)

**სარედაქციო კოლეგია**
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# მირიან ყარაულაშვილი:

## „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ და პოლიტიკურმა ლიდერშიფმა ფილიგრანული სიზუსტით იმუშავეს, რათა

# გადატრიალების რეალური საფრთხე გაენეიტრალებინათ!

***საინფორმაციო სააგენტო „იქსნიუსის“ თანადამფუძნებლის მირიან ყარაულაშვილის განცხადებით, უკრაინის ომი, ფაქტობრივად, დასრულებულია და პუტინი და ტრამპი მალე ერთმანეთს ვაშინგტონსა და მოსკოვში შეხვდებიან. მისი თქმით, საქართველოს ისეთი ეკონომიკური ზრდის ტემპები აქვს, შეუძლებელია, ქვეყანას კარგი მომავალი არ ჰქონდეს:***



„უკრაინის ომის დასრულება სხვანაირად წარმოუდგენელი იყო!“

— ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ 2003-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულების შემსწავლელ საპარლამენტო კომისიას ქალბატონი **თეა წულუკიანი** უხელმძღვანელებს. ისე, სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი ხროვა ხელისუფლებაში 2003 წელს არ მოსულან. 2003 წლამდე სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე და იუსტიციის მინისტრი იყო და ეს პერიოდიც გამოძიებასა და შესწავლას ექვემდებარება. **მივმართავ კომისიას, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მომცეს თანამშრომლობის შესაძლებლობა, რათა ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ჩავერთო მის მუშაობაში. საგამოძიებო კომისიისთვის საგანგებოდ გამზადებული მაქვს დოკუმენტურად დასაბუთებული და ნაცების დროს მომხდარი ორი დანაშაულებრივი საქმე, რომელთაგან ერთი ადამიანის სიკვდილით დასრულდა...**

**— ბატონო მირიან, მაინც რამ გამოიწვია ადამიანის სიკვდილი?**

— ყველაფერს ბოლომდე ვერ გეტყვით, მაგრამ იმას კი ნამდვილად მოგახსენებთ, რომ **პატიოსანი და აბსოლუტურად უდანაშაულო კაცის სიკვდილი გამოიწვია მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკის“ დანაშაულებრივმა საქმიანობამ.** საერთოდ, **მამუკა ხაზარაძეს** დიდი ხანია, ვიცნობ, როგორც კომკავშირელ მუშაკს და ბანკირს, რომელიც დღეს დიდ გაურკვევლობაშია. დარწმუნებული ვარ, **ხაზარაძე** ამას თვითონაც კარგად აცნობიერებს!

**— ხალხი ითხოვს ახალი „ქართული ნიურნბერგის“ გამართვას და ნაცმოძრაობისა და მისი სატელიტების გასამართლება-აკრძალვას. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება შეძლებს საგამოძიებო კომისიის საქმიანობის ბოლომდე მიყვანას და დამნაშავეების კანონის ძალით დასჯას?**

— ეს უკვე დამოკიდებულია ამ ხელისუფლების ძალისხმევასა და მიზანსწრაფვაზე. ფაქტია, რომ ე.წ. **დიფ სთეითისა (ფარული დასი. რედ.)** და მისი ადგილობრივი აგენტურის მიერ საქართველოში ხელისუფლების ძალადობრივი ცვლილება ვერ შედგა. ისიც ფაქტია, რომ ამერიკის ხელისუფლებაში დაწყებული ძირეული ცვლილებების შედეგად **დიფ სთეითი** თავდაცვის რეჟიმშია გადასული. ცხადია, ამ ყველაფრით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა ისარგებლოს და დამნაშავეები დასაჯოს! თუ ვინმე კომისიას არ დაემორჩილება და დაკითხვაზე არ გამოცხადდება, ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაული იქნება. სხვათაშორის, კომისიაზე არგამოცხადება და ჩვენების არმიცემა რომ სისხლის სამართლის დანაშაულია, ეს კანონიც ნაცების დროს არის მიღებული.

**— მაინც რა მოხდა ამერიკის ელიტებს შორის და რატომ ანადგურებს ტრამპი „იუსაიდს“?**

— ელიტებს შორის რა მოხდა, ძნელი სათქმელია, მაგრამ აქ მარტო „იუსაიდის“ დანაშაულებრივ საქმიანობზე არ არის ლაპარაკი... **ტრამპი** და მისი მარჯვენა ხელი — მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის წარმომადგენელი **ილონ მასკი** გაუგონარ დანაშაულებს აწყდებიან ამერიკის სახელმწიფო ინსტიტუციების თითქმის ყველა სფეროში. აი, მაგალითად, **ილონ მასკმა** უკვე განაცხადა იმის შესახებ, რომ მისმა თანაგუნდელებმა ამერიკაში იპოვეს ისეთი „პენსიონერები“, რომლებიც 150 წლისანი არიან და სახელმწიფოსგან პენსიას ღებულობენ. თქვენ წარმოგიდგენიათ, როგორ ხრავდა და ყვლეფდა **დიფ სთეითი (ფარული დასი. რედ.)** ამერიკის ბიუჯეტს?

**— გადატრიალების მოსურნეებმა ე.წ. „მშვიდობიან პროტესტში“ ჩართეს ხელოვნების მუშაკები, განსაკუთრებით მსახიობები... აღარაფერს ვამბობ პაატა ბურჭულაძის აქტიურობაზე.**

— ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. მსახიობის საქმეა სცენა და სცენაზე უნდა ითამაშოს... რაც შეეხება **პაატა ბურჭულაძეს,** მან ბევრჯერ შეირცხვინა თავი და, იმედია, ამას ხვდება!

**— მაინც რა იყო მიზეზი, რის გამოც 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში ძალადობრივმა დაჯგუფებებმა საქართველოში ხელისუფლების დამხობა ვერ შეძლეს?**

— ცხადია, ამის მიზეზი იყო პოლიციისა და სპეცსამსახურების თავდაუზოგავი და მაღალპროფესიული მუშაობა, მაგრამ არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ და პოლიტიკურმა ლიდერშიფმა, ფაქტობრივად, ფილიგრანული სიზუსტით იმუშავეს, რათა გადატრიალების რეალური საფრთხე გაენეიტრალებინათ. საბოლოო ჯამში მივიღეთ ის შედეგი, რომ ე.წ. ოპოზიცია გამარგინალდა.



„პატიოსანი და აბსოლუტურად უდანაშაულო კაცის სიკვდილი გამოიწვია მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკის“ დანაშაულებრივმა საქმიანობამ!“

**— აშკარაა, რომ უკრაინის ომის დასრულების კონტურები გამოიკვეთა. ელოდით იმას, რაც დღეს პუტინსა და ტრამპს შორის ხდება?**

— უკრაინის ომის დასრულება სხვანაირად წარმოუდგენელი იყო! მოხდა ის, რაც ნებისმიერ შემთხვევაში მოხდებოდა. **უკრაინის ომი, ფაქტობრივად, დასრულებულია და პუტინი და ტრამპი მალე ერთმანეთს ვაშინგტონსა და მოსკოვში შეხვდებიან.** უკრაინა განადგურდა, ხოლო ამერიკის თავდაცვის მდივანმა, რომელიც რამშტაინის სამხედრო ბაზაზე იყო ჩასული, გარკვევით განაცხადა, რომ ამერიკა უკრაინაში ჯარს არ გაგზავნის. ევროპა თამაშგარე მდგომარეობაშია, ხოლო **ტრამპმა** უკვე გაგზავნა თავისი წარმომადგენელი კიევში, სადაც უკრაინის ხელისუფლება დათანხმდა, რომ ამერიკას მიჰყიდოს 500 მილიარდი დოლარის ღირებულების იშვიათი ლითონები — ურანი, ლითიუმი, ტიტანი და ა.შ. დღეს კიდევ უფრო კარგად ჩანს, თუ რა უბედურებას არის საქართველო გადარჩენილი.

**„ილონ მასკმა და მისმა თანაგუნდელებმა ამერიკაში იპოვეს ისეთი „პენსიონერები“, რომლებიც 150 წლისანი არიან და სახელმწიფოსგან პენსიას ღებულობენ. თქვენ წარმოგიდგენიათ, როგორ ხრავდა და ყვლეფდა დიფ სთეითი ამერიკის ბიუჯეტს?“**



**— ევროპარლამენტმა თავისი რეზოლუციით სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტად გამოაცხადა. ეს საგიჟეთი სადამდე გაგრძელდება?**

— **სალომე ზურაბიშვილს** ევროპაში „ექსპრეზიდენტს“ უწოდებენ... მგონი, **ზურაბიშვილს** ჩვენ ზედმეტ ყურადღებას ვუთმობთ, ის არც პრეზიდენტია და არც ოპოზიციის ლიდერი და, სამწუხაროდ, ძალიან ცუდად დაამთავრა... **არ ვახსენოთ და სალომე ზურაბიშვილის პრობლემაც არ იარსებებს!**

**— გლობალური პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოს რა მომავალი ექნება?**

— საქართველოს ისეთი ეკონომიკური ზრდის ტემპები აქვს, შეუძლებელია, ქვეყანას კარგი მომავალი არ ჰქონდეს! ახლა ქვეყნის დიპლომატიური უწყება და საელჩოებია გასააქტიურებელი, სხვა მხრივ, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. ქალბატონი **მაკა ბოჭორიშვილის** პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მაინც მგონია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჩვენს საელჩოებს უცხოეთში, მეტი ენერგია და აქტიურობა მართებთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



როგორც ჩანს, რადგან **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი** რუსულად მოინათლა, მიიჩნიეს, რომ **„ფარას“ ზუსტ ქართულ ვერსიას რუსულად ველარ მონათლავენ.** თუმცა, როგორც ვხედავ, არის მცდელობა, რომ მაინც მონათლონ.

„რეზონანსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*ექსპერტი*



ევროპას, როგორც ჩანს, **ლოგიკის გასაღები დაკარგული აქვს.** იძახიან — ადგილობრივი არჩევნები გადაიდოს იმისთვის, რომ პარლამენტის არჩევნები ჩატარდესო, მაგრამ, თუ გადაიდება, ადგილობრივი ხელისუფლება გამოვა არალეგიტიმური, რაზეც არ ფიქრობს **ბატონი ევროპა.**

„რეზონანსი“

**ლევან მახაშვილი**
*პარლამენტარი*



**თვითმმართველობის არჩევნების გადადების მოთხოვნა** აღიარებაა, რომ დღეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში **ყველაზე გავლენიანი აქტორი „ქართული ოცნებაა“.**

„რეზონანსი“

**თენგიზ შარმანაშვილი**
*„ქართული ოცნების“ წევრი*



შეგვიძლია, **აშშ-თან ურთიერთობები ცარიელი ფურცლიდან დავიწყოთ,** მაგრამ ეს **ურთიერთპატივისცემის პრინციპზე** უნდა იყოს აგებული.

„პირველი არხი“

**თეონა აქუბარდია**
*„გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



ვიღაც **„მესამე პირს“** თუ შეუძლია, **გათბობის გარეშე დატოვოს დედაქალაქის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ნაწილი,** გასაგებია, რომ ქვეყანაში ცუდადაა საქმე.

„პირველი არხი“



# ლეგენდარული ალპინისტების



შესვენება გამარჯვების პიკის ქედზე. მარცხნიდან მარჯვნივ: ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ილია გაბლიანი, მიხეილ ბესარიონის ძე ხერგიანი, მიხეილ კადირბეის ძე ხერგიანი და თემურ კუხიანიძე. 1961 წლის 24 აგვისტო.

## ივანე ჯაფარიძე:

# ტიან-შანში, გამარჯვების პიკზე ასვლა, იყო ჩვენი ალპინიზმის უდიდესი გამარჯვება და უდიდესი ტკივილი!

*დასაწყისი იხ. „ა-დ". 2025 წლის №3-4, 6-7*

***ლეგენდარულ მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემკვიდრე ივანე ჯაფარიძე ქართული ალპინიზმის ისტორიის შესახებ თხრობას განაგრძობს:***

— უნივერსიტეტში ნიკო კეცხოველის რექტორობისა და მისი ალპინისტური მოღვაწეობის დროს არაერთი ახალგაზრდა დაინტერესდა მთამსვლელობით. მათ შორის გამორჩეულები იყვნენ **ჯუმბერ მეძმარიაშვილი და თემურ კუხიანიძე.** 1955 წელს **მეძმარიაშვილს** დაპყრობილი ჰქონდა **კომუნიზმის პიკი** (ყოფილი სტალინის), 1960 წელს პამირის ზულუმარტისა და იმიერალის ქედების ტრავერსისათვის სამჯერ მიღებული ჰქონდა ოქროს მედალი, ხოლო **კუხიანიძე** ორგზის ჩემპიონი და ოქროს მედალოსანი იყო (1957 წელს გავლილი ჰქონდა დარვაზის ქედის ტრავერსი, 1960 წელს კი მეძმარიაშვილთან ერთად პამირის ზულუმარტისა და იმიერალის ტრავერსები). ისინი ერთად დაიღუპნენ 1961 წელს **ტიან-შანში, გამარჯვების პიკზე.** ეს იყო ქართველი მთამსვლელების პირველი ტრაგედია საქართველოს საზღვრებს გარეთ. **ჯუმბერ მეძმარიაშვილი** იყო 32 წლის, **თეიმურაზ კუხიანიძე** — 27-ის, **ილიკო გაბლიანი** — 44 წლის.

**ჯუმბერ მეძმარიაშვილი** და **თეიმურაზ კუხიანიძე** სპორტსმენები იყვნენ, პირველს მოკრივის კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, ყველას გასაკვირად, **თორნიკე ტატიშვილთან** და **სარგის ცაიშვილთან** ერთად, 1950 წელს კავკასიონს შეუტია და ზედიზედ რამდენიმე მწვერვალი დალაშქრა. იმავე სეზონზე ჩათინზე ავიდა, შემდეგ — შუროვსკის პიკზე, მცირე უშბაზე, არისტოვისა და მაზერის მწვერვალებზე, შემდეგ —უშბის ორივე მწვერვალზე. აქვე გავიხსენებ მამაც ქალბატონს **მარინე უთმელიძეს,** რომელმაც ჯუმბერთან, თორნიკესთან და სარგისთან ერთად განახორციელა ეს ურთულესი ტრავერსი და მსოფლიოში პირველი ქალი გახლდათ, ვინც უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი განახორციელა.

რაც შეეხება **თეიმურაზ კუხიანიძეს,** მრავალმხრივი სპორტსმენი იყო, საქართველოს ჩემპიონი ცურვაში, მისდევდა მძლეოსნობას, სათხილამურო სპორტს.

**— როდის მოხდა ტრაგედია ტიან-შანში, გამარჯვების პიკზე?**

— **1961 წლის 29 აგვისტოს.** ჯუმბერ მეძმარიაშვილი რეჟისორ **მერაბ კოკოჩაშვილის** მეუღლის მამიდაშვილი იყო. ტიან-შანში გამგზავრებამდე მათ ქორწილში ითამადა. მერაბი იხსენებდა: ქორწილი გამთენიისას დამთავრდა. როცა დავიშალეთ, ჯუმბერმა ღია ავტომანქანა „ვილისში" ჩაგვსვა და ყვავილები მოგვაყარა. ეს იყო მათი ბოლო შეხვედრა.

**— „პობედა" — გამარჯვების პიკი მსოფლიოს ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალია...**

— „პობედას" სიმაღლეა 7439 მეტრი, მდებარეობს ყირგიზეთისა და ჩინეთის საზღვარზე, კოკშაალათაუს ქედზე. ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მწვერვალია მკაცრი კლიმატური პირობებით. მწვერვალის აღმოჩენის ისტორია ასეთია: 1938 წელს აქ ჩრდილო-აღმოსავლეთ თხემზე ავიდა ჯგუფი ტიან-შანის ცნობილი მკვლევრის, პროფესორ **ავგუსტ ლეტავეტის** ხელმძღვანელობით. მაშინ მწვერვალს სახელი არ ჰქონდა და არც არავინ იცოდა, რომ ის იყო ამ ადგილის უმაღლესი მწვერვალი. 1943 წელს ეს მთიანი რეგიონი შეისწავლა ტოპოგრაფთა ჯგუფმა რასაპოვის ხელმძღვანელობით და მათ დაადგინეს ამ მთიანი სისტემის უმაღლესი წერტილი, დაარქვეს **„პობედა" — გამარჯვების პიკი.** ამ მწვერვალმა, ჰიმალაების მწვერვალ **ნანგაპარბატის** მსგავსად, სახელი გაითქვა თავისი სისასტიკით. 1960 წლისთვის მასზე დაღუპულთა რიცხვმა 24-ს მიაღწია, მაგრამ ყველაზე ტრაგიკული აღმოჩნდა 1955 წელი, როცა მასზე 11 უზბეკი მთამსვ-




## კვირგვინოსნები

**ელიზბარ ჯაველიძე**
*აკადემიკოსი*



ვინ არის დღეს განათლების მინისტრი? — **ალექსანდრე წულაძე,** რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს **ყოფილი მოსამართლეა.** ამ ახალ, თანამედროვე მინისტრს **წარმოდგენა არა აქვს, რა ხდება განათლების სფეროში.** მინისტრის მოადგილეები, სამივე ქალბატონი იურისტია. სამინისტროში იურიდიული კოლონა, დარბაზი შექმნეს. ესენი გადაარჩენენ განათლებას?! ბატონ პრემიერს ჩემგან ჭკუა არ ესწავლება, მაგრამ **განათლების სისტემაში ისეთი ხალხი უნდა მოიყვანოს, ვისაც უშუალოდ კავშირი აქვს სკოლასთან, უმაღლეს სასწავლებელთან.**

„საერთო გაზეთი"

**გიორგი კობერიძე**
*ანალიტიკოსი*



**6 მილიარდით საქართველოში რამდენიმე ქალაქის აშენება შეიძლება.** არის ვერსია, რომ შეიძლება სწორედ ამას გულისხმობს აბუ-დაბის პროექტი. **კი მაგრამ, ვის ვასახლებთ ამ ქალაქებში აშენებულ კორპუსებში?** საქართველოში ფიზიკურად არ არის იმდენი მოსახლეობა, რომ ახალი ქალაქები დაგვჭირდეს და **ვისთვის აპირებენ არაბები ქალაქების აშენებას საქართველოში?** ძალიან ბევრი კითხვა და ეჭვია ამ ინვესტიციებზე.

„კვირის პალიტრა"

**კატო ჯავახიშვილი**
*პოეტი*



ჩვენ ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფი საზოგადოება ვართ. ბევრი რამ ვისწავლეთ, რაღაცები — ვერა. რაც მთავარია, **დამოუკიდებლობა ვერ ვისწავლეთ.** ჯერ კიდევ ჩარჩოებიდან გამოსვლას ვცდილობთ, **სამშობლო ხმის ჩახლეჩამდე ყვირილი გვგონია.**

„კვირის პალიტრა"

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი*



**დიდი სამოქალაქო, პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბების დრო მოდის.**

„ახალი თაობა"

# მემკვიდრე მოგვითხრობს

ლელი დაიღუპა. **აი, ამ სასტიკ მწვერვალს მიაშურეს 1961 წელს ჩვენმა ბიჭებმა.**

**— ვინ ხელმძღვანელობდა ექსპედიციას?**

— საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის **ოთარ გიგინეიშვილის** ხელმძღვანელობით, ტიან-შანისაკენ გაემგზავრა 30-კაციანი ქართული ექსპედიცია, რომელშიც გაერთიანებული იყო იმ დროს საქართველოში მოქმედი ყველა სახელგანთქმული მთამსვლელი. მოსკოვიდან მოიწვიეს ცნობილი მოსიმაღლე, იმ ადგილების კარგი მცოდნე, სპორტის დამსახურებული ოსტატი **კირილ კუზმინი.** 13 აგვისტოს ექსპედიციის მთელი შემადგენლობა ბანაკში შეიკრიბა, ჩამოაყალიბეს ორი ჯგუფი. ერთი ჯგუფის ამოცანა იყო **„პობედის"** ტრავერსი, ჩონ-ტორენის გადასასვლელიდან მწვერვალზე ასვლა, შემდეგ კი, 6918 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალის გავლით, დიკის მყინვარზე დაშვება. მეორე ჯგუფის ამოცანა კი — დიკის მყინვარიდან უსახელო 6918 მეტრი სიმაღლის მწვერვალის გავლით, **„პობედაზე"** ასვლა და იმავე გზით უკან დაბრუნება. ასეთმა გადაწყვეტილებამ ექსპედიციის მონაწილეთა უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მოიერიშეთა შორის ბევრი კარგი მთამსვლელი ვერ მოხვდა. ამიტომ 16 აგვისტოს კვლავ შეიკრიბა მწვრთნელთა საბჭო და წინა დღის გადაწყვეტილება შეცვალეს.

მწვერვალზე ასვლა ასე დაიგეგმა: ორივე ჯგუფი მწვერვალზე ავიდოდა მყინვარ დიკიდან 6918 მეტრი უსახელო მწვერვალის გავლით. ერთი **„პობედის"** ტრავერსს განახორციელებდა და ჩონ-ტორენის მყინვარზე დაეშვებოდა, მეორე კი მწვერვალიდან იმავე გზით დაბრუნდებოდა, რომლითაც ავიდოდა. ჯგუფების შემადგენლობა ასე განისაზღვრა: პირველი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო **ჯუმბერ მეძმარიაშვილი.** მასთან იყვნენ **მიხეილ ხერგიანი, მიხეილ ხერგიანი (უმცროსი), თეიმურაზ კუხიანიძე, ილია გაბლიანი, კირილ კუზმინი.** მეორე ჯგუფში — ხელმძღვანელი **ოთარ ხაზარაძე, რევაზ ხაზარაძე, ზურაბ ახვლედიანი, ომარ ბერაძე, დიმიტრი დანგაძე, ჯუმბერ კახიანი.**

23 აგვისტოს პირველი ჯგუფი 6918 მეტრზე უსახელო მწვერვალზე ავიდა და **„პობედისაკენ"** ქედზე დაეშვნენ. ღამე გაათენეს ნაპრალში 6900 მ სიმაღლეზე და გზა განაგრძეს. დაიწყო თოვა და ქარბუქი, ალპინისტები ერთმანეთს ასცდნენ. როცა გამოიდარა, **მეძმარიაშვილმა და კუზმინმა გაბლიანი და კუხიანიძე** კი იპოვეს, მაგრამ ხელ-ფეხი გაყინული ჰქონდათ და სხეული გადაციებული. თურმე ზურგჩანთებს ვეღარ მიაგნეს და ქარბუქიანი ღამე კარვებისა და საძილეების გარეშე გაატარეს. **გაბლიანი** ძალიან ცუდად იყო, ხელ-ფეხს ვეღარ ამოძრავებდა. მზეზე გასათბობად კი დასვეს, მაგრამ მდგომარეობა არ შეუმსუბუქდა და გარდაიცვალა. 7 ათასი მეტრი სიმაღლიდან, თან სასტიკ ამინდში, **ილიკო გაბლიანის** ჩამოსვენება შეუძლებელი იყო. ცხედარი საძილეში მოათავსეს, კარავში გაახვიეს და კლდის ძირში პატარა გამოქვაბულში დატოვეს. **ჯუმბერმა ილიას ჯიბეში წერილი ჩაუდო: „გვაპატიე, წელს ვერ შევძელით შენი ქვემოთ ჩაყვანა, მაგრამ აუცილებლად ჩაგიყვანთ". პირობა მისცეს, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდნენ, მაგრამ ვერ დაბრუნდნენ".**

**— სად იყვნენ ამ დროს ხერგიანები?**

— ხერგიანებს შუა გზიდან ბაზაში დაბრუნება მოუხდათ, **უმცროსმა ხერგიანმა** თავი შეუძლოდ იგრძნო და **დიდმა მიშამ (კლდის ვეფხვმა)** ჩამოაცილა.

***— როგორ გააგრძელეს გზა მეძმარიაშვილმა, კუხიანიძემ და კუზმინმა?***

— **კუხიანიძეს** ფეხები ისე ჰქონდა მოყინული, წრიაპებს ვერ იკეთებდა, **მეძმარიაშვილსაც** გაცვეთილი ჰქონდა ჩექმები — „შეკელტონები", რაც საიმედო არ იყო ყინულზე, მაგრამ დაშვება უნდა გაეგრძელებინათ. ჯერ **ჯუმბერი** დაეშვა, შემდეგ — **თეიმურაზი,** ბოლოს — **კუზმინი.** ერთად მოთავსდნენ კლდის შვერილზე. იქიდან ქვემოთ ჩასასვლელად 10-12 მეტრიღა რჩებოდა. ისევ **ჯუმბერი** დაეშვა პირველად, შემდეგ — **კუზმინი,** შეჩერდნენ ერთ ადგილზე და **თეიმურაზს** დაელოდნენ. დაეშვა **თეიმურაზიც,** ორი ნაბიჯიღა აკლდა ფეხის დადგმას, რომ უცებ თოკი გაიჭედა, პალო კლდიდან ამოვარდა, **თეიმურაზი** მოშორდა კლდეს, ციცაბო მყინვარზე ჩასრიალდა და ფერდობს იქით თვალს მიეფარა. რადგან ქვემოთ მოედანი იშლებოდა, **მეძმარიაშვილმა და კუზმინმა** იფიქრეს, შეიძლება **თეიმურაზი** იქ, 200 მეტრის ქვევით შეჩერებულიყო და 6400 მეტრ სიმაღლეზე გადაწყვიტეს, ფერდობზე მარჯვნივ ტრავერსით გადასულიყვნენ. წინ ჯგუფის ხელმძღვანელი და თეიმურაზის მეგობარი **ჯუმბერი** მიდიოდა, ხმას არ იღებდა. უეცრად ფეხი აუცურდა და ყინულზე ჩასრიალდა, წერაყინის მოშველიება სცადა, მაგრამ ხელიდან გაუვარდა, ბოლოს კი მოსახვევში გაუჩინარდა. ჯგუფიდან მხოლოდ **კუზმინი** გადარჩა.

**— ცხედრები ვინ ამოიყვანა?**

— 30 აგვისტოს მათ მოსაძებნად წავიდნენ **მიხეილ ხერგიანი, ჯოკია გუგავა, ჯუმ-**

*გაგრძელება 22-ე გვერდზე*

**„ისინი ერთად დაიღუპნენ 1961 წელს ტიან-შანში, გამარჯვების პიკზე. ეს იყო ქართველი მთამსვლელების პირველი ტრაგედია საქართველოს საზღვრებს გარეთ. ჯუმბერ მეძმარიაშვილი იყო 32 წლის, თეიმურაზ კუხიანიძე – 27-ის, ილიკო გაბლიანი – 44 წლის!"**



აი ისინი, მწვერვალთა რაინდები

ჯუმბერ მეძმარიაშვილი — ილია გაბლიანი — თეიმურაზ კუხიანიძე

წმინდა სიცოცხლე

ადამიანისათვის ყველაზე დიდი ღირსებაა სიცოცხლე ისე განვლო, თქვან: იყო კაცური კაცი...

ასეთ ადამიანს სამშობლო ქვეყანა და ხალხი თვალისჩინად მიაჩნია, მათი ბედნიერება — დიდების საქმედ.

ქვეყნისა და ხალხის უკვდავებას სწორედ ასეთი ადამიანები ქმნიან, მათ აქვთ ურყევი ნებისყოფა, ალალი გული, იციან სამშობლო ქვეყნის სიყვარული.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ქართველი ალპინისტების სახელი დედამიწის ყოველ კუთხეში მჟღერად გაისმის. იგი ისე ქუხს, როგორც შხარას მკერდიდან მოწყვეტილი ზვავის გრგვინვა.

როდესაც ჰიმალაის მწვერვალის დამპყრობნი, ჩინელი მთამსვლელები, საქართველოში ჩამოვიდნენ, ერთხმად იკითხეს: ჯუმბერი სად არისო...

ჯუმბერ მეძმარიაშვილი თავმდაბალი, სულით მაღალი კაცი იყო... განზე დადგა, სტუმრებთან პირველი მისალმება სხვას დაუთმო. მხოლოდ როცა მისი სახელი მეორედ გაიგონა, მაშინ გამოჩნდა, გაეცნო სახელოვან ალპინისტებს... ასე იყო ყოველთვის, ურყევი ხასიათი, დიდი სიყვარული, მეგობრობა, თავმდაბლობა — აი, რა დიდი სიმშვენიერით იყვნენ დაჯილდოებული ჯუმბერი და მისი თანამებრძოლები.

საბჭოთა კავშირის სახელოვან ალპინისტთა მშვენებაა ქართველი მთამსვლელები. ამ სახელმოხვეჭილ კოლექტივში შესანიშნავი, მამაცი ადამიანები იყვნენ სპორტის ოსტატები: ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ილიკო გაბლიანი, თეიმურაზ კუხიანიძე. უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე მთამსვლელობაში ჩვენი გამარჯვებანი, ამ გამარჯვებებით გამოწვეული ყველა სიხარული, მათ სახელთან იყო დაკავშირებული.

სამივე ჩვენში ახალი ტიპის ალპინისტის, სიმაღლოვანი ასვლებისა და ამ დარგში ახალი ხერხების შემოღების პიონერები იყვნენ.

ჯუმბერი მწვერვალის იერიშ ყოველთვის სათავეში ედგა.

აი ახლაც დაიპყრეს უძნელესი მწვერვალი „პობედა", მაგრამ უკან დაბრუნებისას ბედმა უმუხთლათ, დაიღუპნენ!..

თუ ოდესმე რაინდის წოდება ვისმეს მოეგებია, ეს პირველ რიგში უდროოდ დაღუპულ სამ ვაჟკაცზე — ჯუმბერ, ილიკო და თეიმურაზზე ითქმის. მათ დაიპყრეს ისეთი მწვერვალები, გოლიათები, როგორიცაა უშბა და შხარა, მიჟირგი და შხელდა, ლენინის პიკი და სტალინის პიკი...

— აი ედელვეისი წამოვიღე, ჩვენი უნივერსიტეტის კოლექციას დაამშვენებს:

იგი საქართველოში არ იზრდება — მეუბნება თეიმურაზი და მაწვდის სათუთად შეხვეულ, მაღალმთის იშვიათ ყვავილს... რა შთამაგონებელია! ვაჟკაცები შორეულ პამირში ფიქრობდნენ თავიანთ გამზრდელ უნივერსიტეტზე...

მისთვის ზრუნავდნენ, ზვავთა და ქარბუქთა გამაყრუებელ ხმაურში ეძებდნენ და კრეფდნენ იშვიათ ყვავილებს. ასეთ დროს მარტო ნებისყოფა კი არ არის საკმარისი, არამედ სულით და გულით უნდა იყო პოეტი, ბუნების მესაიდუმლე. სწორედ ასეთები იყვნენ ჩვენი გმირები. ისინიც სიყვარულის იმ ცეცხლით იწოდნენ, რა ცეცხლმაც და-...

...ლი ვაჟკაცების უკვდავი სახელი.

აკადემიკოსი ნ. კეცხოველი

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 42-ე წელს, № 210 (12124) | ხუთშაბათი, 14 სექტემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ტიან-შანზე დაღუპულ მთამსვლელთა დამკრძალავი სახელმწიფო კომისიისაგან

ტიან-შანზე დაღუპული მთამსვლელების ჯუმბერ მეძმარიაშვილისა და თეიმურაზ კუხიანიძის პანაშვიდი დანიშნულია დღეს 14 სექტემბერს განსვენებულთა ოჯახებში (ჯ. მეძმარიაშვილისა—ტაშკენტის ქ. № 5, თ. კუხიანიძისა — 25 თებერვლის ქ. № 13). 15 სექტემბერს ჯ. მეძმარიაშვილისა და თ. კუხიანიძის ნეშტები გადმოსვენებულ იქნება ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის შენობაში. გამოთხოვება — 15-16 სექტემბერს დღის 12 საათიდან. სამოქალაქო პანაშვიდი — 15 სექტემბერს საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა მოხდება დიდუბის პანთეონში 16 სექტემბერს. სამოქალაქო პანაშვიდი — 15 საათზე. გამოსვენება — 16 საათზე.



*დილის შეკრება გამოქვაბულთან, 6900 მეტრის სიმაღლეზე. მარცხნიდან მარჯვნივ: თემურ კუხიანიძე, ილია გაბლიანი და ჯუმბერ მეძმარიაშვილი. 1961 წლის 24 აგვისტო.*

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ვახანია**
*აკადემიკოსი*



**ერთ-ერთი დიდი ნაკლი** ჩვენი განათლების სისტემისა **უვარგისი სახელმძღვანელოებია.**

„რეზონანსი"

**მუხრან გულიაშვილი**
*განათლების სფეროს ექსპერტი*



ჩემი, როგორც მშობლის, სუბიექტური აზრია, რომ **კერძო სკოლისთვის თანხას არ დავხარჯავდი, დავზოგავდი ფინანსებს და ბავშვს სხვადასხვა წრეზე ვატარებდი.** ამას იმიტომ ვამბობ, რომ **კერძო სკოლა ცოდნას იმ თანხის შესაბამისს ვერ იძლევა, რასაც მშობლები იხდიან.** არის მშობლების კატეგორია, რომელიც **სხვების დასანახად, პრესტიჟის მისაღებად კერძო დაწესებულებებში ასწავლის ბავშვებს,** თუმცა, ფაქტია, განათლების დონით კერძო სკოლები არ ამართლებენ.

„რეზონანსი"

**ომარ გოცაძე**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*



**მოსწავლეთა აღზრდა ჩავაბარეთ მათ, ვინც თვითონ არის აღსაზრდელი.** თუ აქამდე სკოლის კედლებში ეწეოდნენ მავნებლურ საქმიანობას, **ახლა ისე გათამამდნენ, რომ მიტინგებზე თავიანთი აღზრდილი მოსწავლეების მხარდამხარ დგანან** და დანარჩენებსაც მოუწოდებენ, მათ შეუერთდნენ. **ამაზე მეტი ნონსენსი გაგონილა?**

„საერთო გაზეთი"

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში მყოფი **ირაკლი დგებუაძე ქართული სახელმწიფოა!** საქართველოს მტრებმა იციან — **თუ გინდა, სილა გააწნა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, გაარტყი ქართველ პოლიციელს!**

„ფეისბუქი"

# ლეგენდარული ალპინისტების მემკვიდრე მოგვითხრობს



ივანე ჯაფარიძე:

იყო დაღუპული, ქართველების ჯგუფი, **მიხეილ ხერგიანის** ხელმძღვანელობით, სამაშველო სამუშაოებზე გადაერთო. მთის დაუწერელი კანონია, რა გეგმაც არ უნდა გქონდეს, ყველაფერს თავი უნდა მიანებო და გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს მიეხმარო. ქართველი მთამსვლელები ასეც მოიქცნენ, მაგრამ **„პობედაზე"** განმეორებითი იერიში, უამინდობისა და დროის ამოწურვის გამო, ვეღარ შეძლეს. 1997 წელს **ბენო ქაშაკაშვილს, ბიძინა გუჯაბიძეს, მერაბ ხაბაზს, ირაკლი უბულავასა და ლიოვა სარქისოვს ილიკო გაბლიანის** ცხედრის ჩამოსვენება უნდოდათ, მისი საფლავიც მოინახულეს, ამ ლაშქრობაზე დოკუმენტური ფილმიც გადაიღეს, მაგრამ იმდენად რთული და სახიფათო იქნებოდა ამის განხორციელება, რომ ვერ გარისკეს.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

***გაგრძელება იქნება***

# ჯუმბერმა ილიას ჯიბეში წერილი ჩაუდო: „გვაპატიე, წელს ვერ შევძელით შენი ქვემოთ ჩაყვანა, მაგრამ აუცილებლად ჩაგიყვანთ". პირობა მისცეს, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდნენ, მაგრამ ვერ დაბრუნდნენ!


ტიან-შანის გმირები

კომუნისტი
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
№ 212 (12126)
შაბათი, 16 სექტემბერი, 1961 წ.

*დასაწყისი მე-20 გვერდზე*

**ბერ კახიანი და ბივი ქართველიშვილი.** პირველად **კუხიანიძის** ზურგჩანთა იპოვეს, შემდეგ — ორივე ცხედარი. ტიან-შანის ტრაგედიამ დაამწუხრა სრულიად საქართველო, თბილისი მოიცვა საყოველთაო გლოვამ, აკადემიკოსმა **ნიკო კეცხოველმა** განაცხადა: ეს იყო ჩვენი ალპინიზმის უდიდესი გამარჯვება და უდიდესი ტკივილიო. **ჯუმბერ მეძმარიაშვილი და თეიმურაზ კუხიანიძე** თბილისში ჩამოასვენეს **13 სექტემბერს,** დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. **ოთარ გურგენიძემ და ბორის კრეასმა** ჩვენი ბიჭების ხსოვნას მიუძღვნეს მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „დაუმთავრებელი დღიური". გამოიყენეს 1961 წლის ექსპედიციის კინოკადრები. 1980 წლის 30 აგვისტოს პამირზე, „როსიის პიკიდან" ჩამოსვლისას, დაიღუპა **ჯუმბერ მეძმარიაშვილის** ვაჟი, 24 წლის **დათო მეძმარიაშვილი.** დაკრძალულია მამის გვერდით დიდუბის პანთეონში.

**— ილია გაბლიანის ჩამოსვენება აქამდე ვერ მოხერხდა...**

— 1966 წელს **„პობედაზე"** ასასვლელად და ილიკოს ნეშტის ჩამოსატანად ქართველების ექსპედიცია **ინილჩეკის მყინვარზე** ჩავიდა, მაგრამ, ვინაიდან რუსების ჯგუფიდან ერთი კაცი


ექსპედიციის ხელმძღვანელი ოთარ გიგინეიშვილი



ილია გაბლიანი, თეიმურაზ კუხიანიძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი



# სად უფრო უკეთ ცხოვრობს ხალხი – ევროპაში თუ რუსეთში?

***ომი უკრაინაში რუსეთის ეკონომიკას ჩამოშლისო, ბჭობდნენ ექსპერტები და პუტინის ეკონომიკურ ფიასკოს უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა, მოხდა პირიქით — უკრაინის ომმა დამანგრეველი გავლენა იქონია ევროკავშირის ეკონომიკაზე, სადაც კატასტროფულად გაიზარდა ფასები ენერგომატარებლებსა და პირველადი მოხმარების საგნებზე, რიგი საწარმოები გაჩერდა და უმუშევრობამაც იმატა... გასაკვირია, თუმცა, ფაქტია, რომ უკრაინაში ომი რუსეთის რიგით მოქალაქეებზე რაიმე განსაკუთრებული კუთხით არ ასახულა.***

*გადავწყვიტე, მცირე ჟურნალისტური გამოძიება ჩამეტარებინა, რისთვისაც გერმანიასა და რუსეთში მცხოვრებ ახლო მეგობრებს დავუკავშირდი და სხვადასხვა პროდუქტისა თუ მომსახურების ფასები გამოვკითხე. თავდაპირველად,* ***გერმანიის ქალაქ კიოლნში მყოფ მეგობარს დავუკავშირდი,*** *რომელიც ამ ქალაქში გერმანიის მოქალაქე მეუღლესთან ერთად ცხოვრობს.* ***მხოლოდ ინკოგნიტოდ საუბარზე დამთანხმდა, რადგან შიშობს, რომ შეიძლება, ადგილობრივ ხელისუფლებასთან პრობლემა შეექმნას, თუკი მისი ინფორმაცია თუნდაც არაპირდაპირ კავშირში იქნება რუსეთში მიმდინარე პროცესებთან.***

# რა ფასებია გერმანიაში, კერძოდ, ქალაქ კიოლნში?

„კიოლნში მეუღლესთან ერთად ვცხოვრობ, რომელიც გერმანიის მოქალაქეა. კითხვებზე გიპასუხებ მხოლოდ ერთი პირობით, რომ ჩემს და ჩემი მეუღლის ვინაობას სრულად არ დაწერ, რადგან, თუ პუბლიკაციაში რუსეთის შესახებაც არის საუბარი, შესაძლოა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან პრობლემები შემექმნას. ევროპაში საშუალო და უმაღლესი ხარისხის პროდუქტები იყიდება. უმაღლესი ხარისხის პროდუქტს იაფად ვერ იყიდი. მე და ჩემი მეუღლე, ზოგადად, საშუალო ხარისხის პროდუქტებზე ვართ ორიენტირებულები" — მითხრა **ბესო ლ-ვამ:**

**— ბესო, რას იყიდი კიოლნში 20 ლარად (7 ევროდ)?**

— 7 ევროს აქ ფული არც კი ჰქვია. მაგ ფასად ვიყიდი 1 პურს, 10 კვერცხს და ნახევარ კილოგრამ კარტოფილს. ან ვიყიდი იაფფასიან ქათმის ძეხვს, დაახლოებით 200 გრამს.

**— ეკონომიურ მარკეტებში პროდუქტებზე რა ფასებია?**

— 1 ცალი 500 გრამი თეთრი პური — **1,79 ევრო** (დაახლოებით, 5 ლარი);

1 კგ პურის უბრალო ფქვილი — **0.56 ევრო** (3 ლარი);

0.2 კგ ძეხვი „ეკონომკლასი" — **1,99 ევრო** (6 ლარამდე);

1კგ საქონლის ხორცი — **13,99 ევრო** (41 ლარი);

0.7 კგ ღორის ხორცის ფარში — **5,49 ევრო** (16 ლარი);

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ხმალაძე**
*კონსტიტუციონალისტი*



მედიას **თითქმის ყველა ხელისუფლება ებრძოდა** და არავის გამოუვიდა.

„კვირის პალიტრა"

**კახა ცაბაძე**
*კომპოზიტორ გოგი ცაბაძის შვილი, კომპოზიტორი*



**ერთი ფრაზა მაქვს ამოჩემებული,** რომელიც ჩემი, როგორც შემოქმედის ნატვრაც არის და ოცნებაც: **„ღმერთო, მომეცი ძალა, მამაჩემივით მოვეფერო თბილისს".**

„კვირის პალიტრა"

**თეა დარჩია**
*ცეკვის სტუდია „თიდასის" დამფუძნებელი, მოცეკვავე*



ახლა **ქართველების კათარზისი** მიდის. ეს, ალბათ, საჭიროც იყო და მხოლოდ ეს შეიძლება მოერიოს იმას, რომ **დღემდე ნაცქოცურ საქართველოში ვცხოვრობთ**. არადა, საქართველო მათზე ბევრად მეტია. **ჩვენ არც ერთი გვინდა და არც მეორე,** იმიტომ, რომ ორივემ ცუდად გამოიყენა თავისი შესაძლებლობები.

„კვირის პალიტრა"

**ირაკლი არაბული**
*სურსათის უვნებლობის სპეციალისტი*



ჩემი ინფორმაციით, **საახალწლოდ ბევრგან ცხენის ხორცი გაიყიდა,** არადა, ცხენის ხორცი ტრიქინელას პარაზიტის მატარებელია, ცხენის პარაზიტზე შემოწმება კი ვერ ხერხდება. **ახალგაზრდა და ჯანსაღ ცხენს არავინ დაკლავს,** ძირითადად, ისეთი იკვლება, რომელიც ფუნქცია-მოვალეობას ვეღარ ასრულებს და ამიტომ იაფად ყიდიან.

„კვირის პალიტრა"

**სოსო სიმონიშვილი**
*გაზის მეურნეობის სპეციალისტი*



თბილისის ცენტრალურ უბნებში **გაზიფიკაცია დამთავრდა 1960 წელს,** გაზის მიწისქვეშა ქსელის **ექსპლუატაციის ვადა არის 20-25 წელიწადი, ჩვენთან კი 60 წელზე მეტი გავიდა.**

„რეზონანსი"

0,450 კგ ყველი ეკონომი — **4,49 ევრო** (13 ლარი);
1,5 კგ კარტოფილი — **2.49 ევრო** (7 ლარი);
0.7 კგ მაკარონი — **1,29 ევრო** (4 ლარამდე);
0,4 კგ შოკოლადი — **4,49 ევრო** (13 ლარი);
1 ნაჭერი ტორტი — **3,49 ევრო** (10 ლარი).

**— ალკოჰოლურ სასმელზე რა ხდება?**

— 0,7 ლიტრი ღვინო — **2,49 ევრო** (7 ლარზე მეტი);
0,7 ლიტრი იაფი არაყი — **6,49 ევრო** (19 ლარამდე);
0,5 ლიტრი იაფი ლუდი — **0,59 ევრო** (2 ლარზე ნაკლები).

**— საწვავი რა ღირს? აქვე მითხარი, მუნიციპალური ტრანსპორტით ერთჯერადად მგზავრობა რა ჯდება?**

— 1 ლიტრი ბენზინი — სუპერ+ — **1.81 ევრო;** სუპერი — **1,72 ევრო;** რეგულარზე ოდნავ უარესი — **1,66 ევრო** (4-6 ლარი).

ერთხელ მგზავრობა ქალაქის ტრანსპორტით — დაახლოებით **3 ევრო** (9 ლარამდე!)

**— სიგარეტი ძვირია?**

— 1 კოლოფი სიგარეტი „მარლბორო“ — **10 ევრო** (30 ლარამდე!).

**— 1 კვირის განმავლობაში სწორი, ნორმალური კვებით თავი რომ გაიტანოს ერთმა კაცმა, რა დაუჯდება?**

— უკეთეს შემთხვევაში, **100 ევრო.** დაახლოებით, **300 ლარამდე.**

**— ვთქვათ, ჯიბეში გაქვს მხოლოდ 7 ევრო (დაახლოებით, 20 ლარი.) რას იყიდი კიოლნში ერთჯერადად დასანაყრებლად?**

— 1 შაურმა **6,5 ევრო** დამიჯდება. თუ სადილის სახლში მომზადებას დავაპირებ, **7 ევროდ** მომივა — 10 კვერცხი+1,5 კგ კარტოფილი+პური; ან, 250 გრ კარაქი **(2,29 ევრო)** +პური **(დაახლოებით 2 ევრო)** + 400 გრ ყველი **(3,79 ევრო).**

**— 2 კაცი მაქაურ ე.წ. „ზაბეგალოვკაში“ ლუდზე და სოსისზე რომ შეხვიდეთ, რამდენში გამოხვალთ?**

—1 კათხა ლუდი **(3 ევრო)** + ჰოთდოგი **(2.49 ევრო),** ჯამში დაახლოებით — **6 ევრო.** 2 კაცზე — **12 ევრო** გამოვა, ქართულ ფულზე დაახლოებით, **32-35 ლარი.**

**— ინტერნეტის გადასახადი რამდენია?**

— **50 ევრო თვეში** (დაახლოებით145 ლარი).

**— რა ჯდება 2 სულისგან შემდგარი ოჯახისთვის 1 თვეში კომუნალური გადასახადები?**

— 3-ოთახიან ბინაში — **800 ევრო,** ეს უკეთეს ვარიანტში (დაახლოებით, **2300 ლარი**).

**— საახალწლო სუფრა რა დაგიჯდათ ცოლ-ქმარს?**

— ახალი წელი სახლში აღვნიშნეთ. მინიმუმ, **200 ევრო** დავხარჯეთ **(600 ლარამდე).**

**— ჩამოთვალე, სუფრაზე რა გქონდა?**

— 2 თავი სალათი, შემწვარი ხორცი, ყველი, პური, ხილი, წვენები, ღვინო, ვისკი, შოკოლადები.

**— უკრაინაში ომის დაწყებამ იმოქმედა თუ არა კიოლნში ფასებზე?**

— მარტო კიოლნში კი არა, მთელ გერმანიაში პროდუქტები მას შემდეგ გაძვირდა. ადრე მე და ჩემი ცოლი **100 ევროდ** თითქმის 1 კვირის სამყოფ პროდუქტს ვყიდულობდით; ამჟამად **100 ევროდ,** უკეთეს შემთხვევაში, 4-5 დღის სამყოფს შევიძენთ.




# რა ფასებია რუსეთში, კერძოდ, ვოლგოგრადში?

„უკვე მრავალი წელია, ვოლგოგრადში მეუღლესთან ერთად ვცხოვრობ, რომელიც რუსეთის მოქალაქეა. ჩემი ქართველობის გამო არასოდეს პრობლემები არ შემქმნია, მეტიც — ადგილობრივი მოსახლეობა ქართველების მიმართ ძალიან თბილი დამოკიდებულებით გამოირჩევა, ოღონდ, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულები არიან, საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილში რუსოფობული განწყობების გამო. **ჩემი აზრით, ვოლგოგრადში პროდუქტებზე საუკეთესო ფასებია და თუ ადამიანს ელემენტარული შემოსავალი გააჩნია, ცხოვრება არ გაუჭირდება“** — მითხრა **ბექა კვიციანმა.**

**— ბექა, რას იყიდი ვოლგოგრადში 700 რუსული რუბლის ფარგლებში, რაც დაახლოებით, ქართულ 20 ლარს უტოლდება?**

— ზუსტად **20 ლარად** ვოლგოგრადში 1 კვირის წინ ვიყიდე: 1,2 კგ სამწვადე + 2 ქილა ავსტრიული ლუდი + 1 კოლოფი სიგარეტი + 1 ყავა ლატე + 0,5 კგ ტორტი „სკაზკა“ + 1 კგ მანდარინი + 1.5 ლიტრი წყალი.

**— რას მელაპარაკები... კომუნიზმი ხომ არ დამყარდა თქვენთან? სხვა პროდუქტები რა ღირს?**

— კომუნიზმის რა მოგახსენო, მაგრამ ვოლგოგრადში ასეთი ფასებია:

1 კგ ძეხვი ეკონომკლასი — **3 ლარი** (105 რუბლი);
1 პური 60 გრ — **1 ლარი** (35 რუბლი);
1 კგ სამწვადე — **8 ლარი** (280 რუბლი);
1 კგ კარტოფილი — **1 ლარი** (35 რუბლი);
1 კგ ვერმიშელი ან მაკარონი — **1 ლარი** (35 რუბლი);
1 კგ პურის ფქვილი — **1.5 ლარი** (52.5 რუბლი);
300 გრამი ყველი — **3.5 ლარი** (122.5 რუბლი).

**— მართლა მიჭირს დაჯერება...**

— მოიცა, აი, ჯიბეში შემთხვევით გუშინდელი ნავაჭრის ქვითარი შემომრჩა, აქ ყველაფერი წერია:

ტორტი „სკაზკა“ (500 გრამი) — **140,99 რუბლი** (4 ლარი, 02 თეთრი); ერთჯერადი ყავა (ლატე) — **48 თეთრი;** ღორის ხორცი 1,2 კგ — **6,65 ლარი,** სულ — **11,35 ლარი!** ღორის ხორცთან შედარებით, საქონლის ხორცი გაცილებით ძვირია — 1კგ ძროხის ხორცის ფასი 15 ქართული ლარი ღირს და შეიძლება ცოტა მეტიც.

**— საწვავიც არ უნდა ღირდეს თქვენთან ძვირი...**

— მე მანქანა არ მყავს, თუმცა, აქ 1 ლიტრი ბენზინი **53 რუბლია** (1,5 ლარი). მე ქალაქში ავტობუსით გადავადგილდები და ერთჯერადი მგზავრობის ფასი **32 რუბლია** (90 თეთრი).







**— შიდა ავიარეისებით არ სარგებლობ?**

— იშვიათად. შიდა რეისების ფასი სტაბილური არ არის, მუდმივად იცვლება. თვეების წინ მეუღლე მოსკოვიდან თვითმფრინავით რომ ჩამოფრინდა, ბილეთი **2500 რუბლი** (დაახლოებით, 71 ლარი) დაუჯდა, მაგრამ ამ მომენტისთვის ფასი **4000 რუბლია** (დაახლოებით, 120 ლარი).

რაც შეეხება საქალაქთაშორისო ავტობუსებს, ფასი საშუალოდ, 1000 კმ-ზე **3500 რუბლია** (100 ლარი), მაგრამ შეიძლება ზოგჯერ მეტი ან ნაკლებიც ღირდეს.

**— სამედიცინო დახმარება ფასიანია?**

— პირველადი სამედიცინო დახმარება, მათ შორის, უცხოეთის მოქალაქეებისთვის — სრულიად უფასოა. ამასწინათ პოლიკლინიკაში ერთბაშად 5 კბილის ამოღება მომიწია და თავადაც გამიკვირდა, როცა მითხრეს, რომ ეს სერვისი უფასო იყო.

**— ინტერნეტში თვეში რამდენს იხდი?**

— თვეში **700 რუბლს** (დაახლოებით, 20-21 ლარი).

**— ყოველთვიური კომუნალური ხარჯები რამდენია?**

— მე ის შეღავათი მაქვს, რომ მეუღლის კუთვნილ სახლში ვცხოვრობთ და ბინის დაქირავება არ მიწევს. გაზი არ გვაქვს. ელექტროობა, დასუფთავება, წყალი — მთლიანობაში საშუალოდ **1200 რუბლი** (დაახლოებით 35 ლარი) გამოდის. რა თქმა უნდა, ზამთარში უფრო მეტია ხარჯი, მაგრამ არაუმეტეს 80 ქართული ლარისა!

**— ერთი კვირის განმავლობაში საკვებზე 1 ადამიანს რამდენი დასჭირდება?**

— ერთი კვირა ადამიანმა ვოლგოგრადში თავი რომ გაიტანოს და მიიღოს ის კალორიები, რაც ჯანსაღ კვებას სჭირდება, 50 ქართული ლარი დაუჯდება, შესაბამისად, თვეში — 200 ლარი.

**— სასმელი თქვენთან, ალბათ, პოპულარულია და მრავალფეროვანია?**

— საშუალო ფასი ღვინოებზე 10 ქართული ლარიდან იწყება. რუსებსაც კარგი ალკოჰოლური ნაწარმი აქვთ. „აბრაუ დიურსოს“ შამპანური მომეწონა, რომელიც საახალწლოდ 9 ლარად შევიძინე აქციით. ზოგადად, რასაც დავაკვირდი, რუსეთში საკმაოდ ბევრი აქციაა... თუ საქართველოში ფასდაკლება არის 10-50 თეთრი ან, მაქსიმუმ, 1 ლარი, რუსეთში მინახავს 3-5 ლარამდე დისქაუნთიც!

**— ლუდი რა ღირს?**

— ლუდი ოდნავ გაძვირდა, თუმცა, 1.5 ლიტრი იგივე „ტუბორგის“, „ჟიგულიოვსკოეს“ ან „ზატეჟკი გუსის“ ყიდვა შეიძლება **3 ლარის** ეკვივალენტ რუსულ რუბლებში, ხოლო ასორტიმენტი ლუდის მოყვარულთათვის, ენით აუწერელია.

**— ტანსაცმელიც იაფია?**

— აი, მაგალითად, ეს ეკონომკლასის ქურთუკი დღეს ვიყიდე **875 რუბლად,** ანუ, დაახლოებით, 25 ლარად. რა თქმა უნდა, ხარისხის მიხედვით ტანსაცმლის ფასები განსხვავებულია, თუმცა, აქ ახალი ტანსაცმლის შეძენა ეკონომიურად ძალიან გაჭირვებულსაც თავისუფლად შეუძლია.

**— რუსეთში ახალი წლის აღნიშვნა განსაკუთრებულად უყვართ. საახალწლო სუფრა რა დაგიჯდათ და რა იდო სუფრაზე?**

— მე და ჩემს მეუღლეს 30 დეკემბრიდან 9 იანვრამდე საახალწლო სუფრა დაგვიჯდა ჯამში **7000 რუბლი,** ანუ დაახლოებით 200 ლარი. ოღონდ გაითვალისწინე — არცერთი არ ვსვამთ და არც ვეწევით. სუფრაზე გვქონდა: 2 კილოგრამი ღორის მწვადი, სალათი „ოლივიე“, სალათი „შუბა“, სელიოდკა, კიტრი, პომიდორი, ტორტი, ხაჭაპურები, ლობიანები, მჭადი, ხილი — ვაშლი, მსხალი, ბანანი, მანდარინი, ფორთოხალი; შოკოლადები, კანფეტები, შამპანური, ღვინო, კიდევ რაღაც წვრილმანები.

**— გასაგებია, რომ არ ეწევი, მაგრამ ისე რა ღირს სიგარეტი?**

— ერთი კოლოფი უცხოური „როტმანსი“ **170 რუბლი,** ანუ 4.85 ლარი ღირს, ხოლო ადგილობრივი სიგარეტი, მაგალითად, „მაქსიმი“ ღირს **130 რუბლი,** ანუ 3.71 ლარი.

**— უკრაინაში ომის დაწყებამ იმოქმედა თუ არა რუსეთში ფასებზე?**

— პროდუქტზე პირადად მე ფასების მატება ვერ შევამჩნიე. თანაც, რუსეთი ხომ თვითკმარი ქვეყანაა. რაც შეეხება რუსეთის წინააღმდეგ უცხო ქვეყნების მიერ დაწესებულ სანქციებს, კონკრეტულად ჩემს ოჯახს არაფერი არ შეხებია.

*მოამზადა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**გიორგი გაბუნია**
*პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე*



გამოკვეთილია **ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის პასუხისმგებლობა,** რომელიც საქართველოში პოლიტიკური პროცესის დამძიმებას ცდილობდა.

„რეზონანსიდეილი“

**თინა ბოკუჩავა**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე*



**მერამდენე ცრუ გამოძიება უნდა დაიწყოს,** სათვალავი ამერია. **რამდენი ამგვარი საქმე გვინახავს** სახელმწიფო გადატრიალებასა და ბევრ სხვა ღიმილისმომგვრელ ბრალდებაზე.

„რუსთავი-2“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



„ოცნების“ სახე **ზვიად ხარაზიშვილია,** რომელიც არის რეინკარნაცია **როდიონოვის, ფილიპე მახარაძის,** ყველაფერი ცუდის.

„ახალი თაობა“

**შალვა ხაჭაპურიძე**
*იურისტი, ადვოკატი*



ადამიანი, რომელსაც **არანაირი ემოცია არა აქვს და არც ცრემლი მოსდის,** ცოტა საშიში მგონია.

„თბილისელები“

*ცნობილი ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი* ***კახა საბახტარიშვილი*** ***თვალის ყველაზე უფრო გავრცელებულ პათოლოგიებს ჩამოთვლის და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თვალის ყველაზე დიდი მტერი მაინც შაქრიანი დიაბეტი, პრედიაბეტი ან ინსულინრეზისტენტობაა:***



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აცილა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# სახელოვანი ერეკლე მეფის ოქროს სათვალე 1788 წელს ქართველმა ოქრომჭედელმა გაბრიელმა თბილისში დაამზადა!



ერეკლე მეორის ოქროს სათვალე





გიორგი (გიგო) ალექსანდრეს ძე ტარსაიძე. 1857-1904

## „პირველ ქართველ დიპლომირებულ და ევროპულად განსწავლულ ოფთალმოლოგად მიჩნეულია ცნობილი ექიმი გიორგი ტარსაიძე!“

— თვალი უმნიშვნელოვანესი ორგანოა, რომლის საშუალებითაც ადამიანი სამყაროს ვიზუალურად აღიქვამს. მხედველობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ძველ საქართველოში დიდ ყურადღებას აქცევდნენ, რაც „უსწორო კარაბადინითა“ და სხვა ქართული სამედიცინო ტრაქტატებით დასტურდება. ასე, მაგალითად, მე-11 საუკუნეში **ქანანელის** მიერ შედგენილ **„უსწორო კარაბადინში“** ვკითხულობთ, *„სხუა თვალის წამალი, რომე შორს ხედვიდეს და ახლოს ვერა“*... ამით მტკიცდება, რომ იმ პერიოდის საქართველოში ახლომხედველობასა და შორსმხედველობას უკვე ერთმანეთისგან არჩევდნენ. **სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“** ახლომხედველის სინონიმებია — ბეცი და ბრუტიანი. საბა პირდაპირ წერს: *„ბრუტიანი, თვალით ახლოს მხედველი“*... სულხან-საბას დროს უკვე არსებობდა ტერმინი **„თვალის ბროლი“.** დიდი ქართველი მეცნიერი და მეიგავე პირდაპირ წერს: *„ბროლი არს თვალთა საფარი წიგნთა კეთილად წასაკითხავად“.*

გაოცებას იწვევს, თუ როგორ ზუსტად აღწერს **„უსწორო კარაბადინი“** თვალის ქუთუთოს თავისუფალი კიდის ანთებას, ანუ **ბლეფარიტს.** ტრაქტატში ვკითხულობთ: *„სხუაი თვალს ტკივილი რომე სულყი ჰქუიან. მისი ნიშანი: თვალი სტკიოდეს, გასივდეს, თვალისა კილოები და ქავილი დაეწყოს“.* მართლაც, **მწვავე ბლეფარიტს** თვალის ტკივილი, თვალის კიდის შესივება, სიწითლე და ქავილი ახასიათებს. **„უსწორო კარაბადინში“** მოცემულია მისი მკურნალობის მეთოდიც — *ერბოში გაურევდნენ კვერცხის ცილას, ან რძეში დანაყილ ნუშს, შიგ ბამბას დაასველებდნენ და პაციენტს დაძინების წინ თვალზე დაადებდნენ. დილით ავადმყოფს აბანოში წასვლას და სახის ორთქლისთვის მიშვერას ურჩევდნენ.*

**— რით მკურნალობდნენ ძველ საქართველოში მტკივან თვალს?**

— თვალში სისხლჩაქცევისა და უცხო სხეულის მოხვედრით გამოწვეული ტკივილის დასაამებლად უხსოვარი დროიდან იყენებდნენ ქალის რძეს, გვირილის სალბუნს ან ლილიანი წყლით გაჟღენთილ საფენს...

**— საინტერესოა, როდის გაჩნდა პირველი სათვალე?**

— მიჩნეულია, რომ პირველი სათვალე მე-13 საუკუნის იტალიაში გაჩნდა, რაც შემთხვევითი არ არის. ვენეციური მინა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულია. სულხან-საბა სათვალეს ახსენებს. საბას შემოტანილია ტერმინები — **შორსათვალე და ჭოგრი.** სახელოვანი **ერეკლე მეფის ოქროს სათვალე** 1788 წელს ქართველმა **ოქრომჭედელმა გაბრიელმა** თბილისში დაამზადა! საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება სწორედ 1788 წლით დათარიღებული დოკუმენტი, კერძოდ, **ერეკლე მეორის** სალაროს ოქროს შემოსავალ-გასავლის აღწერის ნუსხა. ამ დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ მეფის კარის მოლარეს გარკვეული რაოდენობით ოქრო გაუცია ბატონისათვის, ანუ **ერეკლე მეფისთვის** სათვალის გასაკეთებლად. ეს სათვალე დაუმზადებია ვინმე **გაბრიელ ოქრომჭედელს.** გამოდის, რომ 1788 წელს თბილისში ოპტიკის სახელოსნოც ყოფილა. პირველ ქართველ დიპლომირებულ და ევროპულად განსწავლულ ოფთალმოლოგად მიჩნეულია ცნობილი ექიმი **გიორგი ტარსაიძე,** რომელიც **ივანე გომართელის** მსგავსად, სახელგანთქმული და უბადლო დასტაქარი ყოფილა

**— ასაკის მატებასთან ერთად, თვალის რომელი პათოლოგიები იჩენს თავს?**

— 70 წელს გადაცილებული ადამიანების თითქმის 70 პროცენტს **კატარაქტა** აწუხებს, ხოლო 50 წლის შემდეგ, კატარაქტა ემუქრება ადამიანთა 40 პროცენტს. ეს გახლავთ თვალის ბროლის დაავადება, როცა ის გამჭვირვალობას კარგავს, იმღვრევა და მხედველობა ძალიან ქვეითდება. იმისათვის, რომ კატარაქტის არსს ჩავწვდეთ, უნდა ვიცოდეთ, როგორ არის მოწყობილი თვალის ბროლი. მასში არ არის სისხლძარღვები და ლიმფური კვანძები და აბსოლუტურად გამჭვირვალე უნდა იყოს. ეს ორგანო იმით არის უნიკალური, რომ საკუთარი იმუნური სისტემა გააჩნია. საერთოდ, ნებისმიერი ორგანოს გადანერგვა როცა ხდება, ადამიანის იმუნური სისტემა მას აღიქვამს, როგორც უცხო სხეულს და ცდილობს მის მოცილებას. **თვალის ბროლს გააჩნია საკუთარი იმუნური სისტემა, ანუ იმუნური პრივილეგია, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ბროლის გადანერგვა მოხდა, ორგანიზმი მას არ იცილებს.** ბროლში სისხლძარღვები და ლიმფური ქსოვილები იმიტომაც არ არის, რომ მისი გამჭვირვალობა არ დაირღვეს. საერთოდ, ყველა ორგანოს შემადგენლობაში შედის ცილა, მაგრამ ბროლის ცილა იმით არის უნიკალური, რომ გამჭვირვალეა.

**— მაინც რა იწვევს კატარაქტას?**

— კატარაქტას იწვევს სიგარეტი, ალკოჰოლი, არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების ხშირი გამოყენება, ასაკი და სხვა. მაგრამ კატარაქტის ძირითადი მიზეზი მაინც **შაქრიანი დიაბეტი, პრედიაბეტი ან ინსულინრეზისტენტობაა.** როდესაც სისხლში შაქარი მაღალია, ორგანიზმში იწყება ჟანგვითი პროცესები. ეს შესაძლოა, შევადაროთ ზამთარში მოყინულ გზაზე მარილის დაყრას. როდესაც მანქანა ასეთ ზედაპირზე მოძრაობს, მარილი ძალაუნებურად ხვდება მანქანის ძარის ქვედა ნაწილს და იწვევს მის კოროზიას, ანუ დაჟანგვას. სწორედ ეს მიზეზია, რომ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, შვედეთში დამზადებული მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ავტომანქანა „ვოლვო“ ყოველთვის უჟანგავი ლითონისაა და კოროზიის მიმართ არის მედეგი.

ადამიანის ორგანიზმში დამჟანგველ როლს მარილის ნაცვლად შაქარი ასრულებს. პარალელურად ხდება მეორე მოვლენაც, კერძოდ, შაქარი უკავშირდება თვალის ბროლის გამჭვირვალე ცილას, ხდება მისი გლიკირების პროცესი, ცილა იმღვრევა და, ცხადია, ბროლი გამჭვირვალობას კარგავს, რაც კატარაქტას იწვევს. ბროლის გარდა, შაქარი გავლენას ახდენს ბადურის მკვებავ სისხლძარღვებზეც, იწვევს მათ დახშობას და თუ ამ ყველაფერს ყურადღებას არ მივაქცევთ, შედეგი კატასტროფული იქნება —დადგება სრული სიბრმავე! ამიტომ დიაბეტიანები ძალზე ფრთხილად უნდა იყვნენ, მათ სიბრმავე ემუქრებათ!

**— რა უნდა გავაკეთოთ, რათა კატარაქტა თავიდან ავიცილოთ?**

- ჯერ დავიწყოთ იმით, როგორ მივხვდეთ, რომ კატარაქტა გვეწყება. კატარაქტის ნაადრევი სტადიის დროს ავადმყოფთა დიდი უმრავლესობა მხედველობის ველში შავი, მოძრავი წერტილების გაჩენას უჩივის. შესაძლოა, მოხდეს გამოსახულების გაორება ან გაბუნდოვნება, ასევე საგნების მოყვითალო ფერად აღქმა... კატარაქტა რაც უფრო წინ მიიწევს, ადამიანები მხედველობის თანდათანობით დაქვეითებას უჩივიან — საგნებს ბურუსით მოცულს ხედავენ, სათვალე არ შველით, მომატებული აქვთ მგრძნობელობა სინათლის მიმართ, მსხვილი შრიფტით ნაბეჭდი ტექსტის წაკითხვაც კი უჭირთ. ამ დროს მხედველობის დაქვეითება არ უკავშირდება თვალზე დატვირთვის მატებას. რაც შეეხება კატარაქტის თავიდან აცილებას, პირველ რიგ-

**„70 წელს გადაცილებული ადამიანების თითქმის 70 პროცენტს კატარაქტა აწუხებს!“**



# «პირველი სათვალე მე-13 საუკუნის იტალიაში გაჩნდა!»

ში, შაქარი უნდა დავირეგულიროთ! გარდა ამისა, არსებობს ისეთი დამცავი ანტიოქსიდანტები, რომლებიც დაჟანგვის პროცესს ხელს უშლის. მაგალითად, ასეთი ანტიოქსიდანტია **გლუტატიონი.** საერთოდ, უნდა მივირთვათ ისეთი საკვები, რომელშიც ბევრია გლუტატიონი, მაგალითად, კვერცხის გული. გლუტატიონს მაღლა სწევს სელენი, C და E ვიტამინი, ასევე თუთიაც. ძალიან კარგია გოგირდის შემცველი ისეთი საკვების მიღება, როგორიცაა ბოლოკი, თავიანი კომბოსტო, ბრიუსელის კომბოსტო, ბროკოლი, სალათის ფურცლები. ვისაც კატარაქტა უკვე დაწყებული აქვს, აუცილებლად უნდა მიიღოს B1 და B2 ვიტამინი. მათი დეფიციტისას კატარაქტის რისკი მაღალია.

**— ზოგჯერ ადამიანებს თვალი მოულოდნელად წამოსტკივდებათ ხოლმე. ეს რისი ნიშანია?**

— არსებობს საშიში დაავადება, რომელსაც თვალის შიდა წნევის მატება ჰქვია. სამედიცინო ენაზე ამ პათოლოგიას **გლაუკომა** ეწოდება. თუ ზომები დასაწყისშივე არ იქნა მიღებული, პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს და შესაძლოა, სიბრმავით დასრულდეს. **გლაუკომის** მწვავე შეტევის დროს ადამიანს თვალბუდის არეში ძლიერი ტკივილი ტანჯავს, რასაც თან ერთვის აუტანელი ტკივილი საფეთქლის არეშიც. ამ ყველაფერს ემატება ძლიერი ტკივილი თავის მარჯვენა ან მარცხენა ნახევარში. ამ დროს შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ღებინებას. უნდა ვიცოდეთ, რომ მსგავსი ნიშნები ახასიათებს შაკიკს, ჰაიმორიტს და თავის ტვინის გარკვეულ ლოკაციებში არსებულ სიმსივნეებს. ამიტომ გლაუკომის მკურნალობის დროს ეს დაავადებები უნდა გამოირიცხოს...

**— რა ვნებს თვალს?**

— თვალის დაუძინებელი მტერია მზის ულტრაიისფერი სხივები. კაშკაშა მზიან ამინდში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მიწაზე თოვლი დევს, მზის სათვალის გამოყენება აუცილებელია. თვალს ძალიან ვნებს აგრეთვე დაწოლილი კითხვა, ტელევიზორის ჩაბნელებულ ოთახში ყურება, დიდი ხნით კომპიუტერთან მუშაობა და ე.წ. გაჯეტების ხშირი ხმარება. თვალის დაღლილობის განსამუხტად შეეცადეთ, კომპიუტერის მთავარ ეკრანზე დააყენოთ მწვანე ფონი, მაგალითად, თვალუწვდენელი მინდვრის ფოტო. **როცა თვალი იღლება, დაძაბულობის მოსახსნელად კარგია შორს გახედვა და თვალის ხშირი ხამხამი.** ვისაც კომპიუტერთან ხშირად და დიდხანს უწევს მუშაობა, აუცილებლად უნდა გამოიყენოს თვალის დამცავი სათვალე. საერთოდ, 35 და 40 წლის შემდეგ, გვაწუხებს თუ არა, გვჭირდება თუ არა, რეკომენდებულია, საკითხავი სათვალე გამოვიყენოთ! ცნობილია, რომ ზრდასრული ადამიანის თვალის ბროლი ატარებს ულტრაიისფერი სხივების 10 პროცენტს, ხოლო 90 პროცენტს აკავებს. ათ წლამდე ბავშვის თვალის ბროლი, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, ულტრაიისფერი სხივების 75 პროცენტს ატარებს, ხოლო 25 პროცენტს აკავებს. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ ბავშვების თვალი ულტრაიისფერი სხივების მავნე ზემოქმედებისგან დავიცავთ, წესად გავიხადოთ, რომ მზიან ამინდში მზის სათვალის გარეშე ბავშვი სახლიდან არ გავუშვათ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „მზიან ამინდში მზის სათვალის გარეშე ბავშვი სახლიდან არ გავუშვათ!“

# «დიაბეტიანები ძალზე ფრთხილად უნდა იყვნენ, მათ სიბრმავე ემუქრებათ!»



# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №1-2, 3-7*

***პროფესორ სვიმონ მასხარაშვილის განმარტებით, ტერმინი „ქართი“, ისევე როგორც „ხალდი“ ხურიტული სიტყვებია, ხოლო კოლხური და მესხური კულტურის კვალსა და საგანძურს იქ არ ვეძებთ, სადაც უნდა ვეძებდეთ:***

— კაცობრიობის პოლიტიკური ისტორია იწყება ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის შუა პერიოდიდან. საერთოდ, პოლიტიკურ ისტორიას თან უნდა ახლდეს ორი მთავარი მდგენელი — ქალაქი და წერილობითი წყარო! მსოფლიო ისტორიაში პირველი კლასიკური ქალაქები შექმნეს შუმერებმა და ხსოვნის შენარჩუნების ყველაზე პრაქტიკული და ოპტიმალური საშუალება — დამწერლობაც მათ გამოიგონეს. სწორედ ამიტომ იწყება მსოფლიოს პოლიტიკური ისტორია შუმერიდან. ყველა სახის ანალიზი გვიჩვენებს, რომ **შუმერები** წარმოადგენდნენ სამხრეთ მესოპოტამიაში გადმოსახლებულ იმ გენეტიკის მატარებელ ტომს, რომელსაც მსოფლიო ისტორია **ხურიტების** სახელით იცნობს.

**— ბატონო სვიმონ, ხურიტებს რომელი ხალხები ეკუთვნის? ქართველები ხურიტები ვართ?**

— ქართული და მსოფლიო ისტორიოგრაფია სწორედ ასეთმა შეკითხვებმა დააბნია და მათზე ზედაპირულად და ნაუცბათევად გაცემულმა პასუხებმა ჩიხში შეიყვანა. საკითხი უნდა დაისვას ასე — რა გეოგრაფიულ არეალს სწვდებოდა ხურიტული გენეტიკა და სამყარო? ამ შემთხვევაში პასუხიც ადეკვატური იქნება და ვიტყვით, რომ, სადაც კი „J“ „J-2“ გენს ვხვდებით, ყველგან, ისტორიის რაღაც ეტაპზე, **ხურიტები** იმყოფებოდნენ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამორჩეული რეგიონია კავკასიიდან ინდოეთის ოკეანემდე და ზაგროსის მთებიდან ხმელთაშუა ზღვის აუზამდე გადაჭიმული უზარმაზარი ტერიტორია.

**— ივანე ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ ქართველები სამხრეთიდან მოსული ხალხი ვართ და ჩვენი წინაპრების უკანასკნელი დიდი მიგრაციული ტალღა კავკასიაში ძველი წელთაღრიცხვის მე-7-მე-6 საუკუნეებით თარიღდება. ამ განცხადებამ ბევრ არაკეთილმოსურნეს გაუხსნა ხელ-ფეხი და დღემდე ამტკიცებს, რომ ქართველები კავკასიის ავტოქტონი მოსახლენი არა ვართ! რას იტყვით?**

— ივანე ჯავახიშვილი აქ, უპირველესად, იმას გულისხმობდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში ხორციელდებოდა მიგრაციული პროცესები. მას არ უთქვამს და არც რაიმე არქეოლოგიური მტკიცებულება არსებობს, რომ ჩვენს წინაპრებზე ადრე საქართველოს ტერიტორიაზე სხვები ცხოვრობდნენ. ჩვენი წინაპრები, ძირითადად, გადაადგილდებოდნენ კლიმატური ცვლილებებიდან გამომდინარე, რაც გლობალური დათბობისა და გლობალური აცივების უწყვეტ ციკლებს გულისხმობს. ეს პროცესი ყველა სხვა ხალხებშიც შეინიშნებოდა, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე და განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში მე-19 საუკუნემდე, ანუ რუსების შემოსვლამდე, უცხოტომელებმა ფეხი ვერ მოიკიდეს! თვით ე.წ. კიმერიელების შემოსევაც კი, რომლებმაც თითქოსდა ძველი წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნეში აზოვის ზღვისპირეთიდან დასავლეთ საქართველოზე გამოვლით მცირე აზიაში გადაინაცვლეს, ბლეფია. ამ ფაქტს გამორიცხავს ყველანაირი არქეოლოგიური მასალა და ასევე ძველი წელთაღრიცხვის მე-8-მე-7 საუკუნეების წერილობითი წყაროები როგორც ასურული, ისე ურარტული და მცირე აზიური. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კიმერიელთა შემოსევისა და მიგრაციის შესახებ არსად საუბარი და მინიშნებაც არ არის... ისტორიკოსები შეცდომაში შეიყვანა ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში მცხოვრე-



## სვიმონ მასხარაშვილი:

## „ქართი“, ანუ „ქართლი“ და, შესაბამისად, „სა-ქართ-ველო“, „ზეციურ“, „ღვთაებრივ“ ქვეყანას ნიშნავს!

***გაგრძელება 26-ე გვერდზე***

## „მცხეთის თავდაპირველი სახელწოდება იყო „მესხთა!“

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

## სვიმონ მასხარაშვილი:

## ჩვენს წინაპრებზე ადრე საქართველოს ტერიტორიაზე არავინ ცხოვრობდა და ვერც მერე მოიკიდა ვინმემ ფეხი!

*დასაწყისი 25-ე გვერდზე*

ბი **ჰეროდოტე ჰალიკარნასელის** მიერ ოდესღაც ტამანის ნახევარკუნძულზე მცხოვრები გაურკვეველი წარმოშობის კიმერიელებისა და ძველი წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნის მიწურულს მცირე აზიიდან ურარტუს შესეული „გიმირების“ (გიმირუს) გაიგივების მცდელობამ. მოკლედ, **ჩვენს წინაპრებზე ადრე საქართველოს ტერიტორიაზე არავინ ცხოვრობდა და ვერც მერე მოიკიდა ვინმემ ფეხი.** ისტორიკოსებს შორის ნობელის პრემიის ერთადერთი ლაურეატი **თეოდორ მომზენი** წერდა: *„საქართველოს — ამ ზღაპრული ქვეყნის დაპყრობა ვერ შეძლეს ვერც დიდმა აქემენიანებმა, ვერც ალექსანდრე მაკედონელმა და ვერც რომმა. საქართველო დაუპყრობელია!“*

**— მაშინ ივანე ჯავახიშვილმა ძველი წელთაღრიცხვის მე-7-მე-6 საუკუნეები საიდან მოიტანა და რის საფუძველზე დასვა ეს თარიღი?**

— ქრისტეშობამდე მე-6 საუკუნეში საქართველოს ტერიტორიზე მცირე აზიიდან მართლაც გადმოსახლდა ერთ-ერთი ქართული ტომი, რომელსაც მესხების სახელით ვიცნობთ. ისინი თავს იყრიან სამესხეში, ანუ სამცხეში, დღევანდელი ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე და, ასევე, **მცხეთაში,** ანუ ქალაქ **„მესხთაში“.** მე-6 საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი, პოლიტიკოსი და სამხედრო მოღვაწე **პროკოფი კესარიელი** პირდაპირ წერს, რომ **„მცხეთა“** ნიშნავს და იშიფრება, როგორც **„მესხთა ქალაქი“,** ანუ მცხეთის თავდაპირველი სახელწოდება იყო ქალაქი **„მესხთა“.** მესხების ძირითადი განსახლების არეალი, როგორც ეს ხეთური და აქადურენოვანი წარწერებიდან ჩანს, დღევანდელი თურქეთის დიდი ნაწილი იყო. სწორედ მესხებმა აიღეს და გაანადგურეს ძველი წელთაღრიცხვის მე-13-მე-12 საუკუნეების მიჯნაზე ხეთების იმპერიის დედაქალაქი **ხათუსა** და პერიოდულად უტევდნენ აღმოსავლეთით მცხოვრებ ხურიტულ ტომებსაც... მოკლედ, მესხები ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნემდე თანამედროვე თურქეთის შავიზღვისპირა სანაპიროებიდან დაწყებული, დღევანდელი თურქეთ-ერაყ-სირიის საზღვრებით დამთავრებული, აქტიურად მოძრაობდნენ. მათი დიდი ნაწილი დარჩა კაბადოკიაში.

ქრისტეშობიდან პირველ საუკუნეში მოღვაწე დიდი ებრაელი ისტორიკოსი **იოსებ ფლავიუსი** წერს, რომ კაბადოკიელები რომის იმპერიის ქვეშევრდომი მესხები არიან! იმავეს ადასტურებს მე-10 საუკუნეში მცხოვრები ბიზანტიის იმპერატორი **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** სტრაბონის ცნობით, დიადი მესხები განსახლებული იყვნენ ძალზე დიდ ტერიტორიაზე და დღეს ეს ტერიტორია მოქცეულია კოლხეთის, იბერიისა და არმენიის ხელშიო! ხოლო რაც შეეხება რომაელ ისტორიკოსს, მე-2 საუკუნეში მოღვაწე **კორნელიუს ტაციტუსს,** როცა ის სომხეთის ტერიტორიაზე იბერიის, პართიისა და რომის დაპირისპირების პროცესს აღწერს, ერთ ადგილას ასეთ რამეს წერს: რომაელთა მხარეს საბრძოლველად დასავლეთიდან მოვიდნენ სახელგანთქმული მესხებიო! რომისა და ბიზანტიის საბედნიეროდ, უფრო მეტიც, ქრისტიანობის გასაძლიერებლად და განსამტკიცებლად, გაკაბადოკიელებულმა მესხებმა მსოფლიო ისტორიაში უდიდესი მისია იტვირთეს.

### წმინდა ნინო, წმინდა გიორგი, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, გრიგოლ ნოსელი კაბადოკიელები, ანუ წარმოშობით მესხები იყვნენ!

სავარაუდოდ, მე-8-მე-12 საუკუნეების ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის უდიდესი ნაწილიც სწორედ კაბადოკიელები, ანუ წარმოშობით მესხები იყვნენ. სამწუხაროდ, ისინი აღარ მეტყველებდნენ ქართულად, მათი ენა ამიერიდან ძველი და ბიზანტიური ბერძნული იყო.

**— უძველესი საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ რა მიგრაციულ პროცესებს ჰქონდა ადგილი?**

— უკვე არაერთხელ ვთქვით, რომ ძველი წელთაღრიცხვის მე-4 ათასწლეულსა და მე-3 ათასწლეულის პირველ ნახევარში თანამედროვე საქართველოს უდიდეს ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ადრეული ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურა. ამ კულტურის გავრცელების არეალი მოიცავდა მთელ კავკასიას, თანამედროვე თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილს, ჩრდილო-დასავლეთ ირანს და ჩრდილოეთ სირია-ერაყს. მტკვარ-არაქსის კულტურა ენათესავება შუამდინარეთის კულტურას, რომლის ყველაზე უფრო ცნობილი წარმომადგენლები **შუმერები** არიან. როდესაც **ივანე ჯავახიშვილი** „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომს წერდა, მაშინ მტკვარ-არაქსის კულტურა აღმოჩენილი და შესწავლილი არ იყო. შესაბამისად, ამ პერიოდის საქართველოს შესახებ მას სათანადო მონაცემები არ ჰქონდა. მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელი მოსახლეობა **ხურიტული** იყო ისევე, როგორც სამხრეთ შუამდინარეთში გადასახლებულ შუმერთა წინაპრები. ხურიტული პლასტი, როგორც კულტურის, ისე



## „ქრისტეშობიდან პირველ საუკუნეში მოღვაწე დიდი ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი წერს, რომ კაბადოკიელები რომის იმპერიის ქვეშევრდომი მესხები არიან!“



გენეტიკის დონეზე, დღესაც ერთ-ერთი დომინანტია ქართველებს შორის. ტერმინი **„ქართი“** ისევე, როგორც **„ხალდი“** ხურიტული სიტყვებია. ხურიტული ენის მემკვიდრე ვეინახურ ენებში **„ქალ“, „ქარ“** და **„ქა“** ნიშნავს **„ჰაერსა“** და **„ცას“,** ხოლო **„თი“** და **„დი“** ქართულშიც და ვეინახურშიც კუთვნილების ნიშანია.

თანამედროვე ქართულში მოძრავ და ცოცხალ ჰაერსა და ცას ეწოდება **„ქარი“...** ანუ **„ქართუ“, „ქართი“** და **„ხალდი“** იშიფრება, როგორც **„ზეციური“...** აქედან გამომდინარე, **„ქართი“,** ანუ **„ქართლი“** და, შესაბამისად, **„სა-ქართველო“, „ზეციურ“, „ღვთაებრივ“** ქვეყანას ნიშნავს!

დღემდე ქართველების ერთმა ნაწილმა, კერძოდ, წოვა-თუშებმა შემოგვინახეს ხურიტული ენა. აღარაფერს ვამბობთ **„არწივზე“, „ლამაზზე“** და ქართლ-კახურ სიმღერებში ნახსენებ **„ჰარი-ჰარალესა“** და სხვა სიტყვებზე, რომლებიც ხურიტულია!

ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით 2200 წელს დაიწყო საუკუნოვანი აცივება, რამაც ხურიტულ ტომებში ეკონომიკისა და კულტურის დაცემა გამოიწვია და დაიწყო შიდა მიგრაცია. ამ პროცესის დასტურია შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურა, რომლის შემოქმედი ხალხიც როგორც გენეტიკურად, ისე კულტურულად მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელების შთამომავალია, მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურა თავისი სიმაღლით თრიალეთის კულტურას აშკარად ჯაბნის. ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ვანსა და დაბლაგომში, უკვე ჩნდება მაღალგანვითარებული კოლხური კულტურის ნაშთები. ჯერჯერობით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ კულტურის წინარე კულტურის კვალი ნაპოვნი არ არის. არადა, **ვანის განძი** იმდენად მაღალხარისხოვანია, ის მხოლოდ ათასწლოვანი განვითარების ნაყოფი შეიძლება იყოს.

**— აქედან რა დასკვნის გაკეთება შეიძლება?**

— ეს იმაზე მეტყველებს, რომ **კოლხური და მესხური კულტურის კვალსა და საგანძურებს იქ არ ვეძებთ, სადაც უნდა ვეძებდეთ!** გარდა იმისა, რომ, ფაქტობრივად, გაუთხრელია მცხეთაც და სამცხეც, მესხური და კოლხური კულტურის მთავარი ძარღვი საძებნელია ჭოროხის ხეობაში, პონტოს მთებში, ბათუმიდან, სულ მცირე, სინოპის ჩათვლით შავიზღვისპირა ტერიტორიაზე და პონტოს მთების სამხრეთ კალთებზე. ჯერჯერობით, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ არეალში არავითარი სერიოზული არქეოლოგიური კვლევა ჩატარებული არ არის.

მოკლედ, ჩვენი წინაპრები ძველი წელთაღრიცხვის 2200-2100 წლებში, კლიმატური ცვლილებებიდან გამოდინარე, როგორც ჩანს, უფრო სამხრეთით და დასავლეთით გადაადგილდნენ. ძველი წელთაღრიცხვის მე-13-მე-12 საუკუნეებში, ასევე გლობალური კლიმატური ცვლილებების პირობებში, მოხდა ჩვენი წინაპრების უკან, საქართველოს ტერიტორიაზე მოტრიალება. სწორედ ამის დასტურია კოლხური კულტურა და ის გლობალური პოლიტიკური ცვლილებები, როცა ძველი წელთაღრიცხვის მე-7-მე-6 საუკუნეებში **ნაბუქოდონოსორის ბაბილონმა, ირანულენოვანმა მიდიამ და ინდოევროპულენოვანმა ლიდიამ** სკვითებთან ერთად გაანადგურეს **ასურეთი, იერუსალიმი, ურარტუ** და **ფრიგიად** წოდებული მესხების სამეფო. ჩვენმა წინაპართა უკანასკნელმა ტალღამ სწორედ მაშინ გადმოინაცვლა და დაბრუნდა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. მან დაკეტა დარიალის კარი და ამიერიდან საუკუნეთა მანძილზე გეოპოლიტიკოსი **მესხები** წარმატებით იყენებდნენ დარიალის გადაღმა მცხოვრებ ბარბაროსებს მსოფლიოს ჰეგემონ სახელმწიფოთა მანიპულირებისთვის.

აქემენიანთა სახელმწიფო იქნებოდა, რომი, პართია, ბიზანტია, ირანი, არაბები თუ სელჩუკები, მესხები გახსნიდნენ დარიალის კარს, გადმოიყვანდნენ ხაზარებს, სკვითებსა და ლაქებს, შეუსევდნენ აბრეშუმის გზის უმდიდრეს მიწებს და ამ ქალაქებისა და მიწების მეპატრონე იმპერიებს აიძულებდნენ, პატივი ეცათ ქართველი ერის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის. როგორც რომაელი ისტორიკოსი **კორნელიუს ტაციტუსი** წერს, იბერიელებმა ყველაზე უკეთ იციან ბარბაროს სკვითთა მართვა. იციან, როგორ გადმოიყვანონ, გამოიყენონ და ამის შემდეგ ქედს გალმა ისე გააძევონ, რომ თავად არ დაზარალდნენ!

## თეოდორ მომზენი:

### საქართველოს — ამ ზღაპრული ქვეყნის დაპყრობა ვერ შეძლეს ვერც დიდმა აქემენიანებმა, ვერც ალექსანდრე მაკედონელმა და ვერც რომმა! საქართველო დაუპყრობელია...

*ესაუბრა*
**დიტო ჩუბინიძე**

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №7*




# რამდენ ხანს გაძლებს ადამიანი წყლის გარეშე?

***გაზეთის წინა ნომერში ვისაუბრეთ, რომ ადამიანის ორგანიზმი საკვების გარეშე რამდენიმე კვირა და ზოგჯერ რამდენიმე თვეც გაძლებს, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით წყალზე. სხვადასხვა წყარო გვამცნობს, რომ სასმელი წყლის გარეშე დარჩენილი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 14 დღე-ღამეს არ აღემატება. ვაგრძელებთ ამონარიდების ბეჭდვას ნიკოლოზ ალაჯანიანის და ალექსეი კატკოვის წიგნიდან „ჩვენი ორგანიზმის რეზერვები“, რომლებიც ამჯერად სასმელი წყლის მნიშვნელობასა და წყურვილის გრძნობის დასაძლევად ორგანიზმის შესაძლებლობებს ეხება.***

**„სიცოცხლის წვენი“** — ფიგურალურად ამგვარად აფასებს ჩვენს პლანეტაზე ყველაზე გავრცელებული ნივთიერების — წყლის მნიშვნელობას დიდი მხატვარი, მეცნიერი და მოაზროვნე **ლეონარდო და ვინჩი.** ეს განსაზღვრება სავსებით მართალია — **საკმარისია იმის თქმაც, რომ სიცოცხლე წყალში წარმოიშვა და წყლის გარეშე შეუძლებელია მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანების არსებობა.**

ჩვენი სხეული თითქმის 70% წყლისგან შედგება. უფრო მეტიც, მისი უმეტესი ნაწილი (50%-მდე) მდებარეობს სხეულის უჯრედებში, დანარჩენი კი უჯრედგარე წყალია. საინტერესოა, რომ **მედუზას ორგანიზმში** წყლის შემცველობა 99,2%-ია, **ორაგულში** — 84%, **ზვიგენში** — 81%, **ბაყაყში** — 80%. წყლის უმეტეს ნაწილს შეიცავს ტვინის, თირკმლებისა და მიოკარდიუმის ნაცრისფერი ნივთიერების უჯრედები.

●

**მაინც, რამდენ ხანს შეუძლია ადამიანს გაძლება წყლის დაულევლად?** ამერიკელი ფიზიოლოგის **ადოლფის** მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანს წყლის გარეშე სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა დროის მანძილზე შეუძლია, გაძლოს. მაგალითად, ჩრდილში დასვენებისას, 16-23°C ჰაერის ტემპერატურაზე ადამიანს შეუძლია 10 დღის განმავლობაში აიტანოს უწყლობა. 26°C ტემპერატურაზე ეს პერიოდი მცირდება 9 დღემდე, 29°C-ზე — 7-მდე, 33°C-ზე — 5-მდე, 36°C-ზე — 3 დღემდე. დაბოლოს, **ჰაერის 39°C ტემპერატურაზე დასვენების დროს ადამიანი წყლის გარეშე 2 დღეზე მეტხანს ვერ გაძლებს.**

რა თქმა უნდა, ფიზიკური შრომის დროს ყველა ეს ვადა კიდევ უფრო მცირდება. მაგალითად, ისტორიიდან ცნობილია, რომ 525 წელს ლიბიის უდაბნოს გადაკვეთისას სპარსეთის **მეფე კამბისეს** 50-ათასიანი ჯარი წყურვილით დაიხოცა.

თუმცა, ამ ისტორიულ ფაქტს არ შეუცბუნებია უდაბნოს თანამედროვე მკვლევარები. 1986 წლის ივლისში ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპორტულმა და სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელსაც **ნიკოლოზ კონდრატენკო** ხელმძღვანელობდა, დაამყარა ახალი რეკორდი მცხუნვარე მზით დახრუკულ, უწყლო და უკაცრიელ ქვიშიან უდაბნოში. **11-მა ადამიანმა, რომელთა შორის 2 ქალიც იყო, 8 დღის განმავლობაში უდაბნოში 250 კილომეტრი გაიარა. თანაც, ისინი მხოლოდ დღისით დადიოდნენ, როცა ჩრდილშიც კი ტემპერატურა 35-37°C იყო, ხოლო მზისგულზე 50°-ს აღწევდა! ისინი წყალს რაციონალურად მოიხმარდნენ.**

მეხიკოში 1985 წელს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ შენობის ნანგრევების ქვეშ 9 წლის ბიჭი იპოვეს, რომელსაც 13 დღე არაფერი არც ეჭამა, არც დაელია და მაინც ცოცხალი გადარჩა.




უფრო ადრე, 1947 წლის თებერვალში, **ქალაქ ფრუნზეში იპოვეს 53 წლის მამაკაცი, რომელიც თავის არეში მიყენებული ტრავმის შემდეგ 20 დღის განმავლობაში საკვებისა და წყლის გარეშე მიტოვებულ, ცივ შენობაში იმყოფებოდა. პოვნის მომენტში ის არ სუნთქავდა და არც პულსაცია აღენიშნებოდა. ერთადერთი ნიშანი, რომელიც მიუთითებდა, რომ მსხვერპლი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, გახლდათ ზეწოლის შედეგად ფრჩხილის ფერის ცვლილება. თუმცა, მეორე დღეს მან დალაპარაკებაც კი შეძლო.**

●

შესაძლებელია თუ არა ორგანიზმისთვის ზიანის მიყენების გარეშე **მარილიანი ზღვის წყლის** დალევა? დიახ, შეიძლება! ეს ექსპერიმენტულად დაადასტურა ფრანგმა ექიმმა **ალენ ბომბარდმა,** რომელმაც ატლანტის ოკეანე გასაბერი რეზინის ნავით მარტოდმარტო გადაცურა, თუმცა, თან მტკნარი წყალი არ წაუღია. მან აღმოაჩინა, რომ მარილიანი ზღვის წყლის დალევა შესაძლებელია, მაგრამ მცირე ულუფებით, არაუმეტეს 1 ლიტრისა დღეში, ოღონდ ზედიზედ არაუმეტეს 7-8 დღისა.

**თუ მარილიან წყალს უწყვეტად ამაზე დიდი ხნის განმავლობაში დალევთ, ჩნდება თირკმლების მძიმე დაავადება, რის შედეგადაც ორგანიზმი 24 საათში 20-25%-ით გაუწყლოებას განიცდის და იღუპება.** +30°C-ზე მაღალ ჰაერის ტემპერატურაზე სიკვდილი დგება 15%-იანი დეჰიდრატაციის გამოც. როგორც ხედავთ, ზღვის წყლის დალევით სიცოცხლის ხანგრძლივობა არ იმატებს. და მაინც, **ალენ ბომბარდის** თქმით, **გემის ჩაძირვის შედეგად გადარჩენილებმა სჯობს, ზღვის წყალი დალიონ, ვიდრე საერთოდ არ დალიონ.** თუ ადამიანი საერთოდ არ სვამს წყალს, მისი ცნობიერება და შრომისუნარიანობა, როგორც წესი, ქვეითდება მესამე დღეს, ანუ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე სიკვდილი გაუწყლოების შედეგად დგება.

სიკვდილის ზღვრამდე ზღვის წყლის სასმელად გამოყენებისას, ანუ მე-7-8 დღემდე, თირკმლები „განტევების ვაცს“ წარმოადგენენ და ვიდრე ისინი შეძლებენ წყლის გამტკნარების სამუშაოს შესრულებას, ადამიანი ინარჩუნებს ცნობიერებასა და შრომისუნარიანობას. **მაგრამ დროის განმავლობაში თავისუფლად შეგიძლიათ გამოიყენოთ წვიმის სუფთა წყალი, დილის ნამი, ან დაიჭიროთ თევზი და მოიკლათ წყურვილი მისი ქსოვილის მტკნარი წვენით.** ეს არის ზუსტად ის, რაც **ალენ ბომბარდმა** გააკეთა თავის მარტოსულ მოგზაურობაში ატლანტის ოკეანეში. მხოლოდ ორი დღე მტკნარი წყლის დალევა საკმარისია იმისთვის, რომ თირკმლები სრულად აღდგეს და კვლავ მზად იყვნენ გამტკნარების სამუშაოს შესასრულებლად, თუ კვლავ მოგიწევთ ზღვის წყლის სასმელად მოხმარება.

ასეთ პირობებში საკუთარი სურვილით აღმოჩნდა **ალენ ბომბარდი,** რასაც ვერ ვიტყვით 45 წლის ნორვეგიელ **ეინარსენეზე,** რომელიც 1986 წელს ატლანტის ოკეანეში უმართავ პატარა თევზსაჭერ ნავზე ოთხი თვით მარტო დარჩა. ბოლო სამი კვირის განმავლობაში მეზღვაური საკვებისა და სასმელი წყლის გარეშე იმყოფებოდა, უმი თევზით იკვებებოდა და წვიმის წყალს აყოლებდა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მრავალი მეზღვაურის გამოცდილების გაანალიზების შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ **ყველა ადამიანს არა აქვს მარილგამძლე თირკმლები, ამიტომ ყველას არ შეუძლია ოკეანის წყლის დალევა.**

●

რაც უნდა საოცრად გეჩვენოთ, მტკნარი წყალი ყველაზე უკეთ არა პირის ღრუდან ან კუჭიდან, არამედ სწორი ნაწლავიდან შეიწოვება. ეს გახლავთ სამკურნალო ოყნის მოქმედების საფუძველიც. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ძველმა ინდუსებმა შენიშნეს ფრინველი იბისის ოჯახიდან, რომელმაც ის-ის იყო, დაასრულა ხანგრძლივი ფრენა უდაბნოში და ქანცმილეული დაეშვა მდინარის ნაპირზე, თუმცა, ის წყალს არ სვამდა, მხოლოდ ნისკარტში იგროვებდა და ჩიჩახვში იფრქვევდა. გაოცებული დამკვირვებლების თვალწინ მან წყალი მხოლოდ მას მერე დალია, რაც ეს პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორა და რამდენიმე წუთში გონზეც მოვიდა.

●

წყლის ნამდვილი ფასი, უპირველესად, უდაბნოს მკვიდრთათვის არის ცნობილი. როცა საჰარის ტომების ბელადები ევროპაში პირველად მოხვდნენ, ყველაზე მეტად ალპების ჩანჩქერმა გააოცა. უდაბნოს მკვიდრნი ვერ იჯერებდნენ, რომ არსთა გამრიგემ დაუშვა მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი საგანძურის ასეთი გაფლანგვა.

წყალი უდიდესი საგანძურია არამხოლოდ უდაბნოს მკვიდრთათვის, არამედ ნებისმიერი ადამიანისთვის. **ნორმალურ პირობებში ადამიანმა თანაბარი და მცირე ულუფებით ზამთარში დღეში — 2,5, ხოლო ზაფხულში 4 ლიტრამდე წყალი უნდა მიიღოს.** უნდა გვახსოვდეს, რომ წყალი ორგანიზმში არამხოლოდ უშუალოდ დალევის გზით, არამედ საკვებითაც ხვდება. გარდა ამისა, საკვები ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების დაჟანგვის გამო ორგანიზმში წარმოიქმნება დაახლოებით 400 გრამი ე.წ. მეტაბოლური წყალი.

●

რამდენი წყლის დალევა შეუძლია ადამიანს დღეში? უდაბნოში — 7,5 ლიტრამდე და ეს სრულად დააკმაყოფილებს ორგანიზმის საჭიროებებს, მაგრამ მეცნიერთათვის ნორმიდან რამდენიმე საინტერესო გადახრაც არის ცნობილი. მაგალითად, ერთი მოსკოველი ყოველდღიურად სვამს 8-დან 15 ლიტრამდე წყალს. ამ ადამიანს არ აქვს დიაბეტი, რის გამოც ადამიანები ჩვეულებრივზე მეტს სვამენ. ასეთი არაორდინარული მეთოდით იგი ებრძვის თავის ავადმყოფობას — ბეხტერევის დაავადებას და, თუ მის სიტყვებს დავუჯერებთ, საკმაოდ წარმატებითაც.

რა თქმა უნდა, უხვი წყლის მოხმარებას იგი ერთბაშად კი არა, თანდათანობით შეუდგა, ხოლო, თუ მოუმზადებელი ადამიანი ამ მეთოდის ფორსირებას ეცდება, ეს შეიძლება, ცუდად დასრულდეს და მოხდეს ეგრეთ წოდებული **წყლით ინტოქსიკაცია.** მისი სიმპტომებია ღებინება, კრუნჩხვა, ზოგადი დეპრესია და სისხლის წითელი უჯრედების რღვევის შედეგად შარდში სისხლის გამოჩენა. შესაძლებელია ფატალური შედეგიც. ამიტომ **თირკმლების დიდი რაოდენობით წყლის შესაჩვევად უნდა ივარჯიშოთ მხოლოდ სამედიცინო ჩვენების გამო და, რაც მთავარია, ექიმის მეთვალყურეობით.**

*მოამზადა*
***ზაზა დავითაია***



# მო**გელა**ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



***მიხეილ სააკაშვილი:***

***მე საკმარისი ასოებით ვარ უკვე ჩაწერილი მსოფლიო ისტორიაში.***

## სამგანზომილებიანი სიმართლე

ეს კიდე წამოჰყოფს ხოლმე გასიებულ თავსა, შეჰყრის ხშირ წარბებს კავკასიონის ქედებივით და წამააწვენს მორიგ სისულელეს.

რა გინდა, **შე ბარეკილო,** ხომ ხედავ, ყურადღებას აღარავინ გაქცევს და ყველას ჰკიდიხარ?!

მეო, **საკმარისი ასოებით** ვარ უკვე ჩაწერილი მსოფლიო ისტორიაშიო...

მა რააააა! **საკმარისი სამი ასოთი** ხარ ჩაწერილი მსოფლიო ისტორიაშიც და საქართველოს ისტორიაშიც!

# ბიძინა ივანიშვილი ლილიპუტების ქვეყანაში





***გია ხუხაშვილი:***

***ადამიანს ლამის მთელი ქვეყანა აქვს ნაყიდი, მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონია და სახლიდან გამოსვლის ეშინია. მე მინდა, ახლა მარტივი კითხვა დავსვა — ვინ არის რეალური პატიმარი, ბიძინა ივანიშვილი თუ მზია ამაღლობელი?!***

მაინც რა არი ანალიტიკური აზროვნება და უკიდეგანო ხედვა... **ბიძინა ივანიშვილს სახლიდან გამოსვლისა ეშინია, როცა აუცილებელია ხოლმე გამოსვლა, როცა სხვა გზა არ არი, ხან „შიფანერკაში" ეძებენ, ხან კიდე — საწოლების ქვეშ.** ამასწინებზე ქვევრში დამალულიყო და შემთხვევით იპოვეს. აბა, ვინ იფიქრებდა, ქვევრში თუ ჩაძვრებოდა?

მეტიც! შემოდგომაზე აქციები რო დაიწყო, ჟირაფის ქურქი გადაიცვა და თავის ჟირაფებში გაერია, იფიქრა, ვერ მიცნობენო, მაგრამ ის ვეღარ გათვალა, რო ერთით მეტი ჟირაფი იქნებოდა.

არაო, ქუჩაში ვერ გავალ, დამიჭერენ და მაწვალებენო — იძახის, თურმე, ყოველ დილით.

☺

ეს კიდე, ესა, **გია ხუხაშვილი** თავისუფლად დანავარდობს აღმა-დაღმა და მოსახლეობის სიყვარულს იმკის. თვალში რო ჩაუვარდეს ვინმეს, ის ვინმე ხელს არ ამაისვამს, უბრალოდ, თავისთვის ჩაილაპარაკებს — **იყოს, ერთი ამისიცო!**

მეტიც, გუშსაღამოს **სალომე ბაბოსთან** შეუვლია, მთელი ოპოზიციონრობა იქა ყოფილა, ყავასა სწრუპამდნენო.

იქიდან გამოსულს ჟურნალისტებმა ჰკითხეს — თქვენი მისვლა გაუხარდათო?

კი, მაგრად გაუხარდათ, ეგრე მითხრეს, — **შენღა გვაკლდიო.**

☺

არ დაიჯერებთ... **ბიძინა ივანიშვილმა გია ხუხაშვილის** მოსყიდვაც სცადა მთელ საქართველოსთან ერთად — როგორც ავი ენები ამბობენ, ჯერ იყო და კაი მაგარი ბინა უყიდა, მერე კიდე მისი ცოლი გაუშვა სამკურნალოდ, სიცოცხლე აჩუქა, მაგრამ არაფერიც, იგი ისეთივე პრინციპული დარჩა, როგორიც მანამდე იყო.

თუმცა! თვით **ხუხაშვილიც** აღიარებს, რომ მისი გმირობა **მზია ამაღლობელის** გმირობასთან მოსატანიც არ არი. დიახ, მზია უფრო თავისუფალია, ვიდრე **ბიძინა ივანიშვილი** და ჩვენ ყველანი.

**აბა, თქვენ შეგიძლიათ, პოლიციის უფროსს სახეში გაულაწუნოთ?** არ შეგიძლიათ, ლაჩრები ხართ და იმიტომ!

**აბა, ბიძინა ივანიშვილს შეუძლია, პოლიციის უფროსს ან შინაგან საქმეთა მინისტრს მათრახი გადაუჭიროს?** არ შეუძლია, ეშინია და იმიტომ!

**აბა, თქვენ შეგიძლიათ, პოლიციელებს „მოლოტოვის კოქტეილები" ესროლოთ და თან აგინოთ?** არ შეგიძლიათ, ლაჩრები ხართ და იმიტომ!

**აბა, თქვენ შეგიძლიათ, პარლამენტის შენობას ცეცხლი წაუკიდოთ და გარშემო ყველაფერი დალეწოთ?** არ შეგიძლიათ და არც ბიძინა ივანიშვილს შეუძლია, გამბედაობა არ გეყოფათ!

**აი, მზიას კი ყველაფერი შეუძლია! რასაც დღეს მზია აკეთებს, მაგას ადრე ლაზარე აკეთებდა, მაგრამ ახლა ლაზარე შვებულებაშია და მთელი სიმძიმე მზიაზე გადავიდა. ზეზვამ** უღალატა, უთქვამს — მე მაგის კაცი არა ვარ, პოლიციელებს ვულაწუნო, ჩვენს ერამდე მილიციაში ვმუშაობდი, მანამდე კიდე ჩაფარი ვიყავიო.

☺

მოკლედ, ეგ არი და გორის ციხე, როცა **მზია ამაღლობელი** სამშობლოს სადარაჯოზეა, რა თქმა უნდა, **ბიძინა ივანიშვილს** ქუჩაში გამოსვლისა უნდა ეშინოდეს. მით უფრო, როცა ქვეყანას ისეთი ექსპერტი ჰყავს, როგორიც **გია ხუხინსკია.**

# წაიდა-მოიდები



***ჯო უილსონი:***

***ივანიშვილის ოჯახი აშშ-ის მტრებისთვის საქართველოს მიყიდვის ბენეფიციარი და ხელშემწყობია, ისინი უნდა დასანქცირდნენ და განიდევნონ დასავლეთიდან!***

*ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარეობიდან 1000-დოლარიანი* ***უილსონა*** *მოუხსნიათ და იმაზე უარესი დაუყენებიათ. არადა, რათ არი ვინმე* ***როჯერა უიკერი*** *„უილსონაზე" უარესი?*



## ჰელსინკის კომისიის ახალი თავმჯდომარე როჯერ უიკერი

ჯერ ერთი, ეტყობა, ამ კომისიას ეგეთი უმფროსები უწერია და მეორეც — მისი პირველივე განცხადება აკარაკულია: **„საქართველო გზაგასაყარზე დგას, „ქართული ოცნება" ცდილობს ქვეყნის რუსეთისკენ მითრევას და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზიდან დაშორებას".**

რა უნდა ვიფიქროთ?

არც არაფერი... აშკარაა, **კეზერაშვილი** თვის ბოლოს 1000 დოლარს ამასაც ურიცხავს! ისე, დააკვირდით — მაგარი აფერისტული ღიმილი აქვს, გაიძვერული და აბუეტური.

კაცო, თქვენი არ ვიცი, მე კი ერთი მიკვირს: **ამ ტრამპისა და მასკის ქარავანი სხვა გზით რო მიდის, სხვა იალალებისკენ რო მიერეკება, ჩვენთან რატომ არაფერი იცვლება?**

არადა, რამდენი რამეა შესაცვლელი... **სულელური სანქციები — გასაუქმებელი, რადიოსადგურები — დასახური, საელჩო — ასაპენტი, იდეოლოგია — შესატრიალებელი, მიდგომები — გადასახედი, მოღალატეებისთვის — დაფინანსება შესაწყვეტი.** აქ ხომ მარტო „**უსაიდი**" არ იყო, სხვებიც გასაყრელები არიან! რავი, რომელი ერთი ჩამოვთვალო? ალბათ, გახსოვთ, აშშ-ის წინა ელჩი ბოლოს იქამდეც მივიდა, თბილისში გარაჟების საკითხებს არჩევდა.

და საერთოდ, რა საჭიროა საქართველოში პენტაგონის მეორე შენობა საელჩოს სახით ან რა საჭიროა ამხელა სადაზვერვო მახინა და მისი უმფროსი? **თუ მაინცა და მაინც აუცილებელია, რო ვინმე უნდა იყოს, ჩვენებური შაქრო დავსვათ მანდა, წლის ბოლოს ნორმალურ ანგარიშებს მაინც გააგზავნის ვოშინგტონში.**

ადრე, როცა საქართველოში ბატონყმობა იყო, ქიზიყში ერთი ფულიანი ტიპი ჩამოსულა ტიფლისიდან და განუცხადებია — თქვენი ბატონი უნდა ვიყოო. ქიზიყელებს ერთმანეთისთვის გადაუხედნიათ და... მაიცა, კაცო, თუ ბატონი აუცილებელია, ბარემ ჩვენი მიხო იყოი, შენ ვინ ოხერი და მუდრეგი ხარ, საიდან მოხვედიო? ამოუკრამთ პანჩური და გაუგდიათ.

ესენიც ეგრე იქცევიან, ჩამოვლენ ხოლმე საიდანღაც, რომელიღაცა ქვეყნებიდან და გვიცხადებენ — თქვენი ბატონები უნდა ვიყოთო. მართალია, **მისტერ როჯერა** აქ არ ჩამოსულა, მაგრამ შორიდან მაინც აცხადებს — თქვენი ბატონი ვარ, რავა ვერ მიცანითო? არადა, რაღა ცნობა უნდა, ეგენი ხო ყველანი ერთნაირები არიან — თავიან-კუდიანად!

## გადაურიცხეთ უილსონა პაპას 1000 დოლარი და გაჩერდება!

არ გადაურიცხავთ?

არ იქნება მშვიდობა!

ისე, რატო არ უნდა გადაურიცხოთ, როცა ეს ადამიანი საქართველოს სიყვარულში დაჩამიჩდა?

ამ დღეებში მოაჭორეს — **უილსონა პაპას ტრამპის ინაუგურაციაზე** ბილეთები რო მისცეს, გაყიდაო. ვინ იყიდა და ახლავე ჩამოგითვლით:

1. **სალომე ბაბომ,**
2. **ხაზარაძე მამუკამ,**
3. **ჯაფარლი ბადრიმ,**
4. **ვაშაძე ჭუჭუმ,**
5. **გეგელია გრიშამ** და კიდე ვიღაცებმა.

მართალია, **ესენი ლოჟაში არ დასხეს, ქუჩიდან აყურებინეს,** მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ინაუგურაციის ოხშივარი ხო ჩაისუნთქეს?

რა, არ ეტყობათ, რო ვოშინგტონიდან სუ სხვანაირები დაბრუნდნენ? უფრო იდეინები და აღტყინებულები.

პრეზიდენტის მადლი, რასაკვირველია, სენატორ-კონგრესმენებზეც გადადის და შემდეგ სენატორ-კონგრესმენებიდან იმათზე, ვინც მათ მიუახლოვდება და სარცხვინელზე ხელებს მოუთათუნებს. მა რა გგონიათ, რაზე იკლავენ თავებს ესენი ლამის დღეგამოშვებით **უილსონა პაპასთან** რო სხედან? აი, შეეხებიან თუ არა იმ ადგილზე, ეგრევე უნათდებათ გონება და ეგრევე ეწყებათ პატრიოტული აღტყინება.

☺

**უილსონა პაპამ** თქო, მაგ ხელების ფათურს 1000 დოლარი მირჩევნიაო.

ხედამთ, როგორი თავმდაბალია? **სულ რაღაც ერთი ათასიო. სულ არ აინტერესებს, ნაცები მოუთათუნებენ ხელს თუ ქოცები გაიკრავენ ხელს ჯიბეზე.**

*ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი **მარინა მოლოდინი** დაიბადა 1958 წლის 22 თებერვალს ძაღლის წელს თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის შეხედულებებსა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაზე.*

# „წყალი თევზებისათვის ბუნებრივი გარემოა, სადაც წყალია, სიმშვიდეც იქ არის!“





## მარინა მოლოდინი: დაბადებული ვარ ძაღლის წელიწადში, რაც ერთგულებასა და პოზიტიურ განწყობას გულისხმობს!

**— თევზების ზოდიაქოს ნიშნით ხართ დაბადებული, გიყვართ წყალი?**

— წყალი ძალიან მიყვარს, თევზებისათვის ის ბუნებრივი გარემოა, სადაც წყალია, სიმშვიდეც იქ არის. მახსოვს მომენტები, როცა ზღვის ან ტბის პირას სეირნობისას საოცარი სიმშვიდე მიგრძნია. ჩემი ოცნება იყო, სახლი მქონოდა მდინარის ნაპირზე, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საქმეს თავს ვერ ვანებებთ და სურვილების ახდენას სამომავლოდ ვდებთ. ახლა, ამ ასაკშიც კი, გულის სიღრმეში ისევ ის ნატვრა მაქვს და იქნებ ოდესმე ავისრულო. ამჟამად დუშეთში ვარ, ჩემს მშობლიურ ქალაქში, მდინარე აქ ახლოს არ ჩამოდის, მხოლოდ ტბა არის, თუმცა, ისიც მოშორებით.

**— ზოდიაქოს ნიშნების თვისებებს ყურადღებით ეცნობით?**

— დიდ ყურადღებას არასოდეს ვაქცევდი, მაგრამ ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელში ხშირად ვაწყდები ჩემი ნიშნის — თევზების დახასიათებას, მიკვირს, იმდენად ემთხვევა ჩემს თვისებებსა და ბუნებას.

**— თევზები ემოციურები და მეოცნებენი არიან, ხართ ასეთი?**

— დიახ, მეოცნებე ვარ და ბოლო დროს ძალიან ემოციურიც გავხდი. უფრო მეტად განვიცდი ყველაფერს, ისეთ რაღაცებს ვაქცევ ყურადღებას, ადრე რომ ვერ ვამჩნევდი. განვიცდი ფილმებსა და წიგნებში ასახულ დრამატულ სიუჟეტებს, ხშირად ცრემლიც წამომსვლია. არადა, ადრე მეგონა, რომ ემოციური სცენები ჩემზე გავლენას ვერ მოახდენდა. როგორც ჩანს, ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანში ემოციური მხარე ძლიერდება, უფრო სერიოზულად ვუყურებ ცხოვრებას. თუმცა, მაინც მეოცნებედ დავრჩი. ყოველთვის მინდოდა ბევრი საქმის კეთება, ბევრიც მოვასწარი, მაგრამ კიდევ უფრო მეტი დამრჩა განსახორციელებელი. ხშირად ვფიქრობ, როგორ მივიყვანო ბოლომდე ის გეგმები, რაც გულით მინდოდა. გახსოვთ, ალბათ, მთის კანონზე ვიმუშავე. როცა დუშეთში დავბრუნდი, მივხვდი, ამ კანონმა რამხელა ნაყოფი გამოიღო, ძალიან მიხარია, მაგრამ კიდევ ბევრი რომ დარჩა გასაკეთებელი და ამაზე ვფიქრობ.

**— თევზებს უყვართ განმარტოება...**

— მარტოობა მიყვარს, მასში სიმშვიდეს ვპოულობ. თევზებს სჭირდებათ პირადი სივრცე ემოციებისა და იდეებისათვის. ფიქრებში ვალაგებ მომავლის გეგმებსაც და წარსულის მოგონებებს. 90 წლის დედა მყავს, მას არ უყვარს მარტო ყოფნა, მეუბნება — ამქვეყნად ყველაზე მთავარი ადამიანებთან ურთიერთობაა. ახლა სწორედ დედასთან ვარ, დუშეთში, ჩემი ბავშვობის ქალაქში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მენატრება ახალგაზრდობა, ის პერიოდი, როდესაც ყველაზე მეტი ენერგია მქონდა და ბევრი იდეები. ჩვენმა თაობამ მძიმე პერიოდი გაიარა — არც შუქი გვქონდა, არც გაზი, თან უამრავი პრობლემა, მაგრამ მაინც ვცდილობდით გამოსავლის პოვნას. სამწუხაროა, რომ დღეს ბევრი ადამიანი ტოვებს მშობლიურ ქალაქს, განსაკუთრებით ქალები, რომლებიც ოჯახის სარჩენად საზღვარგარეთ სამუშაოდ მიდიან. თევზების ნიშნით დაბადებული ადამიანები ოჯახზე ზრუნვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ამიტომ ეს საკითხი ჩემთვის მეტად მტკივნეულია.

**— ამბობენ, რომ თევზებს ძალიან სწყინთ, როცა მათთან ურთიერთობაში ადამიანები არ იხსნებიან...**

— არ ვიცი, არ მქონია შემთხვევა, ჩემი ახლობლებისათვის გულწრფელად გამეზიარებინა ჩემი ემოციები და მათგან თანაგრძნობა არ მიმეღო, ასევე პირიქით.

**— თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანი პოლიტიკაში გამოირჩევა ინტუიციით, როგორ შეაფასებთ დღევანდელ მდგომარეობას?**

— დღეს ქვეყანაში დაპირისპირებაა, ხალხი ორ ნაწილად არის გაყოფილი, საჭიროა ახალგაზრდებთან დიალოგი, რათა მოხდეს საზოგადოების გაერთიანება, უნდა ესაუბრონ ქვეყნის ისტორიასა და არსებულ რეალობაზე. ხალხი აგრესიული გახდა, სიყვარულისა და გულისხმიერების დეფიციტია. ამ დაპირისპირებით სარგებლობს ოპოზიცია. საჭიროა, მოიძებნოს გზა, რომელიც ერთმანეთთან დააახლოებს ხელისუფლებასა და ახალგაზრდებს და ჩატეხილ ხიდს აღადგენს. ჩვენს დროსაც იყო რთული პერიოდები, თუმცა, ვახერხებდით დიალოგს, ხელისუფლება ხვდებოდა ახალგაზრდებს, უსმენდა მათ და ამით დაპირისპირება მინიმუმამდე დადიოდა.

ოპოზიციური პარტიების სამარცხვინო ქმედებებმა და პრეზიდენტის არასწორმა ნაბიჯებმა საქართველოს იმიჯი მნიშვნელოვნად დააზიანა, ქვეყანა უკან დახია. დღევანდელი ოპოზიციის ქმედებები ხშირად სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ არის მიმართული. როდესაც საქართველოს წარმოადგენ საზღვარგარეთ, შენი ვალდებულებაა, ქვეყნის იმიჯი ღირსეულად დაიცვა და მის განვითარებაზე ისაუბრო. სამწუხაროა, რომ დღეს ისინი საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებენ.

**უცხოეთში სირბილითა და ქვეყნის განქიქებით ოპოზიცია ვერაფერს მიაღწევს, ეს არის სახელმწიფოს წინაშე მოღალატეობრივი ქმედება.**

ოპოზიცია საერთოდ უნდა ჩამოშორდეს პოლიტიკას და მისი ადგილი უნდა დაიკავონ საქმიანმა, გულანთებულმა და პატრიოტმა ადამიანებმა.

**— რას ეტყოდით თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანებს?**

— ყველას, ვინც თებერვალში თევზების ნიშნით დაიბადა, ვულოცავ დაბადების დღეს. მართალია, თევზების ზოდიაქოს ნიშანი გულისხმობს ემოციებსა და ოცნებებს, მაგრამ არ მოწყდეთ რეალობას, ჩვენნაირი თვისებების ადამიანებისთვის დღევანდელ აგრესიულ სამყაროში ცხოვრება ადვილი არ არის, ყველას ვუსურვებ, დარჩნენ ისეთებად, როგორებიც დაიბადნენ — ერთგულები, კეთილგონიერნი, გულისხმიერნი და მეგობრულნი. ცხოვრება გვცდის, მაგრამ არ უნდა შევიცვალოთ მხოლოდ იმიტომ, რომ გარემო ამას გვაიძულებს. თან მე დაბადებული ვარ **ძაღლის წელიწადში,** რაც ერთგულებასა და პოზიტიურ განწყობას გულისხმობს. შევძლოთ ერთგულება, მე ასეთად მივიჩნევ თავს, თუკი ადამიანს გვერდით დავუდგები, ბოლომდე ასე იქნება, მის გამო ვიბრძოლებ სიკვდილამდე.

**— თქვენი მეუღლე ზოდიაქოს რომელი ნიშნით დაიბადა?**



— ჩემი მეუღლე — **კობა ბუჩუკური სასწორია.** ასტროლოგები ამბობენ, რომ სასწორი და თევზები ერთმანეთს ვერ ეწყობიან, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ცხოვრების მთავარი საყრდენი ზოდიაქო კი არა, ადამიანია, მათი ურთიერთობები, პრინციპები. ჩვენ ვუგებთ ერთმანეთს, ვცდილობთ, გავულამაზოთ ერთმანეთს ცხოვრება, შევქმნათ ბედნიერი მომენტები და ჰარმონია.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

### 17 – 23 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ეს კვირა მოგიტანთ ახალ გამოწვევებს სამსახურში და მოულოდნელ ფინანსურ პერსპექტივებს. შეცდომების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია ყველა დოკუმენტის გულდასმით შემოწმება. თქვენი შრომა შედეგს მოიტანს, წარმატება თქვენს მხარეს იქნება, თუ ენდობით თქვენს ინტუიციას.

**კურო** (21.04-20.05)
საყვარელი ადამიანების მხარდაჭერა დაგჭირდებათ, მაგრამ ყველას ნუ ენდობით. შესაძლოა, ვინმემ თქვენი გარემოდან გამოავლინოს საკუთარი თავის ნაკლებად იდეალური მხარე. ეს არის დრო, რათა გააძლიეროთ კავშირები, რომლებიც ნამდვილად მნიშვნელოვანია. ეცადეთ, იყოთ გახსნილი ახალი ნაცნობების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ, შთაგაგონონ ცვლილებებისკენ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ამ კვირაში გექნებათ გადასაწყვეტი არჩევანი, რომელიც შესაძლოა, თქვენს პირად ცხოვრებას ან სამსახურს ეხებოდეს. იყავით ყურადღებიანი ნიუანსების მიმართ, ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს. უმჯობესია, ეს დრო დაუთმოთ სიტუაციის გაანალიზებას და თქვენი გეგმების განხილვას ადამიანებთან, რომლებსაც ენდობით. გახსოვდეთ, რომ სწორი არჩევანის გაკეთება გრძელვადიან სარგებელს მოიტანს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
შესაძლოა, თქვენი კარიერა მოულოდნელი მიმართულებით განვითარდეს, იყოს შემოთავაზებები, რომლებიც ახალ ჰორიზონტს გაგიხსნით. კარგი დროა თქვენი ამბიციების გამოხატვისთვის. პირად ცხოვრებაში გექნებათ შანსი, გააუმჯობესოთ ურთიერთობა მათთან, ვისთანაც დიდი ხანია, საერთო ენა არ გიპოვიათ.

**ლომი** (23.07-23.08)
მეტი დრო დაუთმეთ თქვენს შემოქმედებით პროექტებსა და ჰობიებს. ახალმა იდეებმა შესაძლოა, გარშემო მყოფების მხარდაჭერა აღმოაჩინოს, განსაკუთრებით თუ ღია ხართ თანამშრომლობისთვის. თქვენი პირადი ცხოვრებაც სასიხარულო იქნება — რომანტიკული მომენტები ამ თვეს დასამახსოვრებელს გახდის.

**ქალწული** (24.08-23.09)
ყურადღება მიაქციეთ წვრილმანებს, რადგან ისინი შეიძლება გახდეს თქვენი წარმატების გასაღები. იყავით ფხიზლად დოკუმენტების და ფინანსური ტრანზაქციების განხილვისას. შესაძლებლობა მოგეცემათ, განახორციელოთ მნიშვნელოვანი პროექტი ან მიაღწიოთ მიზანს, რომლისთვისაც დიდი ხანია, მუშაობთ. მთავარია მოთმინება, ნუ შეგეშინდებათ პასუხისმგებლობის აღების.

### 17 – 23 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ცვლილებების დროა. შესაძლოა, კრიზისული სიტუაციების წინაშე აღმოჩნდეთ, მაგრამ ეს დაგეხმარებათ შინაგანი ძალისა და თავდაჯერებულობის ჩამოყალიბებაში. ამ კვირაში შეგიძლიათ, გადააფასოთ თქვენი პრიორიტეტები და თავი დააღწიოთ არასაჭირო ნივთებს. თვის ბოლოს კარგი დრო იქნება ახალი წამოწყებისთვის.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ფინანსური საკითხები წინა პლანზე დადგება. შეხედეთ შესაძლებლობებს, რომლებიც იხსნება თქვენ წინაშე, მაგრამ ფრთხილად იყავით დიდი რისკებით. კარგი დროა თქვენი ხარჯების გადახედვისა და ბიუჯეტის დაგეგმვისთვის. წარმატებული გარიგებები და დიდი ხნის ნანატრი შედეგები იქნება ჯილდო თქვენი ყურადღებისთვის.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
მნიშვნელოვანია, საკუთარი დანაზოგის შექმნაზე იფიქროთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახსა და იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც უკვე დიდი ხანია, გვერდზე გადადეთ. ამ კვირაში შეძლებთ, დაისვენოთ და დატკბეთ სამუშაოს შედეგებით.

**თხის რქა** (22.12-19.01)
მოულოდნელი სიურპრიზები მოგელით. შესაძლოა, შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენთვის შთაგონების წყარო გახდება. სამსახურში ყველაფერი სტაბილურად იქნება, გექნებათ შემოთავაზება ახალ პროექტზე, მოგემატებათ პასუხისმგებლობა, რაც საშუალებას მოგცემთ გამოავლინოთ თქვენი ნიჭი.

**მერწყული** (20.01-18.02)
საკუთარ თავს მოუსმინეთ, რადგანაც ყველა შეკითხვაზე პასუხი თქვენსავე თავში იმალება. საკუთარ თავთან გულწრფელი საუბარი მიგანიშნებთ, როგორ გააგრძელოთ ცხოვრება. ყურადღება გაამახვილეთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანებზე და დაასრულეთ ისინი. ხელსაყრელი დრო იქნება დასვენებისა და მიზნების გადახედვისთვის.

**თევზები** (19.02-20.03)
თქვენი პოზიტიური დამოკიდებულება და გახსნილობა მოიზიდავს თქვენთან ახალ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ თქვენს ცხოვრებაში. გექნებათ შესაძლებლობა, ჩაუღრმავდეთ თვითგანვითარებას და დაიწყოთ ახალი ბიზნესი, რომელიც სიხარულს და წარმატებას მოგიტანთ.

# მერწყული: 20 იანვარი – 18 თებერვალი

***მერწყულის ზოდიაქოს ნიშნის ბოლო დღეა 18 თებერვალი, ამის შემდეგ, 19 თებერვლიდან, იწყება ასტროლოგიური ზოდიაქოს წრის ბოლო, მე-12 ნიშანი — თევზები და 20 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.***

**თევზების** ნიშნით დაბადებული ადამიანები გამოირჩევიან ემოციურობით, ინტუიციითა და შემოქმედებითი ნიჭით. ისინი ხშირად მეოცნებენი არიან, აქვთ განსაკუთრებული უნარი, იგრძნონ სხვისი განწყობა. **თევზები** ღრმად განიცდიან მოვლენებს, ხშირად საკუთარ თავზე იღებენ სხვის ტკივილს, აქვთ საოცარი ინტუიცია, წინასწარ იგრძნონ მოვლენები. მათ რიცხვში ბევრია შემოქმედი ადამიანი: მუსიკოსები, მწერლები, მსახიობები. ახასიათებთ ალტრუიზმი, საკუთარი ინტერესების ხარჯზე ხშირად სხვებს ეხმარებიან. იმის გამო, რომ ზედმეტად ენდობიან ადამიანებს, ხშირად ტყუვდებიან, აქვთ ცვალებადი ხასიათი, რაც მათ პიროვნებას გამოცანად აქცევთ.

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.





ლამენტის წევრი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ნინო წილოსანი.** კეთილი, ყურადღებიანი და თავშეკავებულია. მისი გამორჩეული თვისებაა საკუთარი თავის გვერდიდან დანახვის უნარი.

**1958 წლის 20 თებერვალს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ანსამბლ „ივერიის" წევრი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, მომღერალი **მანანა თოიძე.** ხშირად ინტუიციით მოქმედებს, სიყვარულსა და მხარდაჭერას თუ არ გრძნობს, საკუთარ თავში იკეტება. დიდ ყურადღებას იჩენს მოდის მიმართ.



**1947 წლის 21 თებერვალს, ღორის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი **მურმან ჯინორია.** თევზების ხასიათის მიხედვით, არის მშვიდი, ფაქიზი სულის, თავაზიანი და ტაქტიანი.



**1969 წლის 22 თებერვალს, მამლის წელიწადში,** დაიბადა იურისტი და ეკონომისტი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი აღმასრულებელი მდივანი, პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე **კობა ნაყოფია.** ამჯობინებს, სათქმელი ბოლომდე არ თქვას, ის ჰარმონია რომ არ დაარღვიოს, რომლისკენაც ყოველთვის ისწრაფვის.





**1973 წლის 22 თებერვალს, ხარის წელიწადში,** დაიბადნენ ფეხბურთელები, **ტყუპი ძმები არჩილ და შოთა არველაძეები.** უცნობ ადამიანებთან ურთიერთობას ადვილად ამყარებენ, არიან კომუნიკაბელურნი. თუ წინააღმდეგობა ვერ გადალახეს, წარუმატებლობას ძლიერ განიცდიან.

**1964 წლის 23 თებერვალს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის წევრი 1999, 2003,



## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 17 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.54 საათზე, ჩადის 17.37 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 22.37 საათზე, ჩადის 08.48 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 23.47 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა აქტიური ადამიანებისთვის, არ არის სასურველი ფინანსურ ურთიერთობებში შესვლა. დღეს ხელი ეწყობა საყიდლებსა და საჩუქრებს. მცენარეებს ნუ მორწყავთ. არ ვარგა მანქანის ყიდვა-გაყიდვა, ცხოველთა კასტრაცია. მოერიდეთ ზედმეტ სითხეს, მარილიან საკვებს, ციტრუსებს, თხილს და სხვა ალერგიის გამომწვევ პროდუქტებს. პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს ლტოლვა სილამაზისადმი, რთული საკითხი კი გადაწყვიტეთ მშვიდობიანად, დიპლომატიურად, კომპრომისების მიღწევით. დაიცავით სამართლიანობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, პარტნიორული თანამშრომლობისთვის, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისა და მკურნალობის დასაწყებად, საიუბილეო საღამოებისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, საფირონი. **ფერები:** ლურჯი, ცისფერი, ბეჟი, მწვანე, ნაცრისფერი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

### 18 თებერვალი, სამშაბათი

**მზე** გადადის თევზების ზოდიაქოში (14.08). ამოდის 06.52 საათზე, ჩადის 17.38 საათზე. **მთვარე** გადადის ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 23.39 საათზე, ჩადის 09.09 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 04.12 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.20 საათიდან 03.25 საათამდე. **ტენდენციები: მზე** დღეიდან ერთი თვით გადაინაცვლებს **თევზების** ზოდიაქოში და ამ პერიოდში მეტად განავითარებს ადამიანებში ემოციურობას, მგრძნობელობას, გულმოწყალებას, სენტიმენტალურობას, ინტუიციას, შემოქმედებით ნიჭს, დაინტერესებას რელიგიასა და ეზოთერიკისადმი, ფოტოგრაფიისა და ქველმოქმედებებისადმი, ამავდროულად განავითარებს გადამეტებულ ფანტაზიებს, ილუზიებს, წარსულზე ფიქრს, დეპრესიას, შიშებს, ცუდ აზრებს, ტყუილებს. დღეს და ხვალ კარგი დღეა ახალი შეხვედრებისა და ნაცნობობისთვის, მასობრივი ღონისძიებებისთვის. აკონტროლეთ ემოციები. წარმოქმნილი ანთებითი პროცესები ორგანიზმში ინფექციურ ელფერს იძენენ. მოერიდეთ ნოტარიულად საბუთების გაფორმებას, რენდგენს, სხივურ თერაპიას, ახალი საქმის დაწყებას, მგზავრობას, ადგილსამყოფლის (ბინის) შეცვლას, სოცუზრუნველყოფისა და დაზღვევის ორგანიზაციებთან ურთიერთობას, სესხის აღებას, აბორტის გაკეთებას, ინტიმურ კონტაქტებს, ალკოჰოლურ სასმელებს. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ნადირობისა და თევზაობისთვის, მასაჟისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, თმების შესაჭრელად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო, რეპროდუქციული სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, მარჯანი, იასპი, ობსიდიანი. **ფერები:** წითელი, შავი, ლურჯი, ცისფერი, მწვანე. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

### 19 თებერვალი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.51 საათზე. ჩადის 17.39 საათზე. **მთვარე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 09.32 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 02.07 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მეტად განავითარეთ და დაიცავით წინაპართა საუკეთესო ტრადიციები. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, ახალი თანამშრომლების მიღებას, მგზავრობისთვის, ადგილსამყოფლის (ბინის) შესაცვლელად, დაზღვევის ორგანიზაციებთან ურთიერთობებს, სესხის აღებას, ნოტარიულად საბუთების გაფორმებას, რენდგენს, სხივურ თერაპიას, ინტიმურ კონტაქტებს, მაღალია ვენერიული დაავადებების ალბათობა. კარგი დღეა გეგმების დასახვისთვის, ლექციებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, თვითშემეცნებისთვის, დაკარგული ნივთების შესაძენად, ნადირობისა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველების და ანტიკვარიატის შესაძენად, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, თმების შესაჭრელად, ავტორიტეტულ ადამიანებთან შეხვედრისათვის, პარტნიორულ ურთიერთობებში მოერიდეთ ეჭვიანობას, სარკაზმულ გამოთქმებს, ზედმეტ პირდაპირობას, აგრესიას, უკონტროლო ემოციებს. კარგი დღეა რეცხვისა და რემონტისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო, რეპროდუქციული სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, მარჯანი, იასპი. **ფერები:** წითელი, შავი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** თევზებისთვის, მშვილდოსნისთვის.

### 20 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.49 საათზე, ჩადის 17.41 საათზე. **მთვარე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 00.44 საათზე, ჩადის 10.00 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 03.29 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.07 საათიდან 16.56 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა საიდუმლო ცოდნის შესაძენად და სხვებისთვის გადასაცემად, რემონტისა და რეცხვისათვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ნადირობის და თევზებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, თვითშემეცნებისა და კომპეტენტურობის გამოსავლენად, ლექციებისთვის, თმების შეჭრისთვის, ცხოველების, ანტიკვარიატის შესაძენად, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, მასაჟისთვის. მოერიდეთ ნოტარიულად საბუთების გაფორმებას, რენდგენს, სხივურ თერაპიას, ადგილსაყოფლის (ბინის) შეცვლას, დაზღვევის ორგანიზაციებთან ურთიერთობას, სესხის აღებას, აბორტის გაკეთებას. მაღალია ვენერიული დაავადებების ალბათობა. სასიკეთო დღეა ინტუიციაზე დაყრდნობით მოქმედებისთვის, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, საიუბილეო სალონებისა და დაჯილდოებისთვის, ექსკურსიებისთვის. მოერიდეთ ზედმეტ ეჭვიანობას, სარკაზმს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო, რეპროდუქციული სისტემა, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ფირუზი, იასპი. **ფერები:** ლურჯი, ცისფერი, მწვანე, შავი, საღამოს წითელი, ყვითელი, იისფერი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## მიმდინარე კვირაში (17-23 თებერვალი)

### მერწყულის ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1950 წლის 18 თებერვალს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე.** უცნობთათვის მორიდებული და მოკრძალებული პიროვნება, მაგრამ ფრიად კომუნიკაბელური და კეთილგანწყობილი ადამიანი.

**1956 წლის 18 თებერვალს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა 2012-2013 წლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი, „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" საპატიო თავმჯდომარე, ბიზნესმენი და ქველმოქმედი **ბიძინა ივანიშვილი.** ის გამოირჩევა გულწრფელობით, მაგრამ ერთხელ თუ მოატყუეთ, აღარ გენდობათ. ყოველთვის ასრულებს პირობას.





**1970 წლის 18 თებერვალს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი **ნატა მურვანიძე.** შეგიძლიათ, საიდუმლო გაანდოთ, მასთან იტიროთ კიდეც, ყოველთვის მზად არის, რჩევა მოგცეთ. ის არის **კოტე მახარაძისა და მედეა ჩახავას** შვილიშვილი, **მურაზ მურვანიძისა და მაკა მახარაძის** შვილი, **ნიკა თავაძის** მეუღლე.

**1980 წლის 18 თებერვალს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა დიპლომატი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ხათუნა თოთლაძე.** მას ახასიათებს მერწყულის ძირითადი თვისებები: არის მეგობრული, კეთილი, დახვეწილი ესთეტი. ის გახლავთ **ბადრი პატარკაციშვილის** დისშვილი და ცნობილი დიზაინერის **ავთანდილ ცქვიტინიძის** მეუღლე.



### მერწყულის ნიშნით დაბადებულნი:



**1933 წლის 18 თებერვალს, მამლის წელიწადში,** დაიბადა იაპონელი მხატვარი და მუსიკოსი, მუსიკალური ჯგუფ „ბითლზის" ერთ-ერთი დამაარსებლის **ჯონ ლენონის ქვრივი იოკო ონო.**

**1954 წლის 18 თებერვალს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი და პროდიუსერი **ჯონ ტრავოლტა.**



### მერწყულის ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1860 წლის 18 თებერვალს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს დამსახურებული არტისტი **მაკო საფაროვა-აბაშიძე.** გარდაიცვალა 80 წლის ასაკში.

**1898 წლის 18 თებერვალს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა სპორტული ავტომანქანა ფერარის შემქმნელი **ენცო ფერარი.** გარდაიცვალა 89 წლის ასაკში.





**1932 წლის 18 თებერვალს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი (წარმოშობით ჩეხი) რეჟისორი და სცენარისტი **მილოშ ფორმანი.** მისი ფილმები „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" და „ამადეუსი" მსოფლიო კინოს შედევრებად ითვლება. გარდაიცვალა 86 წლის ასაკში.

**1934 წლის 18 თებერვალს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ქართველი კინორეჟისორი, მსახიობი, მხატვარი და სცენარისტი **რეზო ესაძე.** გარდაიცვალა 86 წლის ასაკში.





**1940 წლის 18 თებერვალს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **ზურაბ ფირცხალავა.** გარდაიცვალა 74 წლის ასაკში.

### თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1947 წლის 19 თებერვალს, ღორის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი და მომღერალი **ჯემალ სეფიაშვილი.** მგრძნობიარე ადამიანია, მაგრამ უფრო ორიენტირებულია ლოგიკაზე. შეუძლია დიდხანს ლოდინი, არის შრომისმოყვარე, მიზანდასახული, ჰყავს ბევრი ფარული მტერი.

**1982 წლის 19 თებერვალს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს პარ-

# თევზები: 19 თებერვალი – 20 მარტი

2008, 2012, 2016 წლებში, პარტია „ევროპული საქართველო — მოძრაობა თავისუფლებისთვის“ დამფუძნებელი **ზიზი წერეთელი.** მან გადალახა გარკვეული წინააღმდეგობები, მაგრამ მაინც უკმაყოფილო და ნაწყენი დარჩა.



**1992 წლის 23 თებერვალს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ჩოგბურთელი, მსოფლიოს მოქმედი 21-ე ჩოგანი, საქართველოს დევისის თასის ნაკრების წევრი **ნიკოლოზ ბასილაშვილი.** თევზების თვისებებიდან გამომდინარე, მტკიცე რომანტიკულ ურთიერთობებს ძნელად აწყობს, მისი მთავარი პრობლემაა სიყვარულში მიუღწეველი იდეალისკენ სწრაფვა.

## თევზების ნიშნით დაბადებულნი:



**1988 წლის 20 თებერვალს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი, მსახიობი და კომპოზიტორი **რიანა — რობინ რიანა ფენტი.**



**1969 წლის 22 თებერვალს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ფლამენკოს მოცეკვავე, ქორეოგრაფი და მსახიობი **ხოაკინ კორტესი.**



**1994 წლის 23 თებერვალს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი **დაკოტა ფენინგი.**

## თევზების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1473 წლის 19 თებერვალს, გველის წელიწადში,** დაიბადა მათემატიკოსი და ასტრონომი **ნიკოლაი კოპერნიკი.** გარდაიცვალა 70 წლის ასაკში.



**1852 წლის 19 თებერვალს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ნიკო ლომოური.** გარდაიცვალა 63 წლის ასაკში.



**1869 წლის 19 თებერვალს, გველის წელიწადში,** დაიბადა სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ჰოვანეს თუმანიანი.** გარდაიცვალა 54 წლის ასაკში.



**1884 წლის 19 თებერვალს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ლეო ქიაჩელი.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში.



**1899 წლის 20 თებერვალს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ქართველი ალპინისტი, საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი **ალიოშა ჯაფარიძე.** გარდაიცვალა 46 წლის ასაკში.



**1909 წლის 20 თებერვალს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ქართველი გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, ფერმწერი **სერგო ქობულაძე.** გარდაიცვალა 69 წლის ასაკში.



**1923 წლის 20 თებერვალს, ღორის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს სახალხო არტისტი **მედეა ჯაფარიძე.** გარდაიცვალა 71 წლის ასაკში.





**1967 წლის 20 თებერვალს, თხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მუსიკოსი, ჯგუფ „ნირვანას“ ვოკალისტი, სიმღერების ავტორი **კურტ კობეინი.** გარდაიცვალა 27 წლის ასაკში.



**1857 წლის 21 თებერვალს, გველის წელიწადში,** დაიბადა ქართველი დრამატურგი და მსახიობი **ავქსენტი ცაგარელი.** გარდაიცვალა 45 წლის ასაკში.



**1923 წლის 21 თებერვალს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **ბოგი გეგეჭკორი.** გარდაიცვალა 80 წლის ასაკში.



**1732 წლის 22 თებერვალს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი **ჯორჯ ვაშინგტონი.** გარდაიცვალა 67 წლის ასაკში.



**1921 წლის 22 თებერვალს, მამლის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი მსახიობი **ჯულიეტა მაზინა.** გარდაიცვალა 73 წლის ასაკში.



**1925 წლის 22 თებერვალს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ქართველი პოეტი, ლიტერატორი და მთარგმნელი **მიხეილ ქვლივიძე.** გარდაიცვალა 80 წლის ასაკში.



**1873 წლის 23 თებერვალს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ქართველი კომპოზიტორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე **დიმიტრი არაყიშვილი.** გარდაიცვალა 80 წლის ასაკში.

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 21 თებერვალი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.48 საათზე, ჩადის 17.42 საათზე. **მთვარე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 01.48 საათზე, ჩადის 10.35 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 04.53 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ნებისმიერი გადაწყვეტილება დღეს ეცადეთ, ზედმიწევნით აწონ-დაწონოთ. კარგი დღეა ოჯახში დასვენებისთვის, თვითშემეცნებისთვის, წარსულის გასააზრებლად, განმარტოებისთვის. ცუდი დღეა მშენებლობისთვის, სისხლის გადასხმისთვის. კარგი დღეა სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისთვის, სწავლისთვის, იურიდიული საქმეებისა და სასამართლო პროცესებისთვის, განცხადებებისთვის, უცხოელებთან კონტაქტისა (საელჩო) და უცხოეთში კაპიტალდაბანდებისთვის, ექსკურსიებისთვის, სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის, პარტნიორული თანამშრომლობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სპორტული ნაწარმის ყიდვა-გაყიდვისთვის, სწავლისთვის, საიუბილეო საღამოებისა და დაჯილდოებისთვის. დღეს ყველა ეცდება, თავის მართლებაში დაგარწმუნოთ. კარგი დღეა პრეზენტაციებისა და ხელშეკრულებისთვის, იდეოლოგიური მუშაობისთვის და გარიგებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, საფირონი, ლაზურიტი, ამეთვისტო, ქარვა. **ფერები:** წითელი, ყვითელი, იისფერი, ლურჯი, ცისფერი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, ქალწულისთვის, მორიელისთვის.

### 22 თებერვალი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.47 საათზე, ჩადის 17.43 საათზე. **მთვარე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 02.51 საათზე, ჩადის 11.20 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 06.11 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.40 საათიდან 01.00 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყოველდღიური საქმეები ეცადეთ, კარგად შეასრულოთ. გაამახვილეთ სურვილი საკუთარი კომპეტენტურობის გამოვლენისა. მოიმატებს რელიგიური და იდეოლოგიური საკითხებისადმი მიდრეკილება. ბავშვები ცუდად იტანენ შეზღუდვებს. აკონტროლეთ ხასიათში ეგოიზმი, სულსწრაფობა, სარკაზმი. აქტიურად მოქმედების დღეა. მეგობრული ურთიერთობები მეტად ნაყოფიერ ელფერს შეიძენენ. გამახვილდება ინტუიცია. რთული დღეა მშენებლობისთვის, სისხლის გადასხმისთვის, ყურების გასახვრეტად. კარგი დღეა ვარჯიშებისა და სპორტული ღონისძიებებისთვის, სპორტული ნაწარმის ყიდვა-გაყიდვისთვის, იურიდიული საქმეებისა და სასამართლო პროცესებისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, პარტნიორული თანამშრომლობისთვის, ტურისტული ლაშქრობისთვის, ხელშეკრულებებისთვის, გასართობი და საზოგადოებრივი აქტიურობისთვის, დაჯილდოებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის, ძვალი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, სარდიონი, საფირონი, ლაზურიტი, ამეთვისტო. **ფერები:** წითელი, ყვითელი, იისფერი, ლურჯი, ცისფერი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

### 23 თებერვალი , კვირა

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.45 საათზე, ჩადის 17.44 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 03.50 საათზე, ჩადის 12.15 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 07.13 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 03.10 საათამდე. **ტენდენციები:** კარგი დღეა საყოფაცხოვრებო საქმეებისთვის. მოიმატებს ინფექციური დაავადებების წარმოქმნის ალბათობა. მოერიდეთ გავლენიან და ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობებს, ვაჭრობას, გაცვლით ოპერაციებს, ქორწინებას, ახალ კავშირებს, სტომატოლოგიურ პროცედურებს, თხილის, ციტრუსების და სხვა ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღებას, მანუალურ მასაჟს, სიმძიმეების აწევას, მკვეთრ მოძრაობებს. კარგი დღეა მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, მიწათმოქმედებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, კოლექციის შესაგროვებლად, მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, ნადირობისა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ეპილაციისთვის, ტატუირებისთვის. დაიცავით სიმშვიდე და ზომიერება ყველაფერში. კარგია ზუსტი მეცნიერებების სწავლა და ისტორიის საკითხების გადახედვა, კულტურულ-გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **ფერები:** ყავისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, მწვანე, კრემისფერი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 17,20,21 და 22 თებერვალი

**28 თებერვალი — ახალმთვარეობა**




# იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80



# მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ტანგო; 8. ტაბულა; 11. ბარიტონი; 12. რაიხი; 13. გონგი; 14. პირატი; 15. კაბალეტა; 16. ნაიბი; 17. ნიელო; 18. კოკორი; 19. კაზანოვა; 23. კრუზო; 24. კიბო; 26. ნაომი; 27. ლარნაკი; 28. ფიცი; 30. ან; 32. ნალჩიკი; 33. ჩაო; 35. ურანოსი; 36. ლორია; 37. ჩხავერი; 38. ლიეპა; 39. ადონისი; 43. პიეტა; 44. ტირიფი; 47. ხრამი; 48. კირილიცა; 49. ჯინი; 51. რევანში; 52. ოინი; 54. მარინადი; 58. რაკეტა; 59. თიკუნი; 60. ერ; 61. გარიბალდი; 64. თელავივი; 63. ასპიტი.

შვეულად: 1. მათარა; 2. ტირადა; 3. ტოლედო; 4. ტიგანა; 5. ნანსენი; 6. ორინოკო; 7. მინიმუმი; 8. ტიპიკონი; 9. ბერიკაობა; 10. ლიტურგია; 19. კალკუტა; 20. ზარნაშო; 21. ნიამორი; 22. ვოინიჩი; 24. კალმახი; 25. ბაიდენი; 28. ფილიპი; 29. ცერბერი; 31. ნაგანი; 33. ჩანახი; 34. ოპერაცია; 40. დოინა; 41. ნაიკი; 42. საიგა; 44. ტარი; 45. რივზი; 46. ფანდური; 49. ჯირითი; 50. ნიკელი; 52. ოტავა; 53. იორი; 54. მაგი; 55. რერო; 56. ნები; 57. დოლი; 59. თია; 60. ევა.

**მარტინიკაპიანოდილეგიონილიპომადავარიავერსი**
**მთავარიეტელემალიპომადავლადიუნიკუმისინიორი**

| კუნძული ვესტინდოეთში | ხმადაბლა (მუს.) | საპყრობილედ გამოყენებული ციხე-კოშკის ძირი ნაწილი | NBA-ს კალათ-ბურთელი | ტუჩის საცხი | „ახალ-გაზრდა“ ქათამი | სიგრძის ძველებური ერთეული |
|---|---|---|---|---|---|---|

| გაზაფხულის თვე | სახის ნაწილი | დადებითი მუხტის ელექტროდი | საჯარისო შენაერთი | კეთილ-თვისებიანი სიმსივნე | ნესტან-დარეჯანის მამიდა | მედლის წინა მხარე |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. სალონური წყვილთა ცეკვა; 8. გამრავლების ცხრილი; 11. კაცის სასიმღერო ხმა; 12. გერმანიის სახელმწიფო იმპერია; 13. სარტყმელი მუსიკალური საკრავი; 14. ზღვის ყაჩაღი; 15. კავატინა, ანუ; 16. ტერიტორიული ერთეულის მმართველი შამილის საიმამოში; 17. მოსავალების ტექნიკა; 18. გაუშლელი ყვავილი; 19. იტალიელი მწერალი და მემუარისტი; 23. დანიელ დეფოს გმირი რობინზონ ...; 24. ავთვისებიანი სიმსივნე; 26. მოდელი ... კემპბელი; 27. ყვავილების ვაზა; 28. მტკიცე პირობა, აღთქმა; 30. არჩევანის ნაწილაკი; 32. ყაბარდო-ბალყარეთის მთავარი ქალაქი; 33. ნახვამდის (იტალ.); 35. ცის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 36. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 37. ყურძნის ქართული ჯიში; 38. ბალტიისპირელი ბალერონი; 39. აფროდიტეს სატრფო (მით.); 43. ჯვრიდან ჩამოხსნილი ქრისტეს დატირების ნახატი; 44. ტენიანი ადგილების რბილმერქნიანი ხე; 47. კლდიანი ღრმა ხევი; 48. ძველი სლავური ანბანი; 49. ინგლისური არაყი; 51. სამაგიეროს გადახდა დამარცხებულისა; 52. ერთგვარი დაბოლოება ნარდის თამაშში; 53. მწნილი; 58. რეაქტიული ძრავის მქონე საფრენი აპარატი; 59. იგივეა, რაც მეტსახელი; 60. ლათინური რ-ს სახელი; 61. იტალიის სახალხო გმირი; 62. ისრაელის დედაქალაქი (დეფისის გარეშე); 63. შხამიანი გველი.

შვეულად: 1. პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი; 2. პათოსით წარმოთქმული ფრაზა, მონოლოგი; 3. ქალაქი ესპანეთში; 4. ფრანგი ექსფეხბურთელი; 5. ნორვეგიელი მოგზაური, ოკეანოგრაფი; 6. მდინარე ვენესუელაში; 7. რისამე ყველაზე ნაკლები რაოდენობა; 8. საეკლესიო წესების კრებული; 9. წარსული დროიდან მომდინარე ხალხური თამაშობა; 10. მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება, ჟამისწირვა; 19. ქალაქი ინდოეთში; 20. დიდი ბუ; 21. კლდის თხა, ქურციკი; 22. ინგლისელი მწერალი ეთელ ლილიან ...; 24. თევზის სახეობა; 25. აშშ-ის ექსპრეზიდენტი; 28. ფრანგი მსახიობი ჟერარ ...; 29. სამთავიანი ძაღლი ბერძნულ მითოლოგიაში; 31. ხელით სასროლი იარაღი; 33. ცხვრის ხორცის ერთგვარი კერძი; 34. ქირურგიული მკურნალობის მეთოდი; 40. რუმინული ხალხური სიმღერა; 41. სპორტული ნაწარმის ამერიკული ფირმა; 42. სტეპების წყვილჩლიქიანი ცხოველი; 44. რისამე სახელური; 45. მსახიობი კიანუ ...; 46. სიმებიანი საკრავი (ქართული ხალხური); 49. ცხენის ჭენება; 50. ქიმიური ელემენტი, ვერცხლისფერი ლითონი; 52. კანადის დედაქალაქი; 53. მდინარე საქართველოში; 54. ჯადოქარი; 55. ქართული ექსსაესტრადო ანსამბლი; 56. ხელისგული თითებიანად; 57. ბატკნის მოგების დრო; 59. ცხიმოვანი სიმსივნე; 60. სამოთხის ბინადარი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| საქართველოს ერთ-ერთი ტელეკომპანია | მწერალი ... ლილიან ვოინიში | მინანქარი | ტუჩის საცხი | ფრანგი მსახიობი ქალი | ძალიან იშვიათი რამ | ბატონი, ბატონი (იტალ.) |
|---|---|---|---|---|---|---|

| გორა | მსუბუქი ჟანრის თეატრი | დამხმარე თეორემა | სიმსივნის სახეობა | ალაფი, ნადავლი | ქარისგან მოტანილი სილის ბორცვი | ცხენის რძის სასმელი | ბოსტნეული მცენარე |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2025 წლის 17 – 23 თებერვალი №8 (1579)
გამოდის ორშაბათობით

მეწარმე: „ასავალ-დასავალი“. საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

2 009882 637296

